ლიტერატურული გაზეთი

№23(159) 11 - 24 დეკემბერი 2015 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი



პროზა

ზაალ სამადაშვილი

II-III

პოეზია

ეთერ თათარაიძე

IV-V

ჩანაწერები

დავით წერედიანი

თემა და ვარიაციები

***

ოდესღაც სტატია დავწერე მოკლე მონაკვეთებად, „თემა და ვარიაციები“ დავარქვი. მართლაც, ერთსა და იმავე თემას ვუტრიალებდი სხვადასხვა კუთხითა თუ რაკურსით.

ჩანაწერებად მოიხსენიეს.

მეორედაც იგივე განმეორდა.

შემდეგ ჯერზე თემის ერთიანობისთვის უკვე აღარ მიზრუნია, შევატყვე, თავს სულ ამაოდ გავიწვალებდი.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გავხდი ჩანაწერების ავტორი.

სახელწოდებას უცვლელს ვტოვებ, მაინც ვარიაციებია სამი ძირითადი თემისა.

***

არადა, არავითარი ჩანაწერები ეგ არ არის.

ჩანაწერი იმას ჰქვია, შენთვის რომ რამეს ჩაინიშნავ. ეგენი უფრო მინი ესეებია, „წვრილ-წვრილი საკითხავი“.

გნებავთ, იმასაც მოგახსენებთ, საქართველოში ასე რატომ იბარტყა?

სიზარმაცის ჟანრია. რაღაც ფიქრები მოგდის, რაღაც ამბებს იხსენებ, მაგრამ თავის ადგილს არ თუ ვერ უძებნი, მეტი გარჯა გეზარება.

VIII-IX



* * *

1983 წელს ძველი მეგობრის — ლევან ზაქარეიშვილის — თხოვნით დავწერე კინომოთხრობა „თემო“. სცენარის წერა არ ვიცოდი და ორმოცდაათგვერდიანი ტექსტი ამიტომ ჰგავდა მოთხრობას. წმინდა წყლის კინემატოგრაფიულ ეპიზოდებს შორის მქონდა ლიტერატურული წიაღსვლები: აღვწერდი პეიზაჟებს, უბნებს, პერსონაჟების გუნება-განწყობილებებს და მათი ქცევების გამომწვევ მიზეზებს. ვრცლად ვყვებოდი მთავარი გმირის ბიოგრაფიის მნშვნელოვან დეტალებს, რომელთა ცოდნის გარეშე მისი „მოძრაობა“ ეკრანზე მთლად დამაჯერებელი ვერ იქნებოდა. ის სცენა მახსენდება, გურული აქცენტით მოსაუბრე კაცებს რომ ეუბნება თემო, დღეიდან ჩვენი გზები გაიყოო. ვინ არიან ეს კაცები და რას საქმიანობდნენ ერთად — არ ჩანს. არადა, რა ხდებოდა — თემო მათთან ერთად სპირტიანი სასმელებით დატვირთულ სარკინიგზო შემადგენლობებს დაჰყვებოდა მცველად რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებზე. ეს საქმე მას ჯარში შეძენილი მეგობრის უფროსმა ძმამ შესთავაზა, რომელსაც ბევრი რამ სმენოდა თემოს სიმამაცისა და შეუპოვრობის შესახებ. რუსის ჯარში ნამსახურები ბიჭები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთმანეთს სტუმრობდნენ ხოლმე. თემოც ეწვია თავის ოზურგეთელ მეგობარს და იქ გაიცნო მისი უფროსი ძმა, რომელმაც სარისკო, მაგრამ სარფიან გარიგებაზე დაითანხმა. სარფიანი იყო, აბა, რა, საქართველოდან შუაგულ რუსეთში ღვინით და პორტვეინით გალიპლიპებულ ცისტერნებს გაჰყვებოდი ათასი ჯურის თავზეხელაღებულ დამცემთა და გამომძალველთაგან დასაცავად, უკან თვენახევარ-ორ თვეში დაბრუნდებოდი და თან ერთი მანქანის საყიდელ ფულს ჩამოიტანდი. „ჟიგულის“ შესაძენ თანხაზე იყო საუბარი. „ჟიგული“ კიდევ რვა-ცხრა ათასი მანეთი ღირდა „შავ ბაზარზე“, რაც მაღალანაზღაურებადი საბჭოთა მოხელის ორი წლის ხელფასი გახლდათ.

თემო 1978 წელს დაბრუნდა ჯარიდან. იღბალი აღმოაჩნდა, 79-ში საბჭოთა არმია ავღანეთში შეიჭრა და დაიწყო მრავალწლიანი უსასტიკესი ომი. დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ „ბოროტების იმპერიას“ გადაღძუებული ბებერი კომუნისტების მცირე ჯგუფი მართავდა.

ჯიმი ჰენდრიქსი და ჯენის ჯოპლინი ცხრა წლის გარდაცვლილები იყვნენ; ექსტრასენსი ჯუნა დავითაშვილი უკვე აღარ მუშაობდა კაფე „მეტროში“ ოფიციანტად; ჟაკლინ ბისეს ულამაზესი ფეხების წყალობით ფილმ „შესანიშნავის“ ყველა სეანსი ანშლაგით მიმდინარეობდა კინოთეატრ „ყაზბეგში“; ხოლო ჩემ მეგობარ ლევანს ისე უნდოდა ობერჰაუზენის კინოფესტივალზე მიღწეული წარმატების გამეორება და კამერის უკან დადგომა, რომ შესაშური უდრტვინველობით იტანდა „სამხატვრო საბჭოს“ წევრთა ნებისმიერ დახავსებულ „შეგონებას“.

* * *

წავიკითხე ჩემი უმცროსი მეგობრის წერილი „ბიბლიოთეკის წმენდა“. მას ჰერმან ჰესეს მაგალითისთვის მიუბაძავს და მოყირჭებული, ან დაწუნებული წიგნებისგან განუტვირთავს თაროები. მის დამოკიდებულებას ზოგიერთი ავტორისა და წიგნის მიმართ არ ვეთანხმები. ამას მეგობრის გემოვნების დასაკნინებლად არ ვამბობ, უბრალოდ, მისგან განსხვავებით, მე ნამდვილად ვერ შეველეოდი პროსპერ მერიმეს „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკას“ და ერნესტ ჰემინგუეის „ფიესტას“. ძალიან გამახარა რეზო ინანიშვილის „შორი თეთრი მწვერვალი“ და ოთარ ჭილაძის „თიხის სამი ფირფიტა“ რომ დატოვა. ჩემი ბიბლიოთეკიდან კარგა ხნის გასტუმრებულები მყავს ალექსეი ტოლსტოი, მაქსიმ გორკი, გრემ გრინი — რომ არ ახსოვდა რამდენი რომანი ჰქონდა დაწერილი — და ვინმე ჯეიმზ ოლდრიჯი. თუ რამე აზარალებს ბიბლიოთეკას — გათხოვებული წიგნების ვერდაბრუნება. დღემდე ვერ მომინელებია ჟურნალ „ხომლის“ ორი, თუ სამი ნომრის გაუჩინარება, სადაც გაგრძელებებით იბეჭდებოდა ინოლა გურგულიას ნათარგმნი „ვის უხმობს ზარი“, უცნობი ურუგვაელი მწერლისა და გურმანის მონოგრაფია მონტევიდეოს კაფეებსა და რესტორნებში გემრიელად დანაყრებასა და გამოთრობაზე, ვიტალი დოროშევიჩის ალბათ ყველაზე სრულყოფილი ნაშრომი რუსეთის იმპერიის კატორღების ცხოვრებაზე, ლადო გუდიაშვილის მიერ დასურათებული „ათას ერთი ღამის“ რვატომეულისა, ესპანელი ბლასკო იბანიესის „სისხლი და ქვიშისა“, რომელიც დედაჩემს ვაყიდინე სრულიად პატარამ ეფექტური ყდის გამო ხაშურის ორსართულიან უნივერმაღში.

ამა თუ იმ წიგნის შეძენის, ან მოპოვების გახსენებით შემიძლია, აღვიდგინო ჩემი ცხოვრების მივიწყებული ეპიზოდები. კვლავ წარმოვიდგინო გარემო, რომელიც აღარ არსებობს. მეც აღარ ვარსებობ ისეთი, როგორიც ვიყავი შორეულ 1967 წელს, როცა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიაში ლუი ანრი ბუსენარის „ჩხუბისთავ კაპიტანს“ ვყიდულობდი მშობლებისგან მალულად გატეხილი ყულაბიდან ამოკრეფილი აბაზიანებით. აბაზი რუსული ფული იყო — დღევანდელი ოცი თეთრის ტოლფასი.

* * *

გოგია ბუჩუკური მეწაღე იყო, ოღონდ ისეთი კი არა, ციცქნა ჯიხურებში რომ ისხდნენ და ქუსლებმოქცეულ, ძირებგახვრეტილ და ლანჩებარღვეულ ფეხსაცმელებს რომ „აპაჩინკებდნენ“, არამედ მოდელის მოფიქრების, თარგის გამოჭრის და უნაკლოდ შეკერვის უბადლო მცოდნე. მას და მამაჩემს მეორე მსოფლიო ომის დროს საავიაციო ტექნიკუმში უსწავლიათ ერთად და იქ დაძმაკაცებულან. გოგია ნაძალადევში ცხოვრობდა, ეხლა რომ მეტროს სადგურია იმ მიდამოებში, არც ისე დიდი ხნის წინ აშენებულ აგურის კოხტა სახლში.

ჩემზე უფროსი ბიჭი ჰყავდა. ბუნდოვნად მახსოვს, როგორ დამცინა მან, როცა ხინკლის დაგემოვნებისას პურს წავეტანე მისაყოლებლად. ალბათ, არ ვიცოდი, რითი მიმასპინძლდებოდნენ. ბებიასგან ჩაგონებული მქონდა, რომ ყველა კერძი პურთან ერთად უნდა მეჭამა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართული კულინარიის ერთ-ერთი შედევრი პირველად მამაჩემის ძმაკაცის სახლში მივირთვი.

პურის ჭარბად გამოყენება, მისი დომინირება კვების რაციონში, თავად რაციონის სიმწირე — ჩვენი ოჯახის ხელმოკლეობას ადასტურებდა. „თორნის პურის“ მოზრდილ ყუასთან ერთად ეგრეთ წოდებულ „ორმანეთიანი ყველის“ პატარა ნაჭერს მომცემდნენ ხოლმე და დამარიგებდნენ — პურს დიდი ლუკმა მოაკბიჩე, ყველს — პატარა, თუ გინდა, რომ ერთმანეთს ამყოფინოო. ყველის უპუროდ ჭამა ვერც კი წარმომედგინა. იმას ვნატრობდი, დაბრაწულ ყუას ერთის მაგივრად ორი სამკუთხა ნაჭერი მოჰყოლოდა.

* * *

სუპერმარკეტ „სმარტ“-ში ყოფნისას თვალი მოვკარი ღარიბულად ჩაცმულ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ცარიელ ურიკაში ბავშვი ეჯდა, ექვსიოდე წლის ბიჭუნა. ისიც „მეორადში“ ნაყიდი გაცრეცილი ქურთუკით და ცხვირებგადაქლეტილი „ადიდას“-ებით. თაროების რიგებს შორის სიარულისას კიდევ რამდენჯერმე გადავაწყდი მათ და ყურადღება მივაქციე იმას, რომ ურიკა არ ივსებოდა, ცარიელი რჩებოდა. ამან მაფიქრებინა, რომ კაცი და ბავშვი, ალბათ მამა და შვილი, სულაც არ იყვნენ შემოსულები საყიდლებზე. ისინი თან თბებოდნენ, თან სეირნობდნენ და თან სურსათ-სანოვაგის უმრავალფეროვნეს გამოფენას ათვალიერებდნენ.

მთელი ამბავი მომაფიქრდა მათ შესახებ; წარმოვიდგინე, რომ ისინი მთელ დღეს მიწისქვეშა გადასასვლელში ატარებენ — მამა გიტარაზე უკრავს, ბიჭი ხის პატარა ყუთზე ზის. ფეხებთან გიტარის გადახსნილი შალითა უდევთ, სადაც გულმოწყალე ამვლელ-ჩამვლელები ხურდა ფულს ყრიან. აქედან შორს ცხოვრობენ, ელიაზე, რკინიგზის გადაღმა. ბიჭუნა მაშინ მოჰყვება ხოლმე მამას, როცა დედა სადღეღამისო მორიგეობაზეა. ის სანიტრად მუშაობს და სამ დღეში ერთხელ მძიმე ავადმყოფებს უვლის რეანიმაციულ კლინიკაში.

სურსათზე რა უნდა ითქვას — პურს, მაკარონს, შაქარს, ზეთს და ხანდახან საღეჭ რეზინა „ორბიტს“ უბნის მაღაზიაში ყიდულობენ, სადაც ნისიების დავთარში მათი გვარის გასწვრივ არც ისე დიდი თანხა წერია.

* * *

2009 წლის მიწურულს თბილისში სტუმრად მყოფ ლაიფ ჰამსუნს, გამოჩენილი ნორვეგიელი მწერლის შვილიშვილს ვუმასპინძლე. შეხვედრა თავისუფლების მოედანზე, ქალაქის რატუშაში შედგა. საუბრის ძირითადი თემა კნუტ ჰამსუნის საუკუნის წინანდელი მოგზაურობა საქართველოში და მისი წიგნი — „ზღაპრულ ქვეყანაში“ — გახლდათ. ამასთანავე, სტუმარს ისიც მოვახსენე, როგორი ინტერესით კითხულობენ მისი პაპის წიგნებს ჩვენში ათეულობით წლების მანძილზე. ვუთხარი, რომ რომანი — „შიმშილი“ — დღესაც ისევე მაღელვებს და მითრევს, როგორც ოდესღაც, სტუდენტობის დროს. მეტი დამაჯერებლობისთვის პირველი აბზაციც კი წარმოვთქვი: „ეს იმ დროს იყო, როცა ქრისტიანიაში მშიერი დავეხეტებოდი, უცნაურ ქალაქში, საიდანაც...“ და ასე შემდეგ.

უმცროსმა ჰამსუნმა მისმინა, გამიღიმა და მითხრა — ჩვენთან, ნორვეგიაშიც დიდად აფასებენ მის მიერ შექმნილ ლიტერატურას, მაგრამ არც იმას ივიწყებენ, კოლაბორაციონისტი რომ იყოო...

* * *

კიდევ ერთხელ გულდასმით წავიკითხე იაკობ გოგებაშვილის „გულწითელა“ — თქმულება პატარა, ნაცრისფერ ჩიტზე, რომელსაც სამყაროს შემოქმედის მიერ შერქმეული სახელის შესაბამისად, ძალიან უნდოდა, მკერდი წითელი ბუმბულით ჰქონოდა დაფარული და ეს სურვილი აუხდა მას შემდეგ, რაც ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს გასისხლიანებული ეკალი ამოაძრო შუბლიდან პაწია ნისკარტით.

დარწმუნებული ვარ, ამ არაჩვეულებრივ მოთხრობას თავის ცნობილ „პირად ბიბლიოთეკაში“ შეიტანდა ბორხესი; სხვადასხვა ეპოქის მწერლებისა და ფილოსოფოსების მოკლე ტექსტების კრებულში, რომელსაც მეგობრებთან — სილვინა ოკამპოსა და ადოლფო ბიოი კასარესთან ერთად ადგენდა.

* * *

მეხუთე-მეექვსე კლასში რომ ვიყავი, მეგონა, დედაჩემს ყველაზე ძალიან ყოჩივარდები უყვარდა ყვავილებს შორის. არ ვიცოდი, რომ სიიაფის გამო მოჰქონდა შინ მისი პაწია კონები, რომ მცირეზე-მცირე დანახარჯით სურდა ჩვენი ღარიბული ინტერიერის გალამაზება. დროდადრო მეც ვჩუქნიდი ხოლმე რამდენიმე კვირის დაუხარჯავი „საუზმის ფულით“ ნაყიდებს. დღეში ოცი კაპიკი სჭირდებოდა „საბჭოთა ბურგერის“ — ერთი ნაჭერი რუხი პურისა და „ცელოფნიანი“ სოსისის — შეძენას. სამი კვირის უჭმელობა სამი მანეთი იყო. ამ თანხით ორი კაცი ორსერიან ფართოფორმატიან ფილმს ნახავდა ქალაქის ყველაზე მაგარ კინოთეატრში და შინ ავტობუსით დაბრუნდებოდა, ტრამვაისა და ტროლეიბუსზე ძვირი ტრანსპორტით. დედას არასოდეს ვუმხელდი, როგორ ვახერხებდი ყვავილების საყიდელი ფულის მოპოვებას. მშობლების დაშორებას ძალიან განვიცდიდი, მაგრამ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება, რიგ შემთხვევებში, მაგრად მშველოდა. ფულთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეკითხვას თვალის დაუხამხამებლად ვპასუხობდი — მამამ მომცა-მეთქი.

მამა მართლა მაძლევდა ფულს, სამ მანეთზე გაცილებით მეტს, ოღონდ დედასთვის გადასაცემად. ეს ხდებოდა თვეში ორჯერ, იმ დღეებში, როცა ხელფასსა და ავანსს იღებდა. სკოლასთან დამიბარებდა ხოლმე, „ვორონცოვზე“, კინოთეატრ „კოლხიდასთან“. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად მუშაობდა იმ დროს. პიჯაკის ან პალტოს ქვეშ ყოველთვის სპორტული ფორმა ეცვა — ბამბის ქსოვილის ლურჯი, კოჭებთან რეზინებშემოყოლებული შარვალი და იმავე ფერის ელვაშესაკრავიანი, გრძელსახელოებიანი მაისური.

მომწონდა, ზოგიერთი ჩემი კლასელის მამას რომ არ ჰგავდა ჩაცმულობით — ყელზე ჰალსტუხი რომ არ ჰქონდა წაჭერილი და შლაპა რომ არ „უმშვენებდა“ თავს.

* * *

VANDA ART-ში დიდი ხნის უნახავ ნაცნობს, გერმანიაში გადასახლებულ მხატვარ გია ეძგვერაძეს ვხვდები. ეს კაცი დიდად პოპულარულია თბილისელ ინტელექტუალთა შორის. მან რამდენიმე ლექცია წაიკითხა აქ და მისი სტატიები არც თუ ისე დიდი ინტერვალებით იბეჭდება ჟურნალ „ლიბერალში“. მოვიკითხეთ ერთმანეთი, აღმოჩნდა, რომ დედის ავადმყოფობის გამო არის ჩამოსული და მომვლელექთანს ეძებს. მეკითხება, ერთი პერიოდი, ხატვას არ მოჰკიდე ხელიო? პასუხს რომ ვუგვიანებ, ასე მახსოვს და ხომ არ მეშლებაო, მეუბნება.

ჩვენ ასაკში რთულად ვეგუებით თეთრი ლაქების არსებობას მეხსიერებაში და ვეუბნები, კი, დავიწყე, მაგრამ ვერ ვივარგე, არაფერი გამომივიდა-მეთქი. როცა გავიცანი, უკვე მაგრად ხატავდა, თუმცა მასთან ურთიერთობა იმითაც იყო საინტერესო, რომ ჩემთვის სრულიად უცნობ ფილოსოფოსებს ციტირებდა და „ბითლზის“ ეპოქაში უპირატესობას ანიჭებდა „CREAM“-ს. ცხოვრობდა მთაწმინდაზე, ორსართულიან, ბრტყელი აგურით ნაშენ სახლში. ერთი-ორჯერ ქუჩის ბიჭებიც მყავს აყვანილი მასთან. მსურდა, ენახათ, რომ „ქურდების“, „მომავლებისა“ და „ძაღლების“ გარდა, სხვა ტიპებიც ცხოვრობდნენ ამ ქალაქში და მათთან ურთიერთობა გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე რომელიმე „შავთან“...

შეხვედრის შემდეგ საკუთარი მეხსიერების მიმართ გამიჩნდა ეჭვი. მართლა ხომ არ ვაპირებდი მხატვრობას, განზრახ-

ვა ხომ არ გავანდე, მეტიც, ჩემი ნაცოდვილარი ხომ არ ვაჩვენე? მისი კი არა, ჩემი მოგონებათა სკივრი ხომ არ არის დალაქავებული თეთრად?..

* * *

ბავშვი, ხუთიოდე წლის გოგონა, მეტროს სადგურში კედელთან ზის, თავი მუხლებზე უდევს გვერდულად, ჩამოშლილი თმა სახეს უფარავს. ძნელი დასადგენია, ჩასძინებია, თუ ღვიძავს. ალბათ თვლემს. ლოყასა და მუხლს შორის მოქცეული ხელი გაწვდილი აქვს, რომ ჩაეძინოს კიდეც, არ ჩამოუვარდება და მოწყალების გაღების მოსურნე მოახერხებს პეშვში ფულის ჩაყრას... როგორ უნდა მოიქცე, ამ სურათს რომ წააწყდები? უნდა დაიხარო, გვერდით უნდა მიუცუცქდე ბავშვს და ჰკითხო, დღის ბოლოს რა თანხა უნდა მიუტანოს მას, ვინც სამათხოვროდ გამოგზავნა. შეშინებული თვალებით რომ შემოგხედავს და შეყოყმანდება, უნდა დაამშვიდო და შეკითხვა გაუმეორო. როცა გიპასუხებს, ჯიბიდან ფული უნდა ამოიღო, დიდიდიდი ათი ლარი, მუჭში დააჭერინო და პირობა ჩამოართვა, რომ ახლავე ადგება და წავა, რომ მისი „სამუშაო დღე“ დამთავრებულია. ფეხებზე უნდა დაიკიდო „ყოვლისმცოდნეთაგან“ არაერთგზის გაგონილი ტექსტი, რომ ასე მოქცევით ვერც საყოველთაო პრობლემას აღმოფხვრი და ვერც ამ ბავშვისას, რომ მას ხვალ დილას კვლავ გამოუშვებენ სამათხოვროდ...

ვიცი, მაგრამ გვიან საღამომდე ქვის იატაკზე ჯდომას ხომ გადავარჩენ, რამდენიმე საათით მაინც ხომ გამოვგლიჯავ სატანჯველს. ეგეც საქმეა!

მაგრად მაღიზიანებენ ტიპები, რომლებიც ყველა ნაბიჯს ზომავენ და წონიან, უკლებლივ ყველა ნაბიჯს. საქმე ძალიან მარტივად რომ არის და სწრაფად უნდა იმოქმედო, თეორიების თხზვას, ან უკვე შეთხზულების მოყოლას რომ იწყებენ. ადგილიდან რომ არ იძვრიან თვითონ და შენი გაშეშებაც რომ უნდათ!

* * *

ბოლო ოთხი თვეა, სულმოკლეთა აღლუმს შევცქერი. ცალ-ცალკე რომ განვიხილავ თითოეული მათგანის საქციელს, მიზეზად, რა თქმა უნდა, სიმხდალეს ვასახელებ. არ მგონია, რომ ვცდებოდე, თუმცა, არსებობს კიდევ ერთი, და არანაკლებ მნიშვნელოვანი, მიზეზი — უმეცრება. სწორედ უმეცრების ბრალი გახლავთ ის, რომ მათ, ვინც ღალატზე ხელს აწერენ, არ იციან, რას უნდა უფრთხოდნენ. მათ ეშინიათ იმის, რისიც არ უნდა ეშინოდეთ და პირიქით, არ უფრთხიან იმას, რაც მართლა საშიშია. საშიში მოსალოდნელი ანგარიშსწორება კი არა, მოსალოდნელი ანგარიშსწორების თავიდან აცილებისთვის ყველაფერზე წასვლაა. ყველაფერზე წასვლა — მეგობრებისა და ახლობლების დასმენა და გაწირვა — საწყისი წერტილია იმ ავადმყოფობის ისტორიისა, რომელიც უკურნებელი სენივით ხრავს და ანადგურებს პიროვნებას. ზოგიერთ დამსმენში ეს პროცესი სწრაფად წარიმართება, ზოგიერთში — ნელა, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ გადაურჩება მტანჯველი კითხვების გამაცამტვერებელ შემოტევას. საკუთარი თავის გარდა, სხვებიც დაუსვამენ კითხვებს. მაგალითად, შვილიშვილები, რომლებსაც მუდამ აინტერესებთ, როგორ ცხოვრობდნენ და იქცეოდნენ მათი წინამორბედები ძნელბედობის ჟამს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, განსაცდელის კი არ უნდა გეშინოდეთ, უნდა უფრთხოდეთ განსაცდელის არიდებისთვის უღირსი საქციელის ჩადენას. ფიქრი განსაცდელის შესახებ წინ უნდა უსწრებდეს თავად განსაცდელს.

* * *

ხაში ღარიბების საჭმელი გახლდათ. ერთი ულუფა — წვნიანით, ჩლიქებით და წვრილად დაჭრილი ფაშვით სავსე მათლაფა — ორმოცდაათი კაპიკი ღირდა, პური და ლიმონათი ოცდაათი კაპიკი. ორი კაცის დანაყრებას მანეთი და სამოცი კაპიკი სჭირდებოდა. მამაჩემს ასოცი მანეთი ჰქონდა ჯამაგირი; სუყოველდღე სახაშეში რომ გვევლო, ჯამაგირის მესამედზე ოდნავ მეტი დაგვეხარჯებოდა.

დღესასწაულებად ის დღეები მახსოვს, რომლებსაც მამასთან ერთად სტადიონებზე, სპორტულ დარბაზებში, იაფიან დუქნებსა და პაპასთან და დიდედასთან ერთად ვატარებდი ნაძალადევში. ჩვენი საკვები იყო ტყუილი სუფი, მოხარშული მაკარონი, აუთქვეფავი ერბოკვერცხი, შემწვარი კარტოფილი, ფხვიერი ყველი „მოთალი“ — მაკარონზე მოსაყრელადაც რომ გამოდგებოდა, ხილფაფიანი და შაქარმოყრილი ფუნთუშები, სურნელოვანი კიტრა ვაშლები. იშვიათად, კვირაში ერთხელ, საქონლის ხორცის კატლეტები, რომლებსაც გამზადებულებს, საფანელში ამოვლებულებს ვყიდულობდით „ცეკავშირის“ მაღაზიაში მარჯანიშვილის მოედანზე.

„წითელი არისტოკრატების“ შვილები და შვილიშვილები დღესასწაულების გახსენებისას თავიანთ ვეებერთელა ბინებში გამართულ წვეულებებს აღწერენ — საგანგებოდ გამოპრანჭულ სუნამონაპკურებ დეიდებს და ინდაურებივით გაფხორილ ბიძიებს. უზარმაზარ, ფერადი ცუკატებით მორთულ ტორტებს, მრავალსანთლიან, გაბრდღვიალებულ ჭაღებს,



მათ შუქს, არეკლილს სარკესავით გაკრიალებულ პარკეტზე, შავად, ან წითლად მოლაპლაპე როიალებს და თავიანთ უხერხულობას, გამოწვეულს წინასწარ დაზუთხული ლექსების ბორძიკით წარმოთქმით და გახამებული ტანსაცმლით.

ბავშვობაში თუ ყოველმხრივ დაცულად ვგრძნობდი თავს, მოზარდობისას სულ პირიქით, მარტოობისა და მიუსაფრობის განცდა დამეუფლა. დიდი დრო დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს შორის — უფროსებშიც და თანატოლებშიც — შემნის და ქომაგის ძიებას აზრი არ ჰქონდა. მრავალი მარცხისა და ტკივილის შემდეგ მარტოობას, განსაცდელის პირისპირ საკუთარი თავის იმედად დარჩენას მივეჩვიე და ვარ ასე დღემდე.

* * *

„ადამიანისთვის სამშობლო უპირველესი სალოცავია, ჯერ ირლანდია, სტივი, მერე შეგიძლია იყო, რაც გნებავს, გინდ პოეტი და გინდ მისტიკოსი“ — ეუბნებიან სტივენ დედალუსს და მიუხედვად იმისა, რომ მისი პასუხი ამ მოწოდების საწინააღმდეგოდ გამოიყურება, უმკაცრესია და რეალობასთან მიახლოებული, ამ სახელისა და გვარის მქონე პერსონაჟის შემქმნელი ჯეიმზ ჯოისი, რომელმაც სრულიად ახალგაზრდამ დატოვა ირლანდია, კითხვას, დაბრუნდებოდა თუ არა სამშობლოში, პასუხობდა — „ოდესმე კი დამიტოვებია იგი?“

* * *

გვასწავლიდნენ ათეიზმს, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, პოლიტეკონომიას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას.

ზაფხულობით დავყავდით სამუშაოდ — ასფალტის დასაგებად, ცემენტით სავსე ვაგონების გადმოსატვირთად, ბეტონის საზელად. შესამოწმებლად ჩამოდიოდნენ ბობოლა კომკავშირლები და თუ რამე არ მოეწონებოდათ, ბღაოდნენ ხაფი ხმით.

ლექციებს გვიკითხავდა ნაფრონტალი პროფესორი, რომელიც იოლად ბრაზდებოდა და ყბააკანკალებული გვეუბნებოდა: თქვენისთანებს „პად ტრიბუნალ“ ვუშვებდი ომის დროსო.

ორმოცდაათიან-სამოციანი წლების სტუდენტების მიერ დიდად ნაქებ და ლამის „აგორად“ შერაცხულ უნივერსიტეტის ბაღში ნაირ-ნაირი „სტრელკები“ ინიშნებოდა — „საქმის გასარჩევით“ დაწყებული „მოსაწევზე“ ფულის გასატანებლით დამთავრებული.

კვირის ერთი დღე მთლიანად ეთმობოდა სამხედრო სწავლებას. პედაგოგებად საბჭოთა არმიის რუსი ოფიცრები გვყავდა — სულ მაიორები და პოდპოლკოვნიკები. ქართველებიც ერივნენ კანტი-კუნტად, თუმცა, ისინიც რუსულად გველაპარაკებოდნენ. რუსი ოფიცრების უმრავლესობა არყის გადაკვრასთან მწყრალად არ იყო და ის სტუდენტები, ვისაც არ ეძნელებოდათ და არც ეზარებოდათ მათი „დაკერვა“ ჩათვლის, ან ნიშნის მიღების მიზნით, ხშირად უმასპინძლდებოდნენ წყალწყალა ლუდითა და ცეცხლოვანი „ჭაჭით“. ესენიც დიდი სიამოვნებით ყლურწავდნენ სასმელს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ უფრთხილდებოდნენ რა ოფიცრის ღირსებას, დამპატიჟებლებს არ უშინაურდებოდნენ და სახინკლიდან გამოსვლისთანავე იწყებდნენ დისტანციის აღდგენას, თუკი, რა თქმა უნდა, თავგზა არ ჰქონდათ დაკარგული სიმთვრალისგან.

სამხედროებზე გამაღიზიანებელი მეცნიერული კომუნიზმის ლექტორი გახლდათ, რომელიც გაუგონარ სიყალბეს გვასწავლიდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ნათან შჩერანსკი, ან ვარლამ შალამოვი იყო.

ამ ამბების მეხსიერებიდან გამოხმობა მტკივნეულია, თუმცა ტკივილს მთლიანად აქარწყლებენ, ხოლო მოგონებებს უკან მიერეკებიან:

ცარცმომარჯვებული, დაფისკენ მიტრიალებული, თითქოს საკუთარ თავთან მოსაუბრე ილია ვეკუა.

იმ ეპოქის ჭარმაგი მამაკაცისთვის უჩვეულოდ, ველვეტის განიერ შარვალსა და ჭრელ პერანგში გამოწყობილი „კინო“ ჭოღოშვილი.

ძველი დროების ინგლისელი არისტოკრატივით მოსაუბრე და მოქმედი არჩილ ხარაძე.

შალვა საბაშვილი

ისევ „შესაკრებთა გადანაცვლების“ შესახებ

$$a-b=(\sqrt{a}-\sqrt{b})(\sqrt{a}+\sqrt{b})$$

$$\sqrt{a}-\sqrt{b}=(\sqrt[4]{a}-\sqrt[4]{b})(\sqrt[4]{a}+\sqrt[4]{b})$$

$$a-b=(\sqrt[3]{a}-\sqrt[3]{b})(\sqrt[3]{a^2}+\sqrt[3]{ab}+\sqrt[3]{b^2})$$

$$a+b=(\sqrt[3]{a}+\sqrt[3]{b})(\sqrt[3]{a^2}-\sqrt[3]{ab}+\sqrt[3]{b^2})$$

„ლიტერატურული გაზეთის“ წლევანდელ პირველ საშემოდგომო ნომერში დაიბეჭდა პაატა ნაცვლიშვილის შთამბეჭდავი ზომის ნაწარმოები „შესაკრებთა გადანაცვლება“. ამ პუბლიკაციას არ შეეძლო არ მიეპყრო ჩემი ყურადღება, ვინაიდან: 1. ეგრეთ წოდებული ძირითადი პროფესიით (გავრცელებული ბანალური კლასიფიკაციის მიხედვით) მათემატიკოსი ვარ, შესაკრებიცა და გადანაცვლებაც კი უპირატესად მათემატიკური ცნებებია; 2. ჩემი საქმიანობის ერთი დიდი ასპექტი პოეზიაა, განსახილველი პუბლიკაცია კი სწორედ ლექსის ფორმის ქმნილებას წარმოადგენს; 3. რამდენი აზრობრივად დასაშვები და მეტ-ნაკლებად ერთნაირი შინაარსის მქონე წინადადების მიღება შეიძლება რომელიმე მოცემული წინადადებისაგან მის შემადგენელ სიტყვათა ურთიერთგადანაცვლებით, ეს მოცემული ენის თავისებურებებზეა დამოკიდებული, ენის ფორმალური სტრუქტურა და სემანტიკური ველი კი ყოველთვის მაინტერესებდა; ამ ჩამონათვლის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

ცხადია, ნაწარმოებს სულმოუთქმელად გავეცანი, ამასთან არა თანმიმდევრობით, როგორც ნებისმიერ სხვა ლექსს წავიკითხავდი, არამედ განუწყვეტელი უკანსვლებით: თავიდანვე მიზნად დავისახე, გამერკვია, რა პრინციპით იყო დალაგებული საწყისი სტრიქონიდან — „მხარზე მზე ჰქონდა გადებული მართლა თოხივით“ — შემადგენელ სიტყვათა ურთიერთგადანაცვლებით წარმოქმნილი სტრიქონები და იყო თუ არა მიღებული სიმრავლე სრული. ეს კი გარდაუვლად გულისხმობდა უზარმაზარი ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილებისათვის თვალის ხელახლა გადავლებას კითხვის ყველა ეტაპზე, ანუ ყოველი ახალი სტრიქონის გაცნობისას. ამის გამო იმ ორ საათში, რომელიც ამ საქმეს დავუთმე, ლექსი მთლიანობაში ალბათ რამდენჯერმე მაინც გადავიკითხე — ვიმეორებ, არა მიმდევრობით, არამედ მზერის უთვალავჯერ გადანაცვლებით ლექსის მთელი სხეულის ცალკეული ადგილებიდან მისი სხვა ადგილებისაკენ. ცხადია, სტრიქონთა ყველა ვარიაციის პოეტური სურნელი — ამოსავალი სტრიქონი კი იშვიათი წარმატებითაა შერჩეული — კითხვის მთელ პროცესში სასიამოვნო შეგრძნებას ქმნიდა, მაგრამ ჩემი, როგორც მკითხველის, ძალისხმევა სანახევროდ მაინც მათემატიკის სფეროში იყო გადართული და სიტყვათა უამრავი ექვსელემენტიანი სიმრავლის შეუცდომელ ურთიერთშედარებას ისახავდა მიზნად. ამიტომ კითხვის დასასრულს ამ ლექსის მხატვრული სრულყოფილობის ამომწურავი შეფასება (ჩემი, როგორც ერთ-ერთი მკითხველის აღქმის სუბიექტურობის ფარგლებშიც კი) ვერ მოხდებოდა. ჯერჯერობით პასუხი მხოლოდ სტრიქონთა ვარირების პროცესის სისრულეს გაეცა.

შთაბეჭდილება კი ძალიან დიდი იყო. კითხვის დასრულებისთანავე გადავწყვიტე, დამერეკა ავტორისთვის (საბაბზე მოგვიანებით ვიტყვი). მაგრამ რამდენადაც სწრაფად გავეცანი ნაწარმოებს, იმდენადვე ვიზანტე ავტორისთვის აზრის გაზიარება. სანამ ტელეფონის მოძიებას მოვახერხებდი, უკვე გაზეთის მომდევნო

დასასრული მე-6-7 გვერდებზე

* * *

დღეებ უცბად ღამდების,
სულს სინათლე სწყურის.

ანასტასიას

ფრესკითა რო გადმიყვან,
ჩემ სახლში რო ჩამასხალ
ცისფერთვალა, ქათქათა,
ქერათმიან ტასოჲ.

ენაჭიკჭიკ-ლაჭუკა,
ერთ ნახორ მერცხალიკა,
ჩემ ღაბუა ერთნამცეც,
ჩემ ჭიკჭიკა ტასოჲ.

გმადლობ, ჩემ ტკმილ უფალო,
ჲამაზე დიდ წყალობაჲ
რა უნდ მოგეღვ ცოდვილიზდ,
ვიდრე ჩემ მზე ტასოჲ...

* * *

ზამთრის პირის დღეები,
ტანს სიცივე განამჯდარ...

* * *

ემაგ მბილა ეკალსთან
სიფხიზლე გინდ, იმთხილ,
თვარ ისთა დროს შეგეშჭმებ
არ მოლოდინს, ცივცივ.
სათვალფროდა ღიმნაშალმ
სუც არ იცის სირცხვილ,
მბილა ეკალზე ურჩოჲ
ტკივილ არც რამ იცის...
ნადგომ გუბე შმორდების,
მდუმარ მტერსთან იმთხილ!..

* * *

თავს თავდანებებულ,
თავს იმედდასხლეტილ,
თავზე ალდახვეულ.
თავ ქვისად ნაწყვეტარ,
თავს ჭირანატეხარ, —
ჲასრ მიწას ჩახვეულ.

* * *

ზუგრა, ჯერაც ვერ იც, რო
თენგიზ აღარ გვყავის,
მაინც მოიდ გაზაფხულ,
მაინც ხეებ ყვავის.
მაინც მწვანედ ჯეჯილდებ
მინდვრებ ჭვავის ყანის,
მაინც ვარდებ იშლების,
მზეს ირომებს ცაიც.
შენთან ბევრ საჩივლა მაქვ,
იქნებ არც ღირს თქმაიც,
ზუგრა, თენგიზ აღარ გვყავ,
ნუშებ მაინც ყვავის...

* * *

ვიარეთ ჯეილობას —
კელაპტარა ყვავილით ნაყაიჩო ნაქარგ.
ჲახლ თვალსაც ძლივა ვაწვდენთ, —
იმ ყვავილებსთან დამჭკნარ სიჯეილე ნაკარგ.

რამდენ ფერი-დ დღე წაგვართვ
ჭელითა, ამირანო, წუთისოფელმ ნაპარმ...

* * *

სულო, ჩამშვიდდ მშფოთვარო,
მოსასვლელა მაინც მოვ...

* * *

დედი, ქანც გამოგაცალ
ჲამ დუნდობელ სამზეომ,
აღარაფერ არ დამრჩავ, —
ამბობ, — სოფლიზდ სამწკნეოჲ.

ჩემ დედო, ნუ ასჩქარდებ,
ერთხელ მოვ კაც სამზეოდ,
ჩემ ჭკვიანად დამჭკნარო,
ჩემდ სუ ჯეილ დედო...

* * *

ნუ სთქანთქარებ, ეთერო,
კარიღ გეღოს ცისაჲ,
კავკასიონს დეფინოს
მქრქალ სინათლე მზისაჲ.
დედამიწამ თავს დიდგას
ნათლის გვირგვინ მზისაჲ,
ნუ სჩქაფუნობ, ეთერო,
კარ იღების ცისაჲ.

ეთერ თათარაიძე



* * *

დილის წირვის მადლ შეგვეწიოსავ, —
იცოდის მამამ.
სანამ ქვეყანა ლოცვად არ მექც,
ვერ ვიგებდ მანამდ.
შორ გზაზე წასვლის წინ ადრ ადგომა
იცოდის მამამ.
სანამ დროის ფასს გემო ვერ გუგ,
ვერ ვხვდებოდ, რადავ.
ჩემ ქვეყნის ცა-მზე სუ დაწმენდილივ, —
იცოდის მამამ.
სანამ მტრის ტყვიამ ცა არ დამილეწ,
ვერ ვსწვდებოდ მანამდ...
კიდევ ვინ მოსთვლის, რა'არ იცოდ
ჩემ ქანცცლილ მამამ.
რა'ადათ-წესრიგ მოყვარე იყვ
ჩემ დაღლილ მამაჲ.
ჩემ თბილა მამაჲ,
ალალა მამაჲ...

* * *

ნელა-ნელა მიდენილ
ბეს სოფელი-დ მქვრალ,
ერთ დროს ანაძგერალ გულ
მოღალულა-დ მცვდარ.
შენ სამოკლო სოფელზე
გაჯავრებულ, მწყრალ...

* * *

არ დამიწყვ მიდ-მოდებაჲ,
უჭკოდა ჩემ მშვიდებაჲ,
მე უმძიმეს გზა მიძ წინ,
გარიდებულ ფლიდებას.

არ მიკვლიავ, არც ვიკვლევ
საამქვეყნო დიდებას.

* * *

თმაგაწეწილ ეთეროჲ
უცბად თვალწინ გამიჩერდ,
მემრ მოსხლეტით გამექც.

ნუ წამიხვავ,-გავედევნ,
ცოტახან მახედვიევ
ბალღობასავ, — გავკერპდ.

უცბად თეთრ სამოსნამოს,
თეთრ თმა მჯრებს დანაშალარ
თოვლად ვიქცი-დ გავპენტდ...

* * *

დაშემოდგომდ გარეთა-დ
გადასთველჯმელდ სულში...

* * *

გაგაოჯროს გამჩენელმ
სიბერისაკ ხრაო,
გულს სისუსტე ნაყარო,
გმინის-გმინზე ყრაო.

ქვაზე ჩიტის კვალსავით
სიჯეილის ნთქმაო...

გატიალოს გამჩენელმ,
აი, ჰაგრეა!..

* * *

მეად ჩემ დანანატრალს
კაბებ გვაცვი დახეულ...

* * *

ეტყობ, წინავ ჩიტ ვიყავ
ჯანგისფერში მზისფერებ
შენარევალ ბუმბულით.

* * *

წუხრიც ჩიტად ნაქცევარმ
დანოთა გოგრულთისაკ ფრიალია წავიღ...

* * *

თავდაბლობაზე უფრო
ღვთიურ არაი,
თავაღერილ ცოდვილი-დ
ცარა-ფარაი.
ბოღმა სასჯელ რო არის, —
ანა-ბანაი,
ხარბ რო განსაჩხრეკელი-დ
არამთ-არაი...
ჲამას ბჭობა არ უნდ, არ,
ანა-ბანაი...

* * *

— ეთერო, ხპატარავდებ,
მართლ ჩიტის სწორ დარშჩებ.
— ჰოად ფთებს შევისხამა-დ
ცისაკ წავალ, „ტიავ“...
— ეთერო, შენ რა'გტკივის,
არავის არ აჩვენ.
— ჰოა-დ ჩემ წილ სამზეოს
ხო ვთქვი, თავა ვშჭრიავ.
— ეთერო, შენ ფიქრებით
რა ვერავინ გამჩნევს.
— ფიქრ მით არის მოგონილ,
ვემადლ უზღვროდ გამჩენს.
— ეთერო, შენ ვერავინ
ვეროდის ვერ გაგტეხს,
— როგორ არ, თვალნაფართალ
მომივა-დ თავს გამსლეკს.

* * *

მოდივ, — გიძახ, — წავიდავ,
დღეებ გვიცოტა'დებავ,
გვეპარებავ სამზეოჲ.

თუ სიჭრელე დიკარგავ,
ერთფერ წუთისოფლიზდავ
რა'ღაავ სამწკნეოჲ?

შენ ჭმა მწვდების შორითაჲ...

ბედნიერება მინდოდ,
ვებღაჯურ, ვერ გამოვთარ
ცრემლის მლაშე ტბორითაჲ...

* * *

დაზძინები ბუნებას,
ჩანაღველფი ბუხარ,
თეთრ ზეწარ წანასუდრალ,
ჩუმ ნართვამ, გუშ მქუხარ.
მდინარე ღგდი მინდორზე,
ცა ახურავ მწუხარ.

შენაც ჲამ სითეთრეში
თავს იკვლევ, იქ თუ ხარ...

* * *

— ჩქარა, თორე ჩამოსწვიმს,
ცას შავ ღურბელ ხვიავის,
ფეჭ აჩქარ, თვარ არე-კარს
ცით ნასეტყვარ ხფიავის.

— დამშვიდდ, ამინდ სუ იცვლებ,
ცათ სუ კაბებ სცვლიავის,
ხვალ გარევ მზე აჯობებს,
ცის ქიმთ მრეშ ალ ხვიავის.

— აჩქარდ, აჩქარდ, მოღნამავს,
ცას მქრქალ ნისლებ სიავის.

— დაშოშმინდიღ, კარგაო,
ცას სუ კაბებ სცვლიავის.

* * *

ლავახ რაიმ კაც იყვის,
პატას ლანგობდის,
„კაცივ არ მოკვდებისავ,
მანამევ ცოცხალიავ,“ —
სუ ჲაგრ ამბობდის...

ისიც ჲახლ მიწაში წევს,
ჲამ მზეს განდგომილ...

* * *

რა'გვერც ხატ საბძანისში,
გულში მიზის სამშობლოჲ.

* * *

ღმერთო, მომკითხედ დამსაჯ,
რაისიც ღირს ვიყვ...

* * *

არ გე᾽ტეხივ სიცივე
მოძალებულ დღეებს,
განაყვითლარ-ნაშიშვლარს
გაზაფხულ შველს ტყეებს.
არ გე᾽თელივ, დამიჯერ,
ბოროტრეულ დღეებს,
ბალღამის მემრ ბადაგ მა᾽ქვ
ნალოც თასით მწდეებს...

* * *

ბევრიც შიგში რო ეცედ
ბევრიც ივაგლახვ,
დამცინავ წუთისოფელ
დაგღლენცს, ახი, ახ!
ფეᲗზე რაიც გინდ გეცვას,
მარმაშ, ლაქი-დ ფლახვ,
Აამ სამზეოს ვერ გაღგლი-დ
ბოლოში ვერ გახვ.
წესად ნაქცევარ სიკვდილს
ემალ, ვერსიდ წახვ...

* * *

ხან ბეწვის Თიდს გამკიდებ,
ხან გზა-ბაწრებს ამახვევ,
თავს ხან მქრქალ სხივთ მაფევა-დ
ხან ჭექვ-ელვ-დელგმთ დამახვევ.
მაჩანჩქალებ, მაცხროებ,
უცბად ფითრ კვართს გამახვევ,
შენ ზნე-ხასიეთს ნატარს
ბოლოს მიწას ჩამახვევ...

* * *

პირ დი᾽დუმე-დ ცხვათზე ძვირ
გვამითა არ ამᲟშვ,
ფიქრს შავ ფერებ გახᲗ᾽ადე-დ
მზის სხივნ გულში ჩამᲟშვ.
ადვილად არ გიმეტვ ცხვაᲐ,
ძვირ სათქმელა᾽ აუქმ,
უფალსთან სიბუქად წედ
ბოროტებანაუქმ.

* * *

მე ჩანათბუნ ოთახში,
ის ბუმბულში მფუფუნეᲐ,
მე ჩემ ფიქრებს ჩანატკმობ,
ის თავიზდ ტკმილღუღუნეᲐ.
გამფხროკვალ ფოთოლთ ხრაშუნ,
მტკვარ თავიზდ წამდუდუნეᲐ,
მე ფანჯარას მიტმასნილ,
გარეთ ჩიტ მოღუღუნეᲐ.

* * *

ფერადქაღალდებიან კანფეტებს უგზავნიან
შორს დაკარგულ დედებ,
განანირალ შვილებს რო უკვენ მᲟბრუნდებიან,
გვიან იქნებ ბნედებ...

გაუსაგის დრო დგას Აახლ,
დრო კი არად ვერ ჩერდებ,
საქართველო დაღლილი,
საქართველო ბერდებ...

* * *

კავკასიას მინაფენ დაუთვალავ ფერებ,
ათასჯურა ადათის მატარებელ ერებ,
ათასნაერ ენაზე „იავნანას“ მღერენ
დასაბამითა დღემდის მტრისად ცრემლის მცრელებ.
სალხინოზე ცას მფრენნიდ
სადარდოზდ გულ მგვრელებ.
ერთგულისად ნაერთგულნ, ცით მასკვლავის
მფხვრელებ,
ორგულისად დუნდობრად შავ საფლავის მთხრელებ,
ერთმანეთის საშველად გულის ამომᲭრელებ.
უფიქრელად თავმნაცვლელნ, ცეცხლში შემს-
გამსვლელებ.

Აამათ მომრევ ვინ არის, Აამათ ამომგდებელ,
უფალო, თვალ არ მაშᲟრვ ჩემ კავკასიას...

* * *

შენ წვიმის ცრემლთ სცრი, ცაო,
რაგვერც დარდს მე ლექსებად...

* * *

᾽პეპელა᾽ო, არ ახფრინდ,
მოხატულ ფთებს თვალს გივლებ.

* * *

პირისქარ გამაშლევი, —
შემოსაჩივლ გამიბევრდ.

* * *

დარდის მთას ვარ შენაკიდ,
ფეᲗთ დოლაბებ მაცვი,
ცა ალაგ ღურბლით ფარულ,
ალაგ მრეში-დ ტკრაციი,
ჩემ ნატრულ Თმა მიძახის, —
ამინდ დაგვიდგ რა ცივ...

* * *

დღევანდელ დღე მე მგავის, —
მზენატრულს ნისლ ახვიავ...

* * *

მარტო მე ვიყოვ კარგავ,
ცხვათავ ჭირ მომᲭამონავ, —

Ააგრ ფონს ვერვინ გასულ!..

* * *

ეშმაკის სათარეშოდ
ქვეყანა გვაქვ ქცეულ,
ქაჯ-კუდიანი-დ მაცილ
გვყავის შემოსეულ.
სუ ღმერთის მოწყალებას
უსრულებლად ჩვეულ,
სუ განაპირებული-დ
განს გაწეულ „რჩეულ“.
უფალ მაინც არ გვმეტობს
Ჭორ-სამსალით სნეულთ...
გმადლობ, ჩემ ტკმილ უფალო,
გიბედავ მუᲗლს ხმეულ...

* * *

მეაცაღ გამიყოლეთ
თუშეთისაკ, წერონო,
სუ თავის სვირილს მყოლნო,
თავის ფიქრის მკერონო.
მეაცაღ მᲗრებ მომიხატ,
ᲭრელმᲗრიან ოფოფაო,
შენდარ ლექსის ქსელ მაქსვი,
ჯადოსან ობობაო.

სიისკ, წეროთ წ᾽რიალა᾽ვ?
სიისაკ ოფოფაო?
ხქსავაღა ობობაო?

* * *

მოხვალ ᾽იმაშ, როცა მე
გულ ყირვანში მეწვების,
როცა ქარის დალეწილ
ტყე მეწვების ლერწების.
მოხვალ იმაშ, როცა მე
გულ ცხრაკლიტულს მემწყვდევის,
ცისად თვალნაწვდენ კოშკში,
სიაც ვერვინ შესწვდების.

* * *

მომდის „მინდორა᾽შიით“
უბნელ ბალღ-ბულღთ ჟივილ,
მომდის ჩქარა მომსვლელა᾽
„ყრუვ დაოსა“ შხივილ.
სონას დედის მაკასად
სიბერისა ჩივილ,
ბალღების დანაცინარ
ბეჩავ საკოს წივილ.
სამსონა᾽ისი-დ კინთეს
ერთკვადისაᲐ ზივილ,
მესედოანთ ბერდედის
„ან-ბან-განავ“, ღივილ.
გარიბანდიან ფორეს
ავ-ჩავლაში ღიმილ,
მომდის ადამა᾽ პაპის
Თელჯოხა᾽ის ღიღინ...
მომდის ჩემ უბნის სურათთ
უსრულებლად ყივილ.

* * *

მიდ-მოდიან დაღარულ,
გადატკეცილ სახეებ,
უთვლელჯურად მოამბენ,
უთვალავივ სახელებ.
ფერად საგლოვ ჩაცმულებ,
ზოგთ ძვირფას, ზოგთ ნაკერებ,
ცხოვრების ნაყვავილარნ,
ზოგნ ნასეტყვარნ-ნაფერებნ.
ყველაისად სათითოდ
ყისმათ-მწერლის ნაწერებ,
მიდ-მოდიან ჩინჩამდნარნ,
ზოგნ თვალ-სახე მნათეებ...

* * *

ქერის მძიმე თავთავებ
მიწისკ ჩანაკიდარ,
განახაზარ ბილიკზე
მᲗედარ განაკიდარ.

განაცოფარ ღრმა Თევზე
Ჭრილ ფიᲭვ განაᲗიდარ,
ფერდზე ლუკმის წაგლეჯად
სვავ სვავს წანაკიდარ.
თავს ბევრ ცხვაიც მონახილ
ცა ცრეც, განაფიტარ...

* * *

მ᾽ასწარი ბოლო ღერის
ბუდიზდ ხვევა, ჩიტო?
ან შენ ბოლო რკო-კაკლის
სოროს შეთრა, ციყვო?
თათ მი᾽მზადე პირს დებად
დათუნა᾽ო, ბრიყვო?
ეი, დამშვრალ სოფელო,
ეი, დამშვრალ დიყო.

ბერდედა

მიწა ძალიან არის, ჩემ თავ შემოგევლოს,
ერთფერა᾽ად ჩი᾽გულებს ნაქუხარსად ნაჩუმარს,
ერთფერაად ჩამოშლის ნალაღარსა-დ ნაწუხარს,
ერთფერა᾽ად ჩი᾽გულებს ნადიდარსა-დ ნატირალს...
ერთფერაად ამოშლის ნაცისკრალსა-დ ნამწუხრალს...
მიწა მᲟრეველ არის, ჩემ თავ დაგენაცვლოს.

* * *

გულ ძაფზე მიკიდავის
ვერ ვიც, როდის ჩამოსწყდებ...

* * *

ცრემლის ყრით ჩამოგხედვენთ
დანაწვიმარ ყვავილებ
ჩამ-ჩუმ ნაფენ სამარეთ...

* * *

წავ-მოალი-დ ამოალ
ჩემ დი᾽დ შინის ნარჩომა᾽,
ნახორ-ნამცეც კერა᾽ო.

რამდენ სიზმარ მინახავ
ჩალიან ღრმა ტახტებში,
ედემს შესაფერაო.

რამდენ სურნელ დამკმევი
შენ Თანსხვეულ ყვავილთაᲐ
არა᾽ის არ ფერაო.

ძლებავ, ძალით ცხვაკ ყოფნავ,
ძალით სახეს ღიმშლაო,
ცხვათ სიმღერის მღერაო.

გულში სუ მანდ ტრიალო,
სუ მანდ ჭირ-ლხინ ყოფნაო,
სუ შენ თვალით Ჭერაო...
წავ-მოალი-დ მანდ მოალ,
გულზე თავს შემოგავლებ,
ედემს შესადრელა᾽ო...

* * *

რა᾽ იმედ მოგც, რა᾽ გირჩივ
ბალღამრეულმ თავადაც...

* * *

გულ გამიგალ შენ ნალოდნ
იმედთ შემოᲭკნობამ...

* * *

Აახლ იდგების დაღვრემილ
დანაჩუმარ არეᲐ,
ღილად ექნებ᾽ შენაბამ
ცას მირგველა᾽ მთვარეᲐ.

* * *

შენ რა᾽ გქვიან, ყვავილო,
თებერვალში მნათეო,
არ მოშიშო სიცივის...

მხატვარი თენგიზ მირზაშვილი

შალვა საბაშვილი

ისევ „შესაკრებთა გადანაცვლების“ შესახებ

დასასრული

ნომერში ბატონ როსტომ ჩხეიძის გამოხმაურების წაკითხვა მომიწია, რომელშიც ამ სახის ნიმუშთა შექმნის საფუძველზე შესაბამისი პრიორიტეტების საკითხი იყო დასმული. სახელდობრ, მითითებული იყო ოთარ ჩხეიძის ერთ-ერთი ადრინდელი ნოველის დასაწყისში სამსიტყვიანი წინადადების ვარიაციათა სრული სიმრავლის არსებობის ფაქტი. აგრეთვე განიხილებოდა, რამდენად ეფექტური ან საჭიროა სწრაფვა წინადადების ვარიაციათა სრული სიმრავლის აგებისაკენ. ამან ახალი ფიქრები აღმიძრა და ერთი ჩემი ძველი ლექსიც გამახსენა (ამაზეც ქვემოთ). ვიდრე ამ ახალ აზრებს დავალაგებდი და გადაწყვეტილების მიღებას ან განხორციელებას მოვასწრებდი, ხელში იმავე გაზეთის უკვე ახალი, მესამე პუბლიკაცია მეჭირა, რომელშიც პაატა ნაცვლიშვილმა გაგვაცნო სხვადასხვა სიგრძის წინადადებების სიტყვათა („შესაკრებთა“) გადანაცვლებების სრული სიმრავლეების მისაღებად მის მიერ ათწლეულების მანძილზე შესრულებული მართლაცდა კოლოსალური სამუშაოს კონტურები და კომბინატორიკის ცალკეული ასპექტები, რომლებიც მოგვიანებით შეუსწავლია. ყოველივე ეს ისევ და ისევ უაღრესად საინტერესო იყო. ამასთან გამოიკვეთა ერთგვარი პოლემიკა ორ ლიტერატორს შორის: როსტომ ჩხეიძე აღნიშნული ტიპის ნაწარმოებთა გამართლებას ვარირებულ სტრიქონთა ინტონაციური შეფერილობების სხვადასხვაობაში ხედავდა და ამ ვარიაციათა შედარებით მცირე ნაწილის მოყვანა მიაჩნდა საკმარისად, ხოლო პაატა ნაცვლიშვილი ვარიაციათა სიმრავლის სისრულის აუცილებლობისკენ იხრებოდა, პრობლემის წინაისტორიის გააზრებისას კი მესამე ავტორიც შემოიყვანა — იაკობ გოგებაშვილი, რომლის „აი ია“-ში დაინახა განსახილავ სტრუქტურათა ყველაზე ადრინდელი, თუმცა ასევე ყველაზე მარტივი (ორელემენტიანი სიმრავლის) ნიმუში. მივხვდი, რომ სანამ ყველაფერს გავიაზრებდი (პაატას ტელეფონი ხომ ჯერაც არ მქონდა!), მოვლენები შესაძლოა კიდევ განვითარებულიყო. თანაც ვითარებამ საჯარო ფორმატი მიიღო, ასე რომ, თუ რაიმე საყურადღებოს თქმას განვიზრახავდი, ეს უკვე „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე უნდა მომხდარიყო და არა კერძო სატელეფონო საუბარში.

პირდაპირ ვიტყვი — თემა მრავალასპექტიანია, შეფასება კი ცალკეულ მკითხველთა გემოვნებაზეცაა დამოკიდებული (აბსოლუტური ხომ ქვეყნად არაფერია!). ამიტომ რაიმე კარდინალურის თქმა გულშიც არ გამივლია. არც ორი მწერლის პოლემიკაში ვაპირებ ჩარევას. ჩემი აზრით, ისინი ისეთი ერუდირებული, მოაზროვნე და, რაც მთავარია, შინაგანი ინტერესით დამუხტული პიროვნებები არიან, ძალიანაც რომ ეცადონ, ღრმა ასპექტებს მოკლებულ რაიმე მოსაზრებას თუ თეორიას ვერაფრით მოიფიქრებენ და, მით უმეტეს, არ გამოიტანენ საჯაროდ განსასჯელად. მგონია, რომ ისინი უბრალოდ საკითხის სხვადასხვა ასპექტზე არიან კონცენტრირებულნი და, ამდენად, შესაძლოა, პრინციპულად საკამათო არც არაფერი აქვთ.ასე თუ ისე, ბოლო პასუხს ქართული პოეზიისა და ლიტერატურული აზრის განვითარება მოგვცემს. მე მხოლოდ რამდენიმე ფაქტს მივაწვდი მკითხველს, თუმცა არ მოვერიდები ზოგიერთი ნიუანსისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამჟღავნებასაც.

უპირველესად, პაატა ნაცვლიშვილის აღნიშნული ლექსის მნიშვნელობას ადასტურებს ის გაოცება, რომელიც მისი წაკითხვისას აღიძვრება მკითხველში: რა გამაოგნებლად ღრმა, მოქნილი, დრეკადი, ფერთა და ფორმათა თვალუწვდენელი პოტენციის მფლობელია ქართული ენა! ამას ყველანი ვვარაუდობდით, მაგრამ ახლა ეს ყოველივე ცხადად დავინახეთ კიდევ ერთ ასპექტში: არსებობს ექვსსიტყვიანი წინადადების 720 ვარიანტი, ყველა გრამატიკულად დასაშვები და მეტ-ნაკლებად იგივური შინაარსის მქონე! ხოლო ამ „მეტ-ნაკლებად“-ში ნაგულისხმევი ნიუანსობრივი (სტილური, ემოციური და ასე შემდეგ) სახესხვაობების სიმრავლეც წარმოუდგენლად მრავალსახაა. რაიმე მსგავსი, ჩემთვის ნაცნობ ენებში, წარმოუდგენელია (ეს უკვე აღნიშნა ავტორმაც).

რა თქმა უნდა, ამ თვისებათა მფლობელი წინადადებების ხვედრითი წილი მოცემული სიგრძის წინადადებათა სრულ სიმრავლეში მცირე იქნება, წინადადების სიგრძის ზრდისას კი იგი უეჭველია ნულისკენ მიისწრაფვის, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია.

კიდევ ერთი: ვარიაციათა ორი სხვადასხვა დასაშვები ფორმა შეიძლება, სხვადასხვა რამეს გვეუბნებოდეს. მაგალითად, „მხარზე მზე მართლა ჰქონდა გადებული თოხივით“ (13.1) პასუხობს კითხვას — ჰქონდა თუ არ ჰქონდა მხარზე გადებული მზე, ხოლო „მზე მართლა თოხივით ჰქონდა გადებული მხარზე“ (93.3) კი კითხვას: თოხივით ჰქონდა გადებული მზე თუ რაიმე სხვა საგანივით (თუმცა, ერთგვარი ძალდატანებით, სხვა ნიუანსის მიწერაც შეიძლება). ესეც საყურადღებო ასპექტია (ავტორს ისეთი ვარიაციებიც მოჰყავს, რომლებიც საწყისის საწინააღმდეგო შინაარსსაც კი ატარებს).

შემდეგ: თუ ნაწარმოებს ლექსად აღვიქვამთ, მაშინ ისიც საყურადღებო ფაქტორია, რომ სხვადასხვა ვარიაცია სხვადასხვა პოეტურ საზომს ემორჩილება. მაგალითად, საწყისი სტრიქონი 5/4/5 საზომს მიჰყვება („მხარზე მზე ჰქონდა/ გადებული/ მართლა თოხივით“) — იმავეს, რასაც სტრიქონი „სულო ბოროტო,/ ვინ მოგიხმო/ ჩემად წინამძღვრად“, „გადებული/ თოხივით მზე/ მხარზე ჰქონდა/ მართლა“ (90.1) — 4/4/4/2 საზომს (ისე, როგორც „ზუბოვკიდან/ მომავალმა/ ვნახე ერთი/ ქალი“, ან „ჯერ არასდროს/ არ შობილა/ მთვარე ასე/ წყნარი“. ბარემ ვიტყვი, რომ ეს საზომი ზოგს გალაკტიონ ტაბიძისა ჰგონია, მაშინ როდესაც იგი დავით გურამიშვილის შემოტანილია), „მხარზე თოხივით/ ჰქონდა/ მზე გადებული/ მართლა“ (39.1) — 5/2/5/2 საზომს, „მხარზე ჰქონდა/ მართლა მზე/ გადებული/ თოხივით“ (31.1) კი 4/3/4/3 რიტმს მიჰყვება, როგორც „ლურჯა ცხენები“. მერედა რაო? — იტყვით. არაფერი, თუკი ლექსის მუსიკას უგულებელვყოფთ (თუმცა, მაშინ საერთოდ რაღა შეგვრჩება?). თუმცა, ზოგან საზომი თითქმის მთლიანადაც ქრება. აი, თუნდაც: „მზე თოხივით მხარზე გადებული მართლა ჰქონდა“ (24.3) ლამის მთლად პროზაა. ესეც ერთგვარად გააძნელებს ნაწარმოების ლექსად აღქმას.

კიდევ ერთი შემობრუნება აზრისა: ჩვენს წინაშეა 720 სრულიად განსხვავებული სტრიქონი. ვთქვათ ამ სტრუქტურას მივაწერეთ გარკვეული პოეტური შინაარსი. მაგრამ საიდან გაჩნდა სტრიქონთა ზუსტად ამგვარი თანმიმდევრობა? ეს ხომ ავტორისეული, შემთხვევითი, კონკრეტული დალაგებაა! შევუცვალოთ პირველ და 720-ე სტრიქონებს ადგილები — უკვე მივიღებთ სხვა დალაგებას, ანუ სხვა ლექსს! სტრიქონთა რომელიმე სხვა წყვილის ურთიერთშენაცვლებით კიდევ ერთ ახალ ლექსს მივიღებთ და ასე შემდეგ. სულ კი რამდენი ლექსი გამოვა? ეს იქნება გონებისათვის აბსოლუტურად მიუწვდომელი რაოდენობა. მართლაც, აქაც გადანაცვლების იგივე პრინციპი მოქმედებს, რაც ფაქტორიალის ცნებას უკავშირდება. თუ 6 სიტყვა 720 განსხვავებულ სტრიქონს წარმოქმნის, 7 — 5040-ს და ასე შემდეგ. 720 სტრიქონის სიმრავლეც ანალოგიურადვე მის ელემენტთა (სტრიქონთა) მიმდევრობების (ანუ ლექსების) 720-ის ფაქტორიალის ტოლ რაოდენობას მოგვცემს. ეს კი 1-დან 720-მდე ყველა ნატურალური რიცხვის ნამრავლს უდრის, ამიტომ ბევრად აღემატება 620 ცალი ასიანის ნამრავლს, ანუ 1-ით და მის მარჯვნივ მიწერილი 1240 ნულით გამოსახულ რიცხვს! ამ უკანასკნელის გრანდიოზულობის წარმოსადგენად, უფრო ზუსტად კი მის წარმოუდგენლობაში დასარწმუნებლად, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი გალაქტიკის წარმოქმნიდან გასული წამის მემილიარდედების რაოდენობა დაახლოებით 1-ითა და 27 ნულით გამოისახება, ამავე რიცხვჯერ ნაკლებია ელექტრონის მასა ყურძნის მარცვლის მასაზე, ხოლო ტელესკოპებისთვის მისაწვდომი მთელი მეტაგალაქტიკის (ხილული სამყაროს) მასა ელექტრონის მასას მხოლოდ 1-ითა და მისთვის მარჯვნივ მიწერილი 81 ნულით გამოსახულ რიცხვჯერ აღემატება! დედამიწაზე მცხოვრებ 10 მილიარდამდე ადამიანიდან თითოეულს რომ მილიარდჯერ მილიარდი თვალი ჰქონდეს, თითოეული მათგანით წამის მემილიარდედში მილიარდ ლექსს კითხულობდეს, და ეს პროცესი გრძელდებოდეს მეტაგალაქტიკის არსებობის მთელი 14 მილიარდი წლის განმავლობაში, მაშინაც კი წაკითხულ ლექსთა სრული რაოდენობა 1-ითა და მხოლოდ 64 ნულით ამოიწურებოდა! კომენტარიც არაა საჭირო.

ისევ გამოქვეყნებულ 720-სტრიქონიან ლექსს დავუბრუნდეთ. აშკარაა, მას თავიდან ბოლომდე ცოტა ვინმე წაიკითხავს — უკვე წაკითხულ სტრიქონთა ხსოვნაში შენარჩუნება და ყოველი ახალი სტრიქონის წინათაგან განსხვავებულობის ფიქსირება მხოლოდ კომპიუტერს თუ შეუძლია! წაკითხვის გარეშე კი ნაწარმოები ფუნქციას ნაწილობრივ კარგავს.

არ გამიკვირდებოდა აღნიშნული ქმნილება რომელიმე ენათმეცნიერულ ჟურნალში მენახა დაბეჭდილი — მისი ფაქტობრივი სიმდიდრე ამასაც იმსახურებს.

ახლა კი გადანაცვლებათა რაოდენობის შესახებ. თუ სიტყვებს a,b,c,d,e,f ასოებით აღვნიშნავთ, ერთ-ერთი წინადადება abcdef იქნება. სიტყვათა ყველა შესაძლო გადანაცვლების შედგენისას კი წინადადების პირველი სიტყვის ამორჩევის 6 სხვადასხვა შესაძლებლობა გვაქვს, თითოეული მათგანისთვის მეორე სიტყვის მიწერისა — უკვე მხოლოდ 5 შესაძლებლობა, ასე მიღებული სიტყვათა 6.5 წყვილისათვის მესამე სიტყვის მიწერის 4 გზა გვრჩება, მიღებულ 6.5.4 სამეულისთვის მეოთხე სიტყვის არჩევისა — 3, მეხუთე სიტყვისა — მხოლოდ 2, მეექვსე კი აუცილებლად დარჩენილი ერთადერთი სიტყვა იქნება. აქედან, კომბინაციათა (ანუ წინადადებათა) სრული შესაძლო რაოდენობა იქნება 6.5.4.3.2.1 ნამრავლი ანუ 6-ის ფაქტორიალი.

მე შევეცადე ამომეცნო, კონკრეტულად როგორი რიგით დაალაგა არამათემატიკოსმა ავტორმა სიტყვათა ყველა შესაძლო 720 კომბინაცია ანუ მიღებული ექვსსიტყვიანი წინადადებები (ეს შეიძლება უამრავი გზით მოხდეს!). აღმოჩნდა, რომ მან მიაგნო ძალზე ეფექტურ გზას (ამაზე ის არ გვიყვება): სიტყვათა abcdef ექვსეული წარმოადგინა (abc)(def) სამეულთა წყვილის სახით. შემდეგ შეადგინა (abc) სამეულის წევრთა ყველა შესაძლო დალაგება (ასეთი ექვსია: abc, acb, bca, bac, cab, cba) და (def) სამეულის ასევე ყველა შესაძლო მიმდევრობა (ასეთიც ექვსია); მერე კი პირველი ექვსეულიდან თითოეულს რიგრიგობით მიუწერა მეორე ექვსეულიდან თითოეული, რითაც მიიღო 6.6 ანუ 36 წინადადება. მერე შეადგინა a,b,c,d,e,f სიმრავლიდან სიტყვათა პირველი სამეულის ყველა ვარიანტი (თითოეულში დანარჩენი 3 სიტყვა ავტომატურად ქმნის სიტყვათა მეორე სამეულს, ანუ ასრულებს წინადადებას) — (a,b,c)(d,e,f) წინადადების მარცხენა ფრჩხილის ab, ac, bc შესაძლო წყვილებიდან თითოეულს რიგრიგობით მიუწერა მარჯვენა ფრჩხილის d,e,f სიტყვები, რაც 9 „შერეულ“ სამეულს იძლევა (abd, abe, …, bcf), შემდეგ მარჯვენა ფრჩხილის de,df,ef შესაძლო წყვილთაგან თითოეულს რიგრიგობით მიაწერა უკვე მარცხენა ფრჩხილის a,b,c წევრები (აქაც 9 „შერეულ“ სამეულს ვიღებთ: dea, deb,…, efc), მიღებულ 18-ს კი მიამატა ორი „წმინდა“ სამეული abc და def. ასე მიღებული 20 სამეული 20 ექვსსიტყვიან წინადადებას განსაზღვრავს. და რადგან თითოეული მათგანი მარცხენა და მარჯვენა სამეულების შიგნით სიტყვათა გადანაცვლების 36 ვარიაციას უშვებს, სულ 720 ერთმანეთისაგან განსხვავებულ წინადადებას ვიღებთ. ეს კი სრული სიმრავლეა. წარმომიდგენია, რამდენი ფიქრი და ვარჯიში დასჭირდებოდა ავტორს ამის მისაგნებად! სამაგიეროდ მან წინადადებათა ძალზე სახიერი და თვალსაჩინო ჩამონათვალი მიიღო — სხვა შესაძლო მიმდევრობათა შეუცდომლად შედგენა გაცილებით ძნელი იქნებოდა.

და მაინც, ეტყობა ამ გრძელ გზაზე ავტორმა ოდნავ მოადუნა ყურადღება ორ ადგილას. შედეგად ორ-ორჯერ მოიყვანა 12 წინადადება, ამიტომ გამორჩა სხვა 12, ანუ 720-დან არსებითად მხოლოდ 708 განსხვავებული წინადადება წარმოადგინა. ეს უნებლიე უზუსტობაა, მაგრამ მაინც აუცილებლად გასასწორებელი, თუნდაც მომავალ წიგნში. ამიტომაც ვუთითებ მასზე.

სახელდობრ, სტრიქონთა ექვსეული (ავტორის ნომერაციით) 5.1, 5.2, 5.3, 5.4, 5.5, 5.6 უცვლელად იმეორებს 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 2.6 ექვსეულს. უკანასკნელს ასეთი სახე აქვს:

2.1 *ჰქონდა მზე მხარზე გადებული მართლა თოხივით*
2.2 *ჰქონდა მზე მხარზე გადებული თოხივით მართლა*
2.3 *ჰქონდა მზე მხარზე მართლა თოხივით გადებული*
2.4 *ჰქონდა მზე მხარზე მართლა გადებული თოხივით*
2.5 *ჰქონდა მზე მხარზე თოხივით გადებული მართლა*
2.6 *ჰქონდა მზე მხარზე თოხივით მართლა გადებული*

შეცდომის გასასწორებლად 5.1, 5.2, 5.3, 5.4, 5.5, 5.6 ექვსეულში სიტყვათა მეორე და მესამე სვეტები უნდა შენაცვლდეს ერთმანეთთან, რაც მოგვცემს სწორ განლაგებას:

5.1 *ჰქონდა მხარზე მზე გადებული მართლა თოხივით*
5.2 *ჰქონდა მხარზე მზე გადებული თოხივით მართლა*
5.3 *ჰქონდა მხარზე მზე მართლა თოხივით გადებული*
5.4 *ჰქონდა მხარზე მზე მართლა გადებული თოხივით*
5.5 *ჰქონდა მხარზე მზე თოხივით გადებული მართლა*
5.6 *ჰქონდა მხარზე მზე თოხივით მართლა გადებული*

ზუსტად ასევე, სტრიქონთა ექვსეული 100.1, 100.2, 100.3, 100.4, 100.5, 100.6 უცვლელად იმეორებს 97.1, 97.2, 97.3, 97.4, 97.5, 97.6 ექვსეულს, რომელსაც ასეთი სახე აქვს:

97.1 *ჰქონდა გადებული მართლა მხარზე მზე თოხივით,*
97.2 *ჰქონდა გადებული მართლა მხარზე თოხივით მზე,*
97.3 *ჰქონდა გადებული მართლა მზე თოხივით მხარზე*
97.4 *ჰქონდა გადებული მართლა მზე მხარზე თოხივით*
97.5 *ჰქონდა გადებული მართლა თოხივით მხარზე მზე*
97.6 *ჰქონდა გადებული მართლა თოხივით მზე მხარზე*

შეცდომის გასასწორებლად 100.1, 100.2, 100.3, 100.4, 100.5, 100.6 ექვსეულში ერთმანეთს უნდა შეუნაცვლდეს პირველი და მეორე სვეტები, რაც მიგვიყვანს სწორ განლაგებამდე:

100.1 *გადებული ჰქონდა მართლა მხარზე მზე თოხივით*

100.2 *გადებული ჰქონდა მართლა*
მხარზე თოხივით მზე
100.3 *გადებული ჰქონდა მართლა*
მზე თოხივით მხარზე
100.4 *გადებული ჰქონდა მართლა*
მზე მხარზე თოხივით
100.5 *გადებული ჰქონდა მართლა*
თოხივით მხარზე მზე
100.6 *გადებული ჰქონდა მართლა*
თოხივით მზე მხარზე

ესაა და ეს. მეტი უზუსტობანი მოყვანილ ლექსში არ არის — გულდაგულ შევამოწმე. ავტორს რომ სტრიქონთა მიმდევრობის ნაკლებ თვალსაჩინო ხერხი შეერჩია, ცდომილებები შეიძლებოდა მეტი დაეშვა და მათ ასე ადვილად ვერც აღმოვაჩენდით.

ბატონი როსტომი ვარაუდობდა, რომ იგი ერთადერთი იყო, ვინც განსახილველი ლექსის ყველა სტრიქონი წაიკითხა. როგორც ხედავთ, ეს ასე არ ყოფილა. მე, ჩემი მხრივ, ვვარაუდობ, რომ ერთადერთი მკითხველი ვარ, ვინც ბოლომდე შეამოწმა სტრიქონთა ურთიერთგანსხვავებულობა. შეიძლება, არც ეს ვარაუდია სწორი.

ახლა წარმოიდგინეთ, რა თავსატეხი იქნება შვიდ და მეტსიტყვიან წინადადებათა ყველა შესაძლო ფორმების სიმრავლის ზუსტი შედგენა და, ასევე, წაკითხვაც.

დამრჩა, გითხრათ, ჩემი რომელი ლექსი გამახსენა აღნიშნულმა პოლემიკამ და რატომ. ესაა „სევდიანი მუსიკა“ (თავიდან სათაურად „მთებიდან“ მქონია), რომელიც დამიწერია 28 წლის წინათ, 1987 წლის 1 ოქტომბერს 12 საათსა და 3 წუთზე უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მისადგომებთან (ჩემი ყველა, 8 ათასამდე ლექსის შექმნა ზუსტად მაქვს დოკუმენტირებული). აი, ისიც:

სევდიანი მუსიკა

მოგდგომია უეცრად უცნობი
ბურუსი კარს,
ჩამოიფრქვა მთებიდან
სევდიანი მუსიკა.

დავიწყების ფერი კრთის ნაცნობ
ზეანთებიდან,
სევდიანი მუსიკა ჩამოიფრქვა
მთებიდან,

თითქოს ხმლის სიდიადეს მკვიდრი
ფუძე მოერყა,
სევდიანი მუსიკა მთებიდან ჩამოირხა.

ო, გრძნობ, ვერ მიაღწიე!
ვით მიაღწევდი ან იქ!
მთებიდან ჩამოირხა მუსიკა სევდიანი.

რად მოგადგა უეცრად
უცნობი ბურუსი კარს?
მთებიდან სევდიანი ჩამოირხა მუსიკა.

ლექსი გამოქვეყნდა დაწერიდან 10 წლის შემდეგ ჟურნალ „მნათობის“ 1997 წლის 11-12 ნომერში. ეს იყო არჩილ სულაკაურის რედაქტორობოთ გამოსული უკანასკნელი ნომერი.

როგორც ხედავთ, ეს არის კონვენციური რითმიანი ლექსი, აგებული ორსტრიქონიანი სტროფებით. სტროფთა პირველი სტრიქონები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულნი არიან, მეორე სტრიქონები კი ერთმანეთს ემთხვევიან სიტყვათა შემადგენლობით, ოღონდ განსხვავდებიან მათი დალაგებით. ამრიგად, სწორედ მეორე სტრიქონების მეშვეობითაა განხორციელებული ამ ლექსში ეგრეთ წოდებული შესაკრებთა გადანაცვლების პრინციპი, თუმცა არა მის ამოწურვამდე. ამგვარი ამოწურვა არც ჩამოფიქრებია. რომ ჩამეფიქრებინა, 24 სტროფის შექმნა მომიხდებოდა, რაც გაჭიანურებულობის შეგრძნებას დაბადებდა. ამას გარდა, ამ ლექსის პოეტური საზომი გამოისახება სქემით 4/3/4/3/, რაც ნიშნავს, რომ კენტნომრიანი მუხლები 4-მარცვლიანებია, ლუწნომრიანები კი 3-მარცვლიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მელოდია შეიცვლება. რეალურად, მესამე სტროფში ეს პირობა დარღვეულია („სევდიანი/მუსიკა/მთებიდან/ჩამოირხა“ — 4/3/3/4 საზომითაა აგებული), თუმცა ოდნავი ძალდატანებით ეს სტრიქონი მაინც შეიძლება წავიკითხოთ თავდაპირველი სქემით: სევდიანი/ მუსიკა/ მთებიდან ჩა/მოირხა. ამისკენ გვიბიძგებს ისიც, რომ ოთხმარცვლიანი „ჩამოირხა“ ერითმება დაქტილ „მოირყა“-ს. მაგრამ იგივე თითქმის შეუძლებელი იქნება, ვთქვათ, სტრიქონში „სევდიანი/ჩამოირხა/ მთებიდან/ მუსიკა“ (საზომი არც თუ მეღოდიური 4/4/3/3-ია), თუმცა იგი აზრობრივად გამართულია და საწყის შინაარსთანაც თანხვდენილი.

რატომ დაიწერა ამგვარი ლექსი? რა თქმა უნდა, შემოქმედებითი პროცესის წინმსწრები თუ თანმხლები ყველა წვრილმანი შეუძლებელია ახსოვდეს ან თუნდაც უბრალოდ გაცნობიერებული ჰქონდეს ავტორს, მაგრამ მთავარი მოტივები ჩემთვის ნათელია. სახელდობრ, როგორც ჩანს, რაღაცამ იმდენად დამასევდიანა, რომ ამ ფაქტის ერთჯერადმა აღნიშვნამ არ დამაკმაყოფილა და მოვინდომე მისი რამდენჯერმე განმეორება. შესაძლოა, ნაწილობრივ თვით სტრიქონის („ჩამოირხა მთებიდან სევდიანი მუსიკა“) სილამაზემ დამატყვევა და აღარ მინდოდა მას მალე განვშორებოდი. სტილური სიახლის ძიებაც თავის როლს შეასრულებდა. ამასთან, ყოველი ვარიაცია სიტყვებისა აზრის თუ ემოციის ახალ ნიუანსს ბადებს. თუ პირველი სტროფის



სტრიქონში ეს „სევდიანი მუსიკა“ სტრიქონის ბოლოდანღა აღწევს მკითხველის სმენამდე, მეორე სტროფში იგი უკვე თავიდანვე შემოდის სივრცეში და ცდილობს მკითხველის მონუსხვას („სევდიანი მუსიკა ჩამოირხა მთებიდან“). მესამე სტროფში აქცენტირებულია ამ მუსიკის გამოჩენა ჰორიზონტიდან, გარესინამდვილიდან, პოეტის გარემომცველი ობიექტური მოვლენებიდან („მთებიდან ჩამოირხა“) — ესეც ღირებული ინფორმაციაა, რადგან იგივე მუსიკა შეიძლებოდა უშუალოდ პოეტის სულის სიღრმიდან დაძრულიყო (ცოტაა სულის აგებულებაში ამგვარი უეცარი რხევების მიზეზი?). მეოთხე სტროფში დამატებით ხაზგასმულია, რომ მუსიკა, რომელიც „ჩამოირხა“, სევდიანი იყო და არა მაჟორული, მოზეიმე, შთაგონებული და ასე შემდეგ. და ეს მიღწეულია სიტყვა „სევდიანის“ სტრიქონის ბოლოში მოქცევით ანუ სარითმო ერთეულად გატანით. რითმა რომ ლექსის არსის ღრმად გაშუქების (მეტიც, მისი შექმნის!) კარგი საშუალებაა, ყველა პოეტმა იცის (უნდა იცოდეს!). მეხუთე სტროფში კი წინა პლანზე წამოიწევა ზმნა, მოქმედების გამომხატველი სიტყვა („ჩამოირხა“). რა თქმა უნდა, ყველა ეს მინიშნებული ნიუანსი საწყის სტრიქონში ისედაც მოიაზრება, მაგრამ მოაზრება ანუ გულისხმობა ერთია, მათი რიგრიგობით წინა პლანზე წამოწევა და მკითხველისთვის მინათება ლექსის კითხვის მსვლელობაში კი სწორედ ამ სტილური ხერხებით ხდება შესაძლებელი (ამ შემთხვევაში ცალკეული სიტყვების წინადადების სხვადასხვა ადგილებზე გამომზეურებით). ეს შუქჩრდილთა თამაშია, ერთნაირად მნიშვნელოვანი პოეზიაში, ფერწერაში, მუსიკაში და ასე შემდეგ, რომელიც დროებით ალაგ-ალაგ მოფარებულ სახეთა თუ განწყობილებათა დასანახად გამოტანას ემსახურება. ამაზე ლექსის დედანიც მეტყველებს: როცა 4-სიტყვიანი საწყისი სტრიქონის თითოეული სიტყვა მოექცა სტრიქონის ბოლოში, ანუ გარეგნულად ამოიწურა თვალთახედვათა სიმრავლე, ლექსიც თითქოსდა უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა: დაიწერა მეხუთე სტროფიც, რომელმაც გაიმეორა ლექსის დასაწყისი (ეს გავრცელებული ხერხია, რომელიც საშუალებას იძლევა კიდევ ერთხელ გამოიკვეთოს ლექსის მთავარი თემა), ანუ კიდევ ერთხელ იქნა ნახსენები ავტორის დასევდიანება, ოღონდ ორი ცვლილებით: პირველი (არა „მოგდგომია“, არამედ „რად მოგადგა“) მოვლენის მიზეზის გააზრების მცდელობას მიანიშნებს, მეორე კი იმით გამოიხატება, რომ მეორე სტრიქონი ჯერ უცვლელად გადმომიტანია პირველი სტროფიდან („ჩამოირხა მთებიდან სევდიანი მუსიკა“), მერე კი სიტყვა „ჩამოირხა“ პირველი ადგილიდან წინადადების მესამე და მეოთხე სიტყვებს შორის გადამიტანია („მთებიდან სევდიანი ჩამოირხა მუსიკა“). ამით კი ლექსში დამატებითი, მეხუთე გადანაცვლება გამოჩნდა! ანუ ვარიაციის პროცესი გაღრმავდა და ნიუანსთა სიმრავლეც გაფართოვდა. ამით დასტურდება, რომ განსახილველი მოვლენა („შესაკრებთა გადანაცვლება“, როგორც ხერხი ლექსის შინაარსის გაღრმავებისა და ნიუანსობრივ-ემოციური გამდიდრებისა) იმ პერიოდში უკვე ჩემი ფიქრის აშკარა საგანი ყოფილა. ჯერ შეუმოწმებლად მიჭირს დაბეჯითებით მტკიცება, მაგრამ ეს ხერხი ვგონებ ჩემს ზოგ სხვა ლექსშიც უნდა იყოს გამოყენებული.

რაც შეეხება გადანაცვლებათა შესაძლო რიცხვს, ეს საკითხი ჩემთვის გასარკვევი არ იყო — ფაქტორიალის არსი ისედაც დიდი ხნის წინ მქონდა გაცნობიერებული (ახლაც თვალწინ მიდგას, 55 წლის წინ უნივერსიტეტის დერეფანში ლექციათაშორის შესვენებაზე თანაკურსელ გოგონას მისი თხოვნით „ჰაერში“ როგორ დავუმტკიცე შესაბამისი ფორმულა), ამიტომ ჩემს შემთხვევაში ყველაფერი მხოლოდ ახალი პოეტური ხერხის მიგნებით ამოიწურა.

კიდევ ერთიც. იმ პუბლიკაციაში რატომღაც მე-4 სტროფი ვერ მოხვდა. ეტყობა რედაქტორს მოეჩვენა, რომ ვარიაციები მეტისმეტად ბევრი იყო (თუმცა სულ 5 გამოვიყენე 24-დან), ანუ შეფიქრიანდა, ხომ არ მობეზრდებოდა ისინი მკითხველს. ან იქნებ აქსიომად მიიჩნია, რომ, რახან წინადადება ოთხსიტყვიანი იყო, ვარიაციათა რიცხვიც ოთხი უნდა ყოფილიყო. ამას ვეღარავინ დაადგენს, მაგრამ თვით ამგვარი ჩარევის ფაქტი რაღაცას მაინც მიანიშნებს ზემოხსენებული პოლემიკის გააზრებისთვის.

ბოლო მსჯელობანი მცირე ნიმუშია პოეტის მიერ საკუთარი შემოქმედებითი პროცესის ანალიზისა, რაც მსოფლიო ლიტერატურაში გავრცელებულია, საქართველოში კი თითქმის უგულებელყოფილი. არადა, ვის მოეხსენება პოეტის შემოქმედების საიდუმლოებანი მასზე უკეთესად?

რა მინდოდა ყოველივე ამით მეთქვა? არაფერი, გარდა იმისა, რომ ის, რამაც პაატა ნაცვლიშვილის ყურადღება მიიპყრო, მეც მომხვდა თვალში ამ ოცდაათიოდე წლის წინ, და რომ „შესაკრებთა გადანაცვლების“ ეფექტი მნიშვნელოვანია პოეტიკისათვის.

კიდევ ერთხელ გამოვხატავ ღრმა პატივისცემას პაატა ნაცვლიშვილის მაძიებელი ბუნების მიმართ.

P.S. ვაპირებდი, აღმენიშნა და გამომრჩა: ახლა ჩემთვის ძნელია გახსენება, მქონდა თუ არა ლიტერატურაში მანამდე წაკითხული რაიმე ისეთი, რასაც შეეძლო ჩემთვის განსახილველი სტილური სიახლე ეკარნახა. გასაკვირი არაა, კიდევაც მქონოდა — სიცოცხლის ძირითადი თვისება ხომ გარეინფორმაციაზე რეაგირებაა. შეიძლება ამგვარი ბიძგი მათემატიკიდანაც მომდინარეობდეს.

P.S.P.S. ეს ესაა ვახტანგ ჯავახაძის ბრწყინვალე წიგნის — „უცნობი“ — მორიგი გადათვალიერებისას თვალში მომხვდა ამ წერილის თემასთან უშუალოდ დაკავშირებული ნიუანსი: ავტორი ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონ ტაბიძის ექსპერიმენტებზე, მათ შორის წინადადებათა სხვადასხვა ვარიაციების მოსინჯვის ჩვევაზე. კერძოდ, ამგვარი ექსპერიმენტი მას ჩაუტარებია სტრიქონზე: „კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა“. ვახტანგ ჯავახაძეს მოჰყავს 5 ვარიაცია. მართალია, ერთ-ერთი მათგანი საერთოდ ახალი, გადაკეთებული ფორმაა, შეცვლილი სიტყვებითა და გაღრმავებული აზრით („კაცის გული ისეთია, თრთის შავი ზღვის მორევივით“), მაგრამ 4 დანარჩენი უკვე წმინდა წყლის ვარიაციებია. თქვენვე შეადარეთ ზემომოყვანილ სტრიქონს:

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი ზღვისა შავის,
ვით მორევი შავი ზღვისა
კაცის გული ისეთია,
ვით მორევი ზღვისა
შავის ისეთია კაცის გული,
ვით მორევი ზღვისა შავის,
ისეთია გული კაცის“.

დამეთანხმებით, ვერც ამ მასალას ავუვლით გვერდს „შესაკრებთა გადანაცვლების“ პოეტური ფენომენის განხილვისას. ოღონდ სამართლიანია გავხაზოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის ეს ჩანაწერი მხოლოდ მოსინჯვაა წინადადებაში სიტყვათა სხვადასხვა განლაგებით აღძრული ემოციური ეფექტების ურთიერთშედარებისა, ოღონდ აქ არაა შექმნილი რაიმე მხატვრული ნაწარმოები და, მით უმეტეს, საქმე არა გვაქვს ერთ ლექსში სიტყვათა ერთი და იმავე სიმრავლისგან შედგენილი რამდენიმე სტრიქონის ერთდროულ მოქცევაზე. ეს გასათვალისწინებელია.

ისე კი, გალაკტიონ ტაბიძის ეს ექსპერიმენტი 7-სიტყვიან წინადადებას ეხება! აქ ვარიაციათა სრული სიმრავლე უკვე 5040 წინადადებას გვაძლევს! ვეჭვობ, ვინმე დათანხმდეს მის სრულ ამოწერას. აზრიც არა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრულის ორი წყვილია („კაცის გული“ და „მორევი ზღვისა“), და ყველა ვარიაციას შორის ასეთიც მოიძებნება: „კაცის მორევი ისეთია, ვით გული შავი ზღვისა“. აღარას ვამბობ „კაცის ზღვისა ვით ისეთია მორევი შავი გული“ და სხვა მსგავს წინადადებებზე. შეიძლება საინტერესო იყოს, ვარიაციათა რამდენი პროცენტი ინარჩუნებს საწყისი წინადადების აზრს. ალბათ ვინმე ამასაც შეამოწმებს.

კიდევ ერთ ასპექტს მინდოდა შევხებოდი: წინადადების შინაარსის სხვადასხვა ნიუანსების მიღება სიტყვათა ყოველგვარი გადანაცვლების გარეშეცაა შესაძლებელი, სახელდობრ, ამა თუ იმ სიტყვის აქცენტირებით. ცხადია, ვგულისხმობ კითხვის პროცესს, თუმცა ხანდახან წერის დროსაც იყენებენ ამა თუ იმ სიტყვაზე მახვილის მითითებას, განსაკუთრებით წაკითხვის მრავალნაირობის გამოსარიცხად. ეს ფაქტი კიდევ უფრო აფართოებს „შესაკრებთა გადანაცვლების“ ხერხის მრავალფეროვნებას, მაგრამ ამ ასპექტს აქ არ გავშლი — ასე რომ, ამით დავამთავროთ.

* * *

რამდენიმე მოთხრობა წავიკითხე ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში.

ასეთი რამ, გამოვტყდები, ჩემთვის უიშვიათესი ამბავია. მხატვრული პროზა წიგნად მიყვარს და არა პრესის ფურცლებზე. უკანასკნელად ვაჟა გიგაშვილის სამი მოთხრობა მომეწონა, ჟურნალში წაკითხული. მას შემდეგ კაი დიდი დროა გასული, ათწლეული მაინც.

ამ ახალწაკითხულებს, ჩემი განსჯით, არც კარგი ეთქმით და არც ცუდი.

„კაიფები“, „ლომკები“, „ბარიგები“, თბილისის ერთი და იგივე ქუჩა, სულ ერთი და იგივე ქუჩა, ყოვლად ერთი და იგივე ქუჩა ვერა-ვაკისა თუ მთაწმინდის უბანში.

ავტორი ქალია თუ ვაჟი, ძნელად განირჩევა — ყოვლად აუცილებელი „მკიდია“, ანდა „მეთქი ეს ვინ სირია, ტო“...

იქნებ მაინცა და მაინც მე შემხვდა ამ ყალიბის მოთხრობები?

ხოლო თუ მთელი საქართველო ეგრეთწოდებული „მორფინისტების ჟარგონით“ ალაპარაკდა და სხვა ხალხი დაილია, ჩვენით ხომ არ გამოგვეგონებინა?

* * *

ეს სიტყვები და გამოთქმები, ბეჭდურადაც და სცენიდანაც ასე რომ მოგვიხშირდა, თუ მართლა საჭირო გახდა, კი ბატონო, რატომაც არა... ხან რისხვიანია, ხანაც გამაცინარი. მაგრამ ყოველ მეორე ფრაზაში რისთვის უნდა გჭირდებოდეს?

ისინი იმით არიან გამორჩეული, რომ ტაბუირების გამო უზარმაზარი ენერგია ახლავთ.

სრული ნებადართულობის შედეგად, რა დიდი მიხვედრა უნდა, ენერგია ეცლებათ, რაც ენის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, მას არა მხოლოდ სტილისტიკურად, სტრუქტურულადაც ვაღარიბებთ.

* * *

გაგანია საბჭოთა პერიოდი იყო, როცა ბაჩანა ბრეგვაძემ მითხრა:

— ღმერთმა ქნას, თავისუფალ საქართველოს მოვესწროთ, მაგრამ აქედანვე შეგუებულები უნდა ვიყოთ, რომ დიდი კულტურული აღმავლობა არ გველოდება. დაღმასვლა კი სავსებით მოსალოდნელია.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. თავისუფალი საქართველო აკი მიწიერ სამოთხედ გვესახებოდა.

არგუმენტი ასეთი ჰქონდა:

— კულტურა ეკონომიკური პარაზიტია, ერის ზედმეტი შემოსავლით ცხოვრობს. პატარა ქართულ სახელმწიფოს დიდი კულტურის შენახვის თავი არასოდეს ექნება.

დღესაც არ მინდა დაჯერება.

* * *

ყოველ ახალ პუბლიკაციაზე, მიღებულია, ავტორს ქებას ეუბნებიან, ზოგჯერ კიდევაც ურეკავენ. ზოგიერთი ავტორი აქეთ დაგირეკავს, ადვილად არ შეგეშვება, აღმატებული სიტყვები უნდა გამოგძალოს.

— შენ სულ შედევრებს უნდა წერდე? — ხუმრობით ვუთხარი ერთ პოეტ ქალს. იმეორა და იმეორა, ვერავითარმა წლებმა ვერ დაღალა. ბოლოს უკვე ძალიან უხერხულად ვიშმუშნებოდი. თუმცა მისი ნაწერებიდან ზოგი რამ გულწრფელად მომწონდა.

სამაგიეროდ, თვითონაც დიდი ხალისით მიხდიდა ვალს: — რა ვისიამოვნე, ო, რა ვისიამოვნე!

და ზოგჯერ, წარმოიდგინეთ, წაკითხული ჰქონდა, რასაც მიქებდა. ასეთი შემთხვევებიც გამოგვრევია.

* * *

ყოველი ამგვარი სახელდახელო ქება ძირითადად ყასიდია, სიმართლე იშვიათად ურევია.

— შესანიშნავია, — მეუბნება ნაცნობი ხმა ტელეფონზე, — ის „ზზზზზზ“ მაინც რა არის, რამდენი ვიცინე, ვაიმე, რამდენი ვიცინე!

შემდეგ ჯერზეც იმავეს მეუბნება, შემდეგ ჯერზე — კიდევ იმავეს. უნდა დამიმტკიცოს, რომ მართლა წაიკითხა, ჰაერზე კი არ მელაპარაკება.

არადა, თვალიც არ შეუვლია, ყური აქვს სადღაც მოკრული. ალბათ რედაქციაშივე რაღაც ითქვა.

კარგი დახლი დამდგომია, ყველაზე

დავით წერედიანი

თემა და ვარიაციები

უკეთესი ეგ „ზზზზზზ“ თუ დავწერე.

მინდოდა მეკითხა, თავი ძლივს შევიკავე:

— ის არ მოგეწონა, ქარების კლასიფიკაცია? მე მგონი, ძალიან დრამატულია.

და თუმცა მსგავსი არაფერი მიწერია, სიტყვასიტყვით ვიცი, რასაც

მიპასუხებს:

— ვაიმე, რას ამბობ, მომეწონა ცოტაა, ვკითხულობდი და სულ ჟრუანტელი მივლიდა!

* * *

— ალო! — ეს უკვე სხვა ხმაა, — წავიკითხე!

— დიდი მადლობა! — ამას მართლა წაკითხული ექნება.

კარგა ხნის ჭმუჭვნის მერე მეუბნება:

— იცი, მე კი მომწონს, მაგრამ სხვები ამბობენ...

შემდეგ ჯერზე ისევ იგივე მეორდება:

— იცი, მე კი მომწონს, მაგრამ სხვები ამბობენ...

ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც ასეთი მოლოცვა იყო, აგრეთვე ტელეფონზე:

— წავიკითხე. ამა და ამ სტრიქონს მძიმე ხომ არ აკლია?

მე კი მისი მხოლოდ მაქებარი ვარ, გამოტოვებული მძიმეები არ მაბრკოლებს.

* * *

„ის სხვები“ ზუსტად ვიცი, ვინც არის, ცნობილი პოეტია, მის აზრს მართლა ძალიან ენდობა. მაგრამ „იმ სხვების“ დამოკიდებულება ჩემდამი ერთ პატარა კაზუსს ემყარება, გასაღიმრად პატარას.

ერთხელ თარგმნილი სტრიქონის ორი ვარიანტი მითხრა ზეპირად, ქუჩაში შევხვდით ერთმანეთს. რომელი ჯობიაო, არჩევანი გასძნელებოდა. ძველი ამბავია, ლექსად თარგმნილი ჯერ არაფერი დამებეჭდა.

ვუთხარი, რომელიც მერჩია. ისიც დავაყოლე, ეს ლექსი მეც თარგმნილი მაქვს-მეთქი.

— მერე რა, — მეუბნება, — რაც მეტი თარგმანი იქნება, მით უკეთესი!

„აი, კაცი! ეკცე ჰომო!“ გავიფიქრე.

არადა, თურმე „ეკცე ჰომოს“ მარტივად სათვალავში არ ვყავდი. რომ იტყვიან, წერე და იკითხე...

ეს მერე გაირკვა, როცა მეც გამოვაქვეყნე ის ჩემი თარგმანი. „რაც მეტი იქნება, მით უკეთესი“ — აღარ გახსენებია.

საიდუმლო და სამუდამო მტრად მომეკიდა. ალმაცერად იღიმებოდა, ჩუმ-ჩუმად იგესლებოდა. რა არ ვცადე, ვერა და ვერ მაპატია.

* * *

„ჩვენი დრო ისეთი აჩქარებულია“, ძველთაძველი გამოთქმაა, თითქმის ისეთივე ძველი, როგორც — „ეს რა თაობა მოდის“! თუ არ ვცდები, ორივე ანტიკურია.

ლევ ტოლსტოის არაერთხელ უსაყვედურეს, სანამ „ომსა და მშვიდობას“ წერდა: „ამოდენა რომანს ვინ წაიკითხავს, ჩვენი დრო ისეთი აჩქარებულია“.

(ამ გახსენებაზე: ქართულად მაგ წიგნს უწინ „ომი და ზავი“ ერქვა. ბოლო ორი ტომის მთარგმნელს ბევრი უბრძოლია ძველი სათაურის აღსადგენად. ნეტავ უფრო სწორი რომელია?)

მეოცე საუკუნის დიდი ეპიკოსები ხომ გაჭირვებით ძლევდნენ გამომცემლობათა ზღუდეებს: „შეამოკლე, ნახევარზე დაიყვანე, მესამედზე დაიყვანე! ჩვენი დრო ისეთი... ამოდენა რომანს“...

გასაგებია, რატომაც უჩნდებოდათ ეს შეგრძნება: თვალნათლივ ხედავდნენ ირგვლივ გამეფებულ განუწყვეტელ ფაციფუცს, მოუსვენრობას, ჯახირსა და დავიდარაბას, ნარსული კი შორიდან ისეთი მშვიდი მოჩანს, ისეთი ზანტი და აუჩქარებელი... თვითმფრინავიდან ზღვას რომ დახედავ და ტალღები არ იძვრიან, აი, სწორედ ისეთი.

კი, ჩვენს დროში ტრანსპორტი თავბრუდამხვევად სწრაფი გახდა, ინფორმაცია სულ ადვილად მოსაპოვებელი, მაგრამ ამან მოსაკლავი დრო კი არ შეამცირა, უკიდურესად გაზარდა. დიდტანიანი წიგნების წაკითხვას დროის აჩქარება კი არ აბრკოლებს, არამედ ტელევიზორების წინ საათობით უქმი ჯდომა, ლამის ნარკოტიკებად ქცეული კომპიუტერული თამაშები...

* * *

ტრანსპორტის თავბრუდამხვევი სისწრაფე.

წარმოვიდგენ ხოლმე, ვთქვათ, რომელიღაც ჩემმა წინაპარმა ინდოეთში იმოგზაურა. რა ქვეყნებს გაივლიდა, რა ზღაპრულ სამყაროს ნახავდა. უკან სულ სხვა კაცად დაბრუნდებოდა, შთაბეჭდილებებით დახუნძლული, თვალსაწიერგახსნილი.

ახლა?

ნაცნობი მხვდება:

— სამი დღით ვიყავი ბომბეიში.

— მერე?

— ძალიან ჭუჭყიანი ქალაქია.

მეტი არაფერი.

* * *

ჩემი გამოცდილებით, შთაბეჭდილება საკმაოდ მკრთალია ხოლმე, შიგ მოწყენილობის დღეებიც თუ არ ჩაიკეცა.

მოწყენილობა ისეთი რამ არის, საგნებსა და მოვლენებს ახლოდან, ფართო პლანით რომ გიჩვენებს.

დაგდებულ გირჩზე დაგხრის.

ჭიანჭველების ბილიკს გაგავლევინებს.

* * *

— მეუბნები, შენზე უკეთესი რუსული იცისო? — კოპებს მიკრავს, სულ ადვილად სჩვევია გაალმასება, — ეცოდინება, რატომაც არ ეცოდინება! მერე რა, თუ ცოტა ხანს მოსკოვში მიცხოვრია! რუსულენოვანი დედა ჰყავდა, ოჯახში მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდნენ. აშკარად ეტყობა, პირველ საბავშვო წიგნებს რუსულად რომ უკითხავდნენ. მწირი ლექსიკა! პირწმინდად რუსული სინტაქსი! ცოტა ალბათ ენობრივი გაორების ბრალიც არის, გულწრფელობის ნასახი რომ არა აქვს!

ამ სიტყვებმა გამახსენა: ჩემი თანაკლასელებიდან და თანაკურსელებიდან ოთხმა თუ ხუთმა იცოდა სრულიად გამართული, ბუნებრივი რუსული. არაქართულენოვანი დედები... ნომენკლატურული ოჯახები, რუსულად მოლაპარაკე...

ჩვენთან მათი ურთიერთობა ცოტათი მიმიკრიას ჰგავდა. მართლაც შეიმჩნეოდა გულწრფელობის დეფიციტი.

* * *

კაფკასეული იოზეფ კ.-ს მიბაძვით, ჩემი დაუწერელი მოთხრობის გმირს, როგორც ამ წინაზე უკვე ვიუწყებოდი, იოზეფ ჭ. დავარქვი. იგი დღიდან დღემდე ნელ-ნელა პატარავდება.

ვინმე უჩინარმა თანამოკალმემ ეს „ჭ“ გვარად რომ არ მიიჩნიოს და გულში წყენა არ ჩაიდოს, როგორც ერთხელ, ჩემდა სამწუხაროდ, უკვე მოხდა, წამით ვხსნი აბრევიატურას და აქვე ვხურავ:

ჭიჭე.

იოზეფ ჭიჭე.

კაცი, რომელიც დღითიდღე პატარავდება.

* * *

ვიცოდი, განა არ ვიცოდი, ან, უფრო სწორად, მეცოდინებოდა, განა არ მეცოდინებოდა, რომ ამ ტანჯვის გზაზე მას, ხსენებულ იოზეფ ჭ.-ს, თვითონ პატრონი და მისი კეთილი მოურავი შეაყენებდნენ, ისინი გადაუწყვეტდნენ, ჩემს დაუწერელ მოთხრობაში შემოშუშპრებულიყო.

გმადლობთ, მეგობრებო, ძვირფასი საჩუქრისათვის!

ჰოდა, მას შემდეგ, რაც ეს ხსენებული იოზეფ ჭ. ჩემი შემოქმედებისა და ფანტაზიის ნაყოფად იქცა, თავს, საითაც მინდა, იქით ვუზამ, ქვეყნებსა და ეპოქებს ისე შემოვატარებ, გამკითხავი არავინ მეყოლება.

ამასწინათ ასეთი პასაჟი გამოვიგონე: ვითომ ეს ხსენებული იოზეფ ჭ. შუა საუკუნეებში გადაპარულიყო და კარის მასხარა გამხდარიყო.

არა, არა, ხუმრობით ვერც იქ ხუმრობდა, ხოხვა იცოდა და მხოხველობდა, მეტსაც აბეზარობდა.

ასეთი უცნაური მასხარა გამომივიდა.

მაინც იცინოდნენ, მაინც წარმატებით ეწეოდა მაგ ხელობას:

— ახ, ჩვენი იოზეფ ჭ.! ახ, ჩვენი დიდპატარა იოზეფ ჭ.!

— ვაიმე, წავიქცევი! ეს რა ლიტერატურული დარდიმანდია!

იცინოდნენ, სიცილით იჭაჭებოდნენ.

* * *

— ცხოვრება რომ თავიდან დაგაწყებინონ, რას იზამდი? — მეკითხება. მეგობარია, სულ უწიგნურ კაცთან რამდენადაც შემიძლია მეგობრობა.

— არაფერსაც არ ვიზამდი, უარს ვიტყოდი.

— არა, ამ გამოცდილებით...

— სწორედაც ამ გამოცდილებით.

ჰგონია, თავიდან რომ გაამეორებინონ, იმავე შეცდომებს არ დაუშვებს.

* * *

ძველი ჩინური სიბრძნე გვასწავლის: კაცი მისი შეცდომების მიხედვით უნდა შეფასდეს.

თავში რომ არასოდეს მომივიდოდა. არადა, თითქოს რა მარტივია.

მართლაცდა.

სწორი საქციელი ერთმანეთს ჰგავს და ხშირად ერთადერთია. შეცდომა ათასგვარია: მსუბუქი და მძიმე, უნებურად ჩადენილი და ბოროტად ჩადენილი, საპატიებელი და უპატიებელი... შუაში უთვალავი გრადაციებით.

* * *

ის, რაც გორში მსოფლიო ტელევიზიების თვალწინ მოხდა, მეცხრამეტე საუკუნეში რომ მომხდარიყო, ორი დღე დაელოდებოდნენ, მესამე დღეს მაღალი რანგის ოფიცრები ეწვეოდნენ, წამოსვლის წინ იარაღს დაუტოვებდნენ და ეტყოდნენ:

— იცი შენ, როგორც უნდა მოიქცე.

* * *

პოლიტიკოსის ყველაზე ცინიკური სიტყვები, რაც კი ოდესმე წამიკითხავს თუ მსმენია, ჟოზეფ ფუშეს მიერ ნათქვამი ფრაზაა, როცა ნაპოლეონმა ჰერცოგი ენგიენელი დაახვრეტინა.

ეკითხებიან:

— ხომ იყო ეს ბოროტმოქმედება?

პასუხი მოკლე და სხარტია:

— ეს ბევრად უარესი იყო, ვიდრე ბოროტმოქმედება. ეს იყო შეცდომა.

* * *

კრიტიკოსები, ისეთნიც კი, ნაწარმოების ავ-კარგს სწორად და ღრმად რომ ხვდებიან, მხატვრულ შემოქმედებაში უმეტესწილად მკრთალნი არიან. უარეს შემთხვევებზე ნურც ვილაპარაკებთ.

ვფიქრობ, მთავარი საიდუმლო ისაა, რომ ლიტერატურული წვრილმანის ძალა და ფასი ბოლომდე კარგად არ იციან, რაგ-

ინდ კარგადაც არ უნდა გრძნობდნენ ტექსტის სიღრმესა და მასშტაბურობას.

უპირატესობას ჩანაფიქრს ანიჭებენ, აი, იმას, სკოლაში რომ „იდეას“ ვეძახდით. არადა, ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას პირველ რიგში სწორედ წვრილმანები განსაზღვრავენ.

რასაკვირველია, წარმატებული გამონაკლისებიც ყოფილა. მათ შორის ჩვენშიაც.

* * *

დაახლოებით მსგავსი რამ დროდადრო ლექსის მთარგმნელებსაც ემართებათ.

რაა საიდუმლო, ამ ჯერზე არ გავამხელ, მე თვითონ მჭირდება.

* * *

ახლახან წავიკითხე: თარგმანის თეორიაში დღეს უკვე მიღებული აზრი ყოფილა, რომ უზუსტესად, მთარგმნელისეული გადახვევებისა და ინტერპრეტაციის გარეშე თარგმნილი ლირიკული ლექსი მკვდარი ტექსტია. მრავალი და მრავალი შეჯერების შემდეგ ბოლოს და ბოლოს ამ დასკვნამდეც მისულან.

პოეტებისაგან არ გამიკვირდებოდა, თეორეტიკოსებისაგან გამიკვირდა.

* * *

გრიგოლ ორბელიანის პოეზია, თავისი ყველა ნაკლითა და ღირსებით, ვერასოდეს იქცეოდა კლასიკად და მით უფრო მაღალ კლასიკად, პოეტურ უფსკრულში რომ არ აღმოვჩენილიყავით.

ერთხელ ხმამაღლაც ხომ უნდა ითქვას, რაც სათქმელია:

ქართული ლექსის იმ უფსკრულიდან ამობობღებას მთელი მეცხრამეტე საუკუნე მოხმარდა.

გინდ გრიგოლ ორბელიანი, გინდაც ალექსანდრე ჭავჭავაძე რომანტიკოსებად რატომ იწოდებიან, არ მესმის და ვერც გამაგებინეს.

* * *

სამაგიეროდ, რა სანახაობაა, სიტყვის რა ზეიმია, როცა მეოცე საუკუნის დასაწყისში გადმოვდივართ! რითმა ისე იწყებს წკრიალს, ბროლი რომ ბროლს შეეხება — თავის თავს შეჰხარის. ლექსი მთლიანად საკუთარ სილამაზეზე დგას, არავითარ გარესაბჯენებს აღარ საჭიროებს, პატრიოტული იქნება თუ სოციალური, თავისი თავი სავსებით ესაკმარისება.

მოდით, ნურც გალაკტიონს დავიმოწმებთ, ნურც ნურავის ისეთს, პირველთაგანთა რიგში რომ მოვიხსენიებთ.

ნიმუშად მოვიყვან კონსტანტინე ჭიჭინაძის სტრიქონებს „რიონის აპოლოგიიდან“. ვფიქრობ, კომენტარი არაფერში სჭირდებათ, თავიანთ თავს თვითონვე მიხედავენ. მხოლოდ სამად სამ სიტყვას წავუმძღვარებ — უმაღლესი სინჯის სტრიქონებია.

შენი სათავე ვინახულე დღეს მეორეჯერ.
შენ აქ სახელად უსათუოდ გშვენის ფაზისი.
მესვრი თვალებში კალმახების წითელ ფორეჯებს,
ბავშვის ცრემლივით უწმინდესი და უნაზესი.
პეშვით დავლიე შენი წყალი, რძესავით ჩვილი...
— — — — — — —
მაგრამ მინახავს სხვა სეირიც... მაშინ, როცა მე
შენი მქუხარე ამბოხების გავხდი მოწამე
და სტრიქონებიც დაგიმზადე სხვადასხვაგვარი,
ხან ულბილესად მოხაზული, ხან წელმაგარი,
ვით აბრეშუმი და ველური ტახის ჯაგარი...
— — — — — — —
შემოღამებულ ცის გუმბათზე წვებოდნენ მთანი.
თავისი სწრაფი მეძებრებით და მშვილდიანა
იალაღებზე ადიოდა თეთრი დიანა,
რომ ნადირობით დაექანცა უვნებო ტანი.

იშვიათი ძალის ალიტერაცია, ყველა ბგერას რომ იხვევს ხმოვან-თანხმოვნებიანად, რჩეულ მუსიკას რომ ქმნის და თავს არ აჩენს. მოდით, კიდევ ერთხელ მივაყურადოთ:

იალაღებზე ადიოდა თეთრი დიანა,
რომ ნადირობით დაექანცა უვნებო ტანი.

* * *

შემდეგი თაობები უფრო ყოფითს, უფრო ყოველდღიურს უბრუნდებიან, უმაგისობა შეუძლებელიც იყო, მაგრამ უკვე სულ სხვაგვარად აღჭურვილნი. თუმცა არც ის დავიწყებიათ, მოუხელთებლის მოხელთება რასაც ჰქვია, როგორც ალექსანდრე საჯაიას ამ სტრიქონებშია — არავითარი პროზაული მინარევი,

შიშველი პოეზია, სუფთა შთაგონება:

ჩემი და თეთრი თოვლის ქალია
და უყვარს მხოლოდ თოვლი და თოვა,
იგი ლაჟვარდის ერთი თვალია
და გაზაფხულზე ენძელად მოვა,
ჩემი და თეთრი თოვლის ქალია...

რაზეა? იმაზე, რასაც გოეთე „მარადქალურს“ უწოდებდა.

და რა მომხიბლავია ამ კონტექსტში არა „სატრფო“, არამედ „და“!

ლელა ლაგაზიძე

ვედრება

შენ გიხმობ მწვანე კორომში,
ბალახებს, ხეებს, ჩიტებს.
ქალს, მტრედებზე მზრუნველს,
ბროწეულის ცეცხლისფრად
დახალულ ბუჩქებს,
პეპელასთან მოთამაშე ლეკვს,
შენი მადლის ნათელი მოსავს, უფალო.
უწყალობე ჩემს სულს
უშურველი სიკეთე.
ნუ განდევნი გულიდან სიყვარულს.
ნუ გამწირავ მარტოობის უდაბნოში
სახეტიალოდ.
ტკივილი მიქციე სიბრძნედ.
მანუგეშე წარუმატებლობა,
დაცემა, მარცხი,
ისე გამაძლიერებს,
როგორც ხეები იზრდებიან
ქარის, წვიმის ხმაურში.

ხალხური მთქმელების მიბაძვა

მარტოობის კოშკში ვცხოვრობ.
სიპის ქვად მაქვს ცრემლის მძივი.
სარკმლად მთვარის ვერცხლის სხივი.
ამაკვნესებს მოგონება,
გადაიფრენს კოშკის თავზე
წეროების თეთრი მწკრივი...
მოგიტანენ ნეტა ამბავს?
უშენობით როგორ ვქრები,
როგორც ქარში სანთლის ალი,
როგორც მზეზე ვარდის ცვარი.
მარტოობის კოშკი ვაგე.
სამზერებზე გამოვფინე
რიდი, ფიქრით დაქარგული,
მხოლოდ შენთვის დამრჩა ღია
კარი სევდით შეჭედილი...

ბალახის სურნელი

გაზაფხული ალვანს მახსენებს.
მამა ბალახს თიბავს,
იკმევა ირგვლივ
ბალახის სურნელი.
იელვებს, ცა იწყებს წვიმას.
სახლის კუთხესთან
წვიმით გალუმპული მაისის ვარდიდან
შარბათივით ვისრუტავ ცვარს.
ვერცხლისფრად ბზინავს
ლოკოკინას კვალი
გოგრის ფოთოლზე.
ცვივა ჟასმინის ყვავილები
პატარა თეთრი ნიჟარებივით.
აივანზე სველდება ოფოფის ბუდე.
მოერეკება მეჯოგე
შოლტის ტყლაშუნით
ალაზნიდან ცხენების რემას.
წვება საღამო
ციცინათელების მობარბაცე ნათელით
ბაყაყების შორეული მოძახილით.

ქარები

ქარები, ჩემი მშვენიერი დები არიან.
ჩურჩულით ხსნიან
სულზე სევდის იეროგლიფებს.
ჯადოქარი მუსიკოსივით
ახმიანებენ ხეთა აკორდებს.
ფერმიმქრალ ქალაქს
ფოთლის მინანქრით ახავერდებენ.
მიხსნიან სარკმელს,
ეხებიან თმასა და ღაწვებს.
ყვებიან, როგორ დააღწიეს თავი
მთვარის ვერცხლის ზარდახშას.
კვლავ მინახულეს.
ქარები ჩემი მშვენიერი დები არიან,
ჩურჩულით ხსნიან
სულზე სევდის იეროგლიფებს...

შემოდგომის საღამოები

მოდიან ძველი მეგობრებივით
შემოდგომის ნაღვლიანი
საღამოები.
ესმით ყვავილებს
მწუხრის ჩურჩული
და ღამის კაბას
უნაზესი ჩრდილებით რთავენ.
რას შრიალებენ მეწამული ქრიზანთემები?
ჩემმა მებაღემ
დაივიწყა შეჩვეული გზა და ბილიკი.
დადგა ბაღში
განშორების ქარვის კარავი.
სევდით დაფურცლა
ვარდები და ხეთა ვარჯები,
მომიქსოვა მოფარფატე ფოთლებისაგან
სინანულის თავსაბურავი.

მონატრება

წვიმიანი განთიადისას
მონატრება მსტუმრობს.
ბავშვობის საუფლოს ვესათუთები,
ნაღველის სალბუნს.
აწვიმს მამის სახლს.
წვიმა ძვირფას,
გარდასულ ამბავს უყვება
სარკმლებს, კედლებს,
მეძინიის, ცაცხვის სურნელი
ბანგავს აივანს...
ცხოვრობს სხვენზე,
მტრედებთან ახლოს,
კეთილი სული.
მღერის ქარში გაცისკრებისას.
და ყოველ დილით
ძველ დარბაზში
ბუხარში ცეცხლს
აღვიძებს დედა...

სიყვარული

ის სიყვარული
ვაშლის ყვავილის მინანქარს
ჰგავდა.
ახლა შორსა ვართ,
თან ისე ახლოს,
როგორც ცა და დედამიწა.
თვალის ჩინზე მახატია
თეთრ გვირილებში
მოთამაშე ბატკანი.
ჩაის ბუჩქებთან ნაწვიმარი
ჰორტენზიები.
ჩვენი მთრთოლვარე ხელები,
კანკელთან დანთებული სანთლებივით
რომ ევედრებოდნენ ღმერთს
მარადიული სიყვარულის ნიჭს.
შორს, შორს გურიის მთებისკენ
მიჰყავდათ ნისლებს
მოწყენილი მზე.

იისფერი

თქვენ მოჰყვებოდით იის ყვავილებს,
ვიყავი თქვენი
ერთგული და ნაზი მხევალი...
მოგქონდათ ფრთები,
პეპელაზე უფრო ნატიფი.
ცრემლის საყურე
შემოდგომურას დახრილ რტოზე
მეტად მწუხარი.
იყავით ჩემი სულის უფალი,
ხან ძოწის ნათლით,
ხან გიშრის ბინდით.
მაჯადოებდა თქვენი გალობა,
ღვთიური ჰანგის დასადარები.
ო, სიყვარულო, იისფერიც ჩამოიფურცლა.
გულს ახსოვს მხოლოდ,
ვიყავი თქვენი
ერთგული და ნაზი მხევალი...

მამი

მამი, შენი წერილი მივიღე. ძალიან სიტყვაძუნწად ხარ, რა გეტაკა, აქამდე გრძელ წერილებს იწერებოდი. შენ არ გჩვევია მოკლე და სხარტი სიტყვა, ყოველთვის აგრძელებდი. ცოტა ავნერვიულდი, რამეს ხომ არ მიმალავს-მეთქი, მაგრამ მერე ვიფიქრე, შორს წასულ კაცს მეტი რა უნდა მოსთხოვო, ესეც მადლია და ერთი ათად დაგიფასდება.

თბილისში წვიმს, გუშინ დილას მზემ გამოანათა, მერე ქარი ამოვარდა ისეთი, რომ ქუჩაში არ გაისვლებოდა, ყველა სახლისკენ მირბოდა, ქარს წვიმა მოჰყვა და იმის მერე წვიმს გადაუღებლად. მე მეგონა, მარტო ბათუმში იცის ასეთი წვიმები, სექტემბრის თოთხმეტში რომ დაიწყება და იანვრის თოთხმეტამდე ვერ გააჩერებ, მაგრამ შევცდი. ის წვიმები მაგარია, ვანიჩკა თავის შვილს რომ უყვება ზღაპრებს, შენ რომ ღვეზელებს აცხობ, ნანუცა ფილმს რომ უყურებს, მე წიგნებს რომ ჩავუჯდები, დაგვადუმებდა, დაგვამშვიდებდა ყველას და ჩვენ-ჩვენი საქმის კეთებას დაგვაწყებინებდა, ფისოებიც ჩახუტებულები რომ იწვნენ, ცუგაც რომ მიჩოჩდებოდა ფანჯარასთან.

აქაური წვიმა საშინელებაა, უჟასს ემსგავსება ქალაქი, საცობებია და მაგრად ჭედავს ყველა, ავტობუსის მძღოლებს ნერვები აწეწილი აქვთ, ყველა ჩხუბობს, ყველა დაობს.

ვანიჩკამ მოიწერა წინა დღეს შენზე, მაგ კაცს ოცი პარასკევი აქვს თვეშიო. არა, რა მაგრად თქვა, არა, მამი? მეც სულ ეგრე ვფიქრობდი, მარა ვერაფრით ვხვდებოდი, რა დამერქმია. მართლა და მართლა, როდემდე უნდა იყო მანდ, კარგად თუ მაინც გიხდიან, რაღაც კაპიკებზე არ იწვალო რა, აქაც იშოვი მაგ ორ თეთრს, ჩვენთან ახლოს მაინც იქნები.

ვცხოვრობთ მე და რაფო. რაფო კარგი ბიჭია, ხმას ვერ ამოაღებინებ, ერთი ეგაა, ორი ნათესავი ჰყავს, იზა და აზა, აზრზე არა ვარ, ვის მოაფიქრდა, იზა და აზა რქმეოდათ, ვერაფრით ვხვდები, რომელია იზა და რომელი — აზა, ხან ერთს ვეძახი შეცდომით, ხან — მეორეს, იშვიათად დავამთხვიო, მაგრამ არ სწყინთ, მგონი, დედასაც ეშლებოდა თავის დროზე, არ გაიმტყუნებიო. რას ვამბობდი, ჩამოდიან ეს იზა და აზა და რჩებიან ჩვენს სახლში. უცნაური გოგოები არიან, დღეში სამჯერ ლოცულობენ, წაიკრავენ თავზე, ხატებს დააწყობენ მაგიდაზე, ხელებს ჩასჭიდებენ ერთმანეთს და ნახევარი საათი ბუტბუტობენ, არ ექანება არც ერთი, მაგარი სტრანნი ხალხია. მე რას ვეტყვი, ლოცვას ხომ არ დავუშლი, პროსტა იმ წუთებში მაგრად ვიგრუზები, მგონია, რომ არ უნდა ვიხმაურო, ოთახშიც არ უნდა ვიარო და ვარ ასე დაძაბული.

გოგოებმა, ჩვენ არ შეგაწუხებთ, არც ოთახი გვინდა, არც არაფერი, მისაღებში დავწვებითო. ბაზარი არაა, სადაც გინდათ, იქ დაიძინეთ-მეთქი, მაგრამ რაფომ თვალები დამიბრიალა, ჰოდა, ჩვენ დავწექით მისაღებში, რაფო იატაკზე, მე — ათას ჭირიან და უბედურება გამოვლილ სავარძელზე.

ვწევართ ერთ დღეს, რაფოს არ სძინავს, ტრიალებს, მეც, გაგიკვირდება და, არ მეძინება. რაფოს ვკითხე, ისე რატომ დადიან ეს გოგოები, ისხდნენ თავიანთ ოზურგეთში თუ სადაც-მეთქი, რაფო მომიბრუნდა, მაგ გოგოებს შენ ნუ ეხუმრები, სასწაულებს აკეთებენო, ბავშვობაში ლეღვის ხიდან ჩამოვარდნილან, მაგრად დაჟეჟილან და დედას შეშინებია, ცუდის ნიშანია ლეღვის ხიდან ჩამოვარდნა, თან ასე ორივე ერთადო. ჰოდა, დაავლო ხელი და გააქანა სოფლის ეკლესიაში, მერე ეს გოგოები აზრზე მოსულან თუ რა არის, არ ვიცი, მაგრამ შეჭრილან ამ ორთოდოქსულ სამყაროში და ერთხელაც აღმოაჩინეს, ვისზეც ლოცულობენ, უეჭველად შველით. ბაძაღუებს შვილი არ ჰყოლიათ, ილოცეს გოგოებმა, გაუჩნდათ, ნესტანას სინკარი გაერჭო ფეხში, ილოცეს, აღარ დარჩა მოსაჭრელიო. მოკლედ, მაგარი გოგოები არიან რა, ხატს უკან ამოუდებენ ნესტანას სურათს, ლოცულობენ და ეგაა რა.

მე დიდად არ მჯერავს ეგეთების, მარა ვიფიქრე, ჩემი რა მიდის, ქირას ამათ ვერ გადავახდევინებ, ოთახს ვერ დავათმობინებ, ჰოდა, ჩემი ოჯახის უბედურების სახელზეც ილოცონ, დიდი ამბავი-მეთქი, ამოვჩხრიკე შენი სურათი და ტექსტი შევამზადე.

დავიმარტოხელე ეს იზა თუ აზა, წარმოდგენა არ მაქვს რომელი, იმ ლოცვის დროს რას ბუტბუტებთ-მეთქი?! ვერაფრით გავტეხე, თითქოს სახელმწიფო საიდუმლო აქვთ რამე, ბოლოს ვუთხარი, მამა მყავს ქვეყნის იქეთ, ცოტა უცნაური კაცია, ორმოცს კი გადაცდა, მარა მაინც ვერ მოერგო ამ ცხოვრებას, სულ ვალებში და გასაჭირშია და რა იქნება, უთხარი მამაჩემის სახელი წინ რომ ხატები გიდევთ იმაზე გამოსახულ ხალხს-მეთქი.

ჯერ ერთი, ისინი ხალხი კი არა, წმინდანები არიანო, მერე მეორეც, ჩვენი მრწამსის თუ არის, ვილოცებთ, აბა, რას ვიზამთო, ძაან ზრდილად მითხრა, არც ხმას აუწია, არც თვალები დაუბრიალებია, სათნო გოგოა, ეტყობა, ხომ იცი, ეგეთებს ვიცნობ. მარა მე მაგრად დავიბენი, შემატყო კიდეც და მითხრა, ტყუილს აზრი არა აქვს, ჩვენ კი ვილოცებთ, მარა იქამც არ მიუვაო.

მერე დავჯექი და დავფიქრდი, რა რელიგიისა ხარ, შე უსახურო-უპატრონო, ვერაფრით გავიხსენე, დავურეკე შენს დას, არაფრით უპასუხა ტელეფონს, მერე მეორედაც ვცადე და შუშანამ მიპასუხა, სამსახურშია, ტელეფონი დატოვა ამ კეკელკამო, მეც ვიფიქრე, ვკითხავ, ჩემი რა მიდის, ხო არ იცი, რა რჯულისაა მამაჩემი-მეთქი, უი, არ ვიციო და დააღო პირი, იმის იგიც მამაშენთან ერთადაა და იქ ნახა, ასე იყო, ისე იყოო, ღმერთმა ხეირათ ქნას მაგ კაცის ამბავიო. მერე სამსახურშიც დავურეკე მამიდას, ვკითხე და აბა, მე რა ვიციო, ბიძაშენს დაურეკეო, ამ შენმა ძმამ, რელიგიები და სექტები სად იყო ჩვენს დროს, ეკლესიაში პირველად შენს ნათლობაზე ვიყავიო, მამა და დედა ცოცხალი რომ ყავდეს, იმათ ეცოდინებოდათო და დამიკიდა. ისე უგულოდ მითხრა, გეგონება მარტო შენ ხარ ობოლი და თვითონ არა. მოკლედ, ძაანაც რომ არ გამიგრძელდეს, ძაან ბევრთან დავრეკე, აბა, ნახვით, მე ვის ვნახავდი, ისინი ვაფშე სხვაგან არიან, ვერავინ მიპასუხა, ბოლოს რა უნდა მექნა, ნანუცას დავურეკე, აქაოდა, შენი ყოფილი ქმარია, შენი შვილების მამა, ბავშვობის სიყვარული, საერთო კაცმა გაგვიმწარა ბავშვობა, იქნებ იცოდე-მეთქი, ჰოდა, მომიბრუნდა ეს სწერვა ქალი, შენც თუ შვილი ხარო, დაიწყო ტელეფონში ღრიალი, მაგ არაკაცს რამე რელიგია რომ ჰქონოდა ან რომელიმე ღმერთის რომ შესშინებოდა, ასე არაკაცურად კი არ მოიქცეოდაო და დამიკიდა. ისევ დავურეკე, გეხვეწები, თუ შენი შვილი ვიყვე, მითხარი-მეთქი, არავის მოუნათლავს ეგ უჯიშო და საიდან ექნება რელიგიაო, უგულოდ მიპასუხა და ისევ დამიკიდა, ჰოდა, დავფიქრდი, ნეტავ ის ქალი რას მიპასუხებდა, იგივე კითხვა რომ დამესვა შენზე, აი, ის ქალი რა, ბავშვობაში, დეიდაშენიაო, რომ მატყუებდი, სამი თვე რომ ცხოვრობდა შენს ბინაში, ყოფილი ლენინის ქუჩაზე და საღამოობით დეიდასთვის შეუფერებელი ხმები რომ გამოდიოდა შენი ოთახიდან.

მოკლედ, ღმერთი, მთელი შენი სანათესაო, აზაც და იზაც მოწმეა, რომ მე კარგი მინდოდა, ძმაო, შენთვის, მაგრამ, რა ვქნა, მამი, არა გაქვს ეს რელიგია და აბა, როგორ ილოცებს ეს იზა შენთვის. კი, კი, მეც ვიფიქრე, მოვატყუებ-მეთქი, მარა არ მინდა რა, ვეტყვი რომ ულმერთო ხარ, სხვა შემთხვევაში, ირწმუნებიან, თუ ორთოდოქსი არ არის, არ მიუვაო, მაგრამ ეგ არაფერი, ვანიჩკაზე ილოცებს, სულ ზურგის ქარი დაუქროლებს შორეულ აფრიკაში.

ჰოდა, სიკეთის ქმნა მინდოდა და სულ პირიქით მოხდა ყველაფერი, ვიღვიძებ ერთ მშვენიერ ორშაბათს, მეგობარი მირეკავს, საღამოს ხომ არ დაგველიაო, ბაზარი არაა-მეთქი, მერე კი ვიფიქრე, ამ ორშაბათს რა დალევა ამიტყდა, მარა ძაანაც აღარ ჩავძიებულვარ კვირის დღეების მნიშვნელობას თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში, როცა გელევინება, უნდა დალიო, შენგან მაქვს ნასწავლი, გახსოვს, რომ მეუბნებოდი, როცა დედა აღარ გყავს, მამაც იმის გზას მიჰყვა და ძმას აღარ უნდა, შენნაირი მაჩანჩალა, სხვა რა უნდა ქნა, უნდა დალიოო, ეგ სიტყვები გამახსენდა და მერე ძაან ვინანე, რომ გენდე.

მოვედი სახლში გვიან ღამით, მთვრალი და ცოტათი აპათოლოგებული და ვეჩხუბე ამ რაფიკას, შე სირო, როდემდე უნდა გვეძინოს მისაღებში-მეთქი, ეს რაფიკაც ამიშარდა, შენ რომ დაათრევ დაქჩოებს, მე რომ მივიღო სტუმრები, რა დაშავდებაო. არა, სიმართლე უნდა ითქვას, მე უფრო ვბღაოდი, რაფოს ზრდილობა ეყო, ძაანაც არ აღელვებულა, ჰოდა ნერვებმოშლილი შევვარდი აბანოში, ფეხი დამისრიალდა და ონკანს ჩამოვეკიდე, მოტყდა ეს უბედური ონკანი და გამოასხა წყალმა ბავშვობაში ჩანჩქერებზე რომ დაგყავდი, იმაზე არც ნაკლებად. მერე გოგოებს გავუვარდი, რისი ქალები თქვენა ხართ-მეთქი, რომ დაიბანთ მაგ ტილიან თავებს, ხომ უნდა მოწმინდოთ-მეთქი, აზა თუ იზა გამოვარდა, შე არაკაცო, თმები რომ გცვივა და ტრაპიდან თმის ამოღებას ვერ ხვდები, ეგ არ გაიხსენოო, ფუ, მაგარი ბანძები ხართ, წმინდანები კი მეგონეთ-მეთქი, მერე მეორე გამოვარდა, არ ვიცი, ის იყო აზა თუ პირველი, იმან ვაფშე, ქალები რახან ვართ, არ ნიშნავს, რომ იატაკი უნდა ვწმინდოთო, ჰოდა, გამოვყლევდი, თქვენა ორთოდოქსები ხართ თუ ფემინისტკებიმეთქი?! ერთიცა და მეორეცო, მერე რაფიკას ვეცი, ამათი ჩაჯმული საქმე, შენ მოაგვარე, აგერ ონკანი, იგერ აბანო-მეთქი. რაფიკამ, მე შემეშვით, შუალედურები მეწყება, მოაგვარე შენ თვითონო.

იმ ღამეს კი გადავკეტეთ წყალი, მარა კარგა გვარიანად კი იდინა გაფუჭებული ონკანიდან და მთელი აბანო დატბორა. დილას მეზობლის კივილმა წამოგვყარა, წყალი ჩამომდის თქვენგანო, თავიდან ვუხადე ბოდიშები, მარა არ მომისმინა, ხმაური და წივილ-კივილი აღარ მეყოფოდა თქვენი ბინიდან, ახლა წყალი ჩამოუშვითო და ყურით ჩამათრია თავის ბინაში, ხელოსანს დაურეკა, მომითვალეს და სამასი ლარი უნდა ამის შეკეთებასო, ფული დაიდოს ამ დღეებშიო.

ამოვკუბოვდი ჩვენებთან, მაგრად შემოვცხე იატაკზე გართხმულ რაფიკას, როგორც გინდა, ისე მოაგვარე-მეთქი, აზამ და იზამ რაფოს მხარი დაიჭირეს, შენი მოსვრილია ეგ საქმე და შენვე მიხედეო, ჯერ ონკანი იყიდეო, მერე იმ ქალის საქმეს მიხედეო. მაგრად ვიჩხუბე, მერე დავემუქრე, წავალ და სხვაგან ვიცხოვრებ-მეთქი.

დავურეკე ყველა ჩემს მეგობარს, ხომ ვერ შემიფარებთ-მეთქი, ყველამ უარი მითხრა, მერე ფლეთმეითის ძებნაზე ფიქრიც დავიწყე, მაგრამ აბა, ვის ვიპოვიდი, რაფოც ღმერთისგან გადმოფურთხებული საჩუქარი იყო. ნახევარ საათში მივხვდი, რომ სულ ტყუილად ვფართხალებდი, რომც ჩავბჟირებულიყავი, მაინც ჩემი გაფუჭებული იყო ის ონკანი და ჩემივე გასაკეთებელი.

გავუყევი სამსახურისკენ გზას, უფროსი დავიმარტოხელე და, ბატონო ბადრი, ორი თვისა წინასწარ უნდა მომცე-მეთქი, იმ ორ თვეს რა უნდა მექნა, კაცმა არ იცის, შიმშილობისგან კედლის ფხეკას რომ დავიწყებდი, მარა რამეს ვიზამდი, ბოლოს და ბოლოს, ჯანიანი ბიჭი ვარ, ვიმუშავებდი სადმე, ვათრევდი კარდონებს და მეშოკებს. იმ გამოყლევებულმა კაცმა, ორი თვისას ვერ მოგცემ, დაჟე ამ თვის ხელფასიც დაიგვიანებს, საგადასახადო გვიზის და მაგრად გვყლეფსო. გულში კი ვიფიქრე, შენი მამაც რომ მოვტყან, ნძრევას რომ არ მიუძღვნა სიცოცხლე და შენნაირი არაკაცების არგაჩენაზე არ იფიქრა-მეთქი, მაგრამ ხმამაღლა, აბა, რას ვეტყოდი.

წამოვჩანჩალდი სამსახურიდან წყევლა-წყევლით, სულ დედას ვაგინებდი სამყაროს, იზა-აზას, რაფოს და იმ ჩანძრეულ მეზობელს. მერე ისევ დავურეკე მეგობარს, ფული უნდა მიშოვო-მეთქი, ბაზარი არააო, ნაწილს ახლა მოგცემ, ნაწილს მერეო, კი არ მინდოდა ფულის გამორთმევა, იმასაც მაგრად უჭირდა, მარა რა მექნა, გამოვართვი და წავბნელდი ელიავასკენ. არ მინდოდა, მამასისხლად გამხდომოდა ერთი ონკანი, ვიყიდე ყველაზე იაფიანი და თითქოს ყველაზე მოშნი ონკანი და წამოვეწურე სახლისკენ.

რაფომ ჩემი სახე დაინახა თუ არა, მაგრად შეწუხდა, ბოდიშები მიხადა, მაგრამ რა ჩემს ყლედ მინდოდა მაგის ბოდიშები, ონკანის დამაგრებაში დამეხმარა და მოვილაპარაკეთ, თვის ბოლოსთვის დავპირდეთ ფულის მიცემა იმ ქალსო და დავიწყოთ ახალი ბინის ძებნაო, ჩუმად გავიპაროთ ამ ყლეობა სახლიდანო. მეც გამიხარდა, ამდენი რომ მოტვინა ამ ცალფაზიანმა და ცოტა ხასიათზე მოვედი. მერე რაფომ, დავასველოთ ასეთი მაგარი ამბავიო და დალევა შემომთავაზა, არა, რა უნდა გვეზეიმა, არ ვიცი, ვალი რომ დავიდე, „შენი ჭირიმე“ თუ მტერი რომ გავიჩინე, „შენ მოუკვდი დედაშენს“, პირობა დამადებინა, მთვრალი და მყრალი არაფერს გავაფუჭებდი.

წავიწიეთ ქალაქის ცენტრისკენ, არაყი იყო გომი და კოკა-კოლა იყო თბილი, მეგობრები შემოვიმატეთ და კოლმეურნეობასთან გადავწყვიტეთ ჩამოსკდომა. მოკლედ, ვართ შუა სმაში, სიცილში და მხიარულებაში, მოვიდა კაცი სახელად ლევანა აბულაძე, თქვენთან ერთად ჩამოვსხდები, თქვენი არაფერი მინდა, ჩემი არაყი და ჩემი ლუდი მაქვს, აქეთ გაგინაწილებთ, თუ გინდათო. მოკლედ, ღამეა, ცივა, შეგვეცოდა კაცი და ჩამოვისვით რა, მარტო რა უნდა ეკეთებინა იმ ღმერთისგან დავიწყებულ ადგილას.

მარა ეს კაცი მაგარი სევდიანი არსება გამოდგა, ცოტათი აკლდა კიდეც. დაიწყო, წინა დღეს აქ ერთი გოგო გაიტანა მანქანამო და ყველას ღიმილი შეგვეყინა სახეზე, ისეთ ისტორიას მოჰყვა, სიცილის თავი აღარ გვქონდა, ბოლოს მაგარი დაახეთქა, თურმე, მარტა ერქვა იმ გოგოს, მანქანამ რომ გაიტანა, ჰოდა, ცოტა პოეტურად უნდოდა, მოეყოლა შემომატებული მეგობრისთვის იმ გოგოს ამბავი და იყო ერთი მარტა, ტროტუარზე ახტაო, სიცილი აგვიტყდა, ფისუნია კატას ლექსი გაგვახსენდა და მაგრად ვიცინეთ, თორემ იმ საწყალ მარტას რას ვერჩოდით, რა სასაცილო ეგ იყო. მე ყველაზე მაღალ ხმაზე ვიცინოდი, მაგრად გამწარდა ლევანა, მომიბრუნდა, შენა, რამდენი ნლის ხარო, ოცის-მეთქი, ჰოდა, იცოდე, ოცი წელი სროკი მაქვს მარტო მოხდილიო და ეგრევე დამაგდო, გული ჩამივარდა მუცელში, მეთქი თუ წამოფრინდა ახლა ეს კაცი და თუ გადამახვია ის ბოთლი თავზე, მერე რაღა ვქნა, ხომ იცი, ეგეთებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

კაროჩე, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, რიცხვობრივად მეტნი ვიყავ-

ით, მოვერეოდით იმ ყლისშვილს, მაგრამ მაინც მაგრად ტვინი ტყნა, არ გვაცალა ბავშვებს არც გართობა, არც დალევა და არც არაფერი, ჯერ დედაზე მოყვა, როგორ დაებრიდა, მერე შვიდი ვერელი ძმაკაცი როგორ დაასაფლავა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და ბოლოს მაგრად დავიღალეთ, ჰოდა, გავუხურეთ, ოე, ბიძა კლაუს, ჩვენ აქ დასალევად ვართ, რა დროს შენი ტრაგედიებია, ჩვენ-ჩვენი უბედურებები გვეყოფა, მერე, მაგრად მშურს თქვენი ასაკისო, ნეტავ მეც ოცი წლის ვიყოო, ტვინი აგვხადა, ბოლოს ყლეზე დავიკიდეთ და გავეცალეთ, ტაქსი გავაჩერეთ და ექვსნი ჩავიკუჭეთ სასწაულად პატარა მანქანაში. დიდი ხანი აბრუნებდა მძღოლი მანქანას, ლევანას ვუყურებდი, იმ სკამზე იჯდა, თავი ჩაეხარა და მაგრად განიცდიდა, ხომ იცი, მა, ვიცნობ მე ეგეთ ლოთბაზარა ხალხს, ვიცი მე ეგენი რეებიც არიან, მარა ეგ კაცი ცოტა სხვა იყო, ძაან მინდოდა, იმ ადგილიდან ათრეულიყო და სადმე წასულიყო, ძაან მინდოდა, დამეჯერებინა, რომ წასასვლელი ჰქონდა სადმე, ვიღაცა ელოდა სადმე, მაგრამ ისე იჯდა, წასვლას რომ არ აპირებ არსად და პროსტა რომ ზიხარ, მაგრად იმოქმედა, მერე ჩემს თავსაც გავუბრაზდი, რა იქნებოდა, რომ მოგვესმინა, ცოტათი შემეშინდა კიდეც იმ ლევანასი, მარა ყველაზე ცუდი, იცი, რა იყო, მა?

ის კაცი მაგრად გგავდა.

ჰოდა, ვზივარ ახლა მისაღებში, იზა და აზა გაეთრენ იმ თავიანთ ოზურგეთში, იქ გააგრძელებენ ალბათ სასწაულობანას.

გარეთ მაგრად წვიმს და ონკანი ისევ გაფუჭდა, აბა, მე და რაფიკა რას დავამაგრებდით, წყალი მოჩუხჩუხებს, ხმა იმ ჩანჩქერისას მიუგავს, ბავშვობაში რომ დაგყავდი, ჰოდა, მაგრად მეზარება იქ გასვლა და წყლის გადაკეტვა, დავსველდები, თან ძალიანზე მეტად, ჰოდა, მერე როგორ გავშრე, რითი გავთბე, გათბობა ჩვენ არა გვაქვს და თბილი წყალი, ფეხები რომ ჩავყო.

ისე, მაგარი არაკაცი ხარ, ეგრე ძაან რომ არ ჩაგეჯვა საქმეში, ახლა აქ იქნებოდი, ჰოდა, გსაყვედურობ, ხომ შეიძლება გისაყვედურო, სულ კარგ რაღაცებს გწერ, კარგად ვარ, ასე, ისე, არა, მამი, გატყუებ, ძალიან ცუდადა ვარ, ძალიან, ნეტავ იცოდე, როგორ ცუდად ვარ.

და შენ რა გგონია, ნანუცა კარგადაა უშენოდ? სულ ჰარე კრიშნას და რაღაც სასწაულებს გაიძახის და გვატყუებს, რომ კარგადაა, მარა ხომ იცი, მამი, ქალებისა მე უკეთ გამეგება, ვერაა კარგად ეგ ქალი, ვეერაა...

ვზივარ ამ დამპალ მისაღებში და მაგრად მიტყდება ამ წერილის დაწერა რომ მიწევს, მაგრამ შენ ვერა ხვდები, რა ცუდადაა ყველაფერი. შენ ვერა ხვდები, როგორ ძალიან ცუდია უშენობა.

შენ ვერ ხვდები, რამდენჯერ გინატრე, რამდენჯერ ვთქვი, ნეტავ აქ მყავდეს ჩემი ჯანიანი მამა-ჯანი, ხომ მაგრად მიაჩმორებდა იმ მეზობელს და თეთრს არ გადაგვახდევინებდა, ხომ მაგრად დაამაგრებდა იმ ონკანს, ხომ მაგარს მიაჯვამდა ჩემს დამპალ უფროსს, ხომ არ მომიწევდა კოლმეურნეობაზე სამლარიანი ოტკის დალევა, ხომ არ დავუჯერებდი აზას და იზას ბოდვებს.

გარეთ წვიმს და დგას ნოემბერი და წვიმა ალბათ ასველებს ჩემს გაფენილ ტრუსიკებს და წესით, უნდა გავიდე და ჩამოვხსნა, მერამდენე დღე უნდა გავვარდე სახლიდან ტოტებგანიერი და გამოხეული ტრუსიკით, მაგრამ არ მინდა აივანზე გასვლა, არ მინდა. კორპუსები ჩანს ჩემი აივნიდან და დიდი ქალაქი, მეთერთერთმეტეზე ვცხოვრობ, ეგრე კი არა, აქედან მთელი თბილისი ჩანს და ბათუმის მაღალჭერიანებში გაზრდილი პარკეტზე ნაგორავები ბიჭისთვის, შენ არ იცი, რა ტანჯვაა. მეთერთმეტეზე ცხოვრება, მაგრამ მე ხომ უკვე დიდი ბიჭი ვარ, რას გეწუწუნები, ჩემი გასავლელი გზაა, მარა იმ აივანზე არ გავალ, მთელი თბილისი ჩანს, თუ თვალს დაძაბავ, შეიძლება ბათუმიც დაინახო, მაგრამ მე არ მინდა დავინახო ქალაქი, სადაც არ ცხოვრობს ვანიჩკა თავის ცოლ-შვილთან ერთად, სადაც არ ცხოვრობს მუდამ მშვიდი, გაწონასწორებული, მაგრამ გულის სიღრმეში სტერვა და ნაბოზარი ხასიათის პატრონი ნანუცა და შენ, ჯიგარი კაცი.

მაგრამ, ვანიჩკასი არ იყოს, თვეში ოცი პარასკევი გაქვს, იქნებ ერთ პარასკევს ყლეზე დაიკიდო ეგ შენი სტამბოლი და ჩამოერეკო ბათუმში და ისევ მივარტყათ ჭიქა-ჭიქას და ისევ ვთქვათ მოკლე სადღეგრძელოები, აი, ჰემინგუეის სტილში რა.

მაგრამ, მე ხომ უკვე დიდი ბიჭი ვარ, ოცი პარასკევის და შენნაირი მამების დიდად აღარ მჯერავს, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარხარ. რა ვქნა, მამას რომ ირჩევდნენ, ატიკუსს ავირჩევდი ან ბილ გეითსს, მაგრამ ვერ ვირჩევთ და ვიღაც სირს ისევ შენ მირჩევნიხარ, ოღონდ მალე დაბრუნდი რა.

თუ არ აპირებ დაბრუნებას, წერილი მაინც მომწერე.

P.S. შენმა ლელამ სილამაზის სალონი გახსნა, ფული საიდან იშოვა, კაცმა არ იცის, რაც შენ ეგ გაღლიტე, მაგრამ საკაიფოდ მოხდა, ერთი ის ვერ დაიჯერა, ყოფილი ცოლი რომ არის და არაფრით მოქმედი. აუ, სულ მაინტერესებდა სილამაზის სალონების უფროსები რას აკეთებდნენ ბიზნესის დაწყებამდე და ახლა მივხვდი, შენნაირ არაკაცს გადაეყრებიან, გამწარდებიან, პადრუგებს რომ მობეზრდებათ კაცისგან მიტოვებულის მოსმენა და მრავალ ხმაში ლანძღვა, ხსნიან სალონებს, დაუჯდებიან მერე კლიენტებს და ეჭორავებიან დაუსრულებლად. ისე, იმ სალონში მოწევა თუ შეიძლება, ბევრს კი ეწეოდა?! უბედური, მაგრამ შენს ხელში, არ მიკვირს, არ მიკვირს.

ძაან სევდიანი ქალი კი არის ისე, მარა უფრო შტერია, ვიდრე სევდიანი, შენნაირ კაცს რომ მიანდობ ცხოვრებას და მიათხლიშავ იმდენ ფულს ან დედაჩემი უნდა იყო ან შტერი.

ლელა დედაჩემი არ არის.

ისე, დედაჩემიც კაი შტერია.

ზინა

ᲕᲘᲡᲐᲪ ზღვისპირა ქალაქში უცხოვრია, ზამთრობით, დაცარიელებულ პლიაჟზე აუცილებლად შეესწრებოდა სექსის სცენას, ცხრა თვის შემდეგ კი ქალაქში მორბენალ პატარა ნაბიჭვარს.

ჩემს ქალაქში, სანაპიროზე, ზღვასთან იმაზე ახლოს, ვიდრე ჩვენ, ცხოვრობდა ქალი სახელად ეთერა.

ეთერა, რაც თავი მახსოვს, სულ ჭაღარა იყო, გრძელ თმას კოხტად დაივარცხნიდა, მერე დაიბწნიდა და კეფასთან შეიკრავდა რგოლად. ზორბა ქალი იყო, ქონდა დიდი ბინა და აქირავებდა ოთახებს, ყავდა ორი შვილი, ანზორი და ავთორი, ძაღლი, რომელსაც პანჩო ერქვა, ლოგინად ჩავარდნილი ქმარი იაშა და კატა, რომელიც შვილივით უყვარდა.

ყოველდღიური საქმისგან დაღლილდაქანცული ეთერა ბოლმის ამოღებას სხვებზე ცდილობდა, ამიტომ ყოველ საღამოს სანაპიროზე მოაგროვებდა ბოთლებს, პოლიეთილენის პარკებს, რეზინებს და გააჩაღებდა კოცონს ეზოში, საკმარისი იყო, უკმაყოფილო მეზობლის ერთი სიტყვაც კი გაეგონა, ერთ ამბავს წაკიდებდა. ასე ჩხუბობდა ყოველ საღამოს ეთერა, მერე დაჯდებოდა თავის სავარძელში, მოისვამდა გვერდით კატას და უყურებდა სერიალებს.

წლების განმავლობაში ეთერას სახლი იცვლებოდა, იცვლებოდნენ მდგმურებიც, სულ სამი ოთახი ქონდა გაქირავებული და ამ ოთახებში, ძირითადად, სტუდენტები, უცხოელი კაცები, ცოლს გაყრილი, ეთერას თქმით, პიანიცა კაცები, ბოზები და ნაბოზრები ცხოვრობდნენ. სამ თვეზე მეტხანს ეთერას მდგმური არ უჩერდებოდა, რასაც ქალი ძალიან განიცდიდა, რა ექნა, ეზარებოდა ყოველ სამ თვეში ერთხელ ახალი მდგმურების ძებნა.

დიდი უმაქნისი შვილები ჰყავდა ეთერას, ავთორი უფროსი ძმა იყო და — დედამისივით ზორბა და ძვალმსხვილი. როგორც წესი, დღის სამ საათამდე ეძინა, ღამე კი გადასაფურთხებლადაც ვერ ააყენებდი, საწოლის გვერდით ედო ჩაიდანი, გადაჰყოფდა ხელს და ჩაუშვებდა ნახველს ეთერას მზითევში მოყოლილ „ჩაინიკში“. უმცროსი ძმა, ანზორი ტანგრძელი და მამასავით წარმოსადეგი აღნაგობისა იყო, ყოველთვის ცდილობდა, ფული ეშოვა, გამოირჩეოდა ეშმაკობით, სულ ახალ-ახალი იდეები მოსდიოდა თავში და სანამ იდეას რეალობად აქცევდა, მეორე იდეა დაარტყამდა თავში, მთელი ცხოვრება სხვადასხვა საქმეში იყო ჩაბმული, ყოველთვის ჰქონდა ფული, სამ თვეში ერთხელ სეზონურად განაახლებდა გარდერობს მეორადებში და განსაკუთრებული სიხარულით ყიდულობდა ახალ სათვალეს.

არაფრის დარდი არ ჰქონდა ეთერას, მაგრამ, როგორც კი ოცდაათ წელს გადაბიჯეს ბიჭებმა, ეთერამაც ნერვიულობა დაიწყო, რა ექნა საწყალს, უნდოდა, შვილიშვილებს მოსწრებოდა, დღენიადაგ სხვის გოგოებს უყურებდა და ცდილობდა, ეპოვა თავისი შვილების სადარი გოგო, მაგრამ ავთორის ცოლის მოყვანა არ ეჩქარებოდა, თან ეზარებოდა სახლიდან გასვლა, ხოლო ანზორისთვის ცოლი ზედმეტი ხარჯი იყო.

შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს ჩვენს ეზოს ქოლგამომარჯვებული შალის მოსასხამში გახვეული ქალი ეწვია, რომელიც ნაქსოვი ქუდით, კაშნეთი და ხელთათმანებით იწონებდა თავს, მსუბუქად მოაწკაპუნებდა ფეხებს და თან ღიმილი არ შორდებოდა სახიდან. ქუდში ზინას (როგორც მერე გავიგეთ, ასე ერქვა ქალს) მოკლედ შეკრეჭილი შავი თმა მოუჩანდა. გუბესთან დაბნეული შეჩერდა, ფეხები უცნაურად მოკეცა და რამდენიმე წამი ფიქრობდა, გადაებიჯებინა გუბეზე, შემოევლო თუ გაეტოპა, ბოლოს შემოვლა არჩია და ეთერას ბინისკენ აუყვა ვიწრო კიბეს.

ზინამ ოთახი იქირავა ეთერას სახლში. ბევრი არაფერი მოჰყოლია ქალს, ერთი პატარა ჩემოდნით მოიტანა ტანისამოსი, სამი წიგნი შემოდო თაროზე, ერთი ქოთნის ყვავილი ფანჯარასთან დადგა და ელეგანტური ბრა — საწოლის გვერდით.

ბრა ერთადერთი იყო, რაც მამისეული სახლიდან გამოჰყვა ზინას, ძალიან უყვარდა ქალს იგი, ბევრ ქალაქში უცხოვრია და ყველგან თან დაატარებდა. მამისაგან უარყოფილ გოგოს ერთადერთი რამ, რაც ბავშვობას და გარდაცვლილ მშობლებს ახსენებდა, ეს ძვირფასი და ელეგანტური ნივთი იყო. ყველაფერს შეელეოდა ქალი, მაგრამ ბრას ვერაფრით. ეთერამ თავიდანვე დაადგა ამ ბრას თვალი, შინაგანად გრძნობდა, რომ ეს ბრა მას შერჩებოდა, ზინას უთუოდ გადაავიწყდებოდა და დატოვებდა დროებით ნაქირავებ ოთახში.

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, ზინა ან ფანჯარასთან იჯდა და გაჰყურებდა ზღვას, ან ქოლგას მოიმარჯვებდა და სანაპიროზე სეირნობდა მზიან ამინდში. მუშაობით არსად მუშაობდა, არც არავის ესაუბრებოდა ეზოში, რადგან არავინ ვიცოდით რუსული. ზინამ კი იცოდა ქართული, მაგრამ მაინც რუსულად ესაუბრებოდა და ესალმებოდა ყველას, მაღაზიაში მომუშავე ეკასაც კი სამსაათიანი წვალების შემდეგ ძლივს აგებინებდა, თუ რისი ყიდვა უნდოდა, კითხულობდა თავის სამ წიგნს დაუსრულებლად, უსმენდა წვიმის რაკრაკს სახურავზე, ეფერებოდა ეთერას კატას და სამშაბათობით მთელი ღამე ტიროდა საწოლში.

როგორც კი ზაფხული დადგა, ზინამ თავისი ელეგანტური საცურაო კოსტიუმები გამოაჩინა და დაღამებამდე მზეზე იწვა, ხან კითხულობდა, ხან ჭამდა, ხან უბრალოდ იწვა და იღიმებოდა. ხანდახან ეთერას უმცროსი ბიჭი, ანზორი მიუჯდებოდა გვერდით. თავიდან ზინა ყურადღებას არც კი აქცევდა ანზორს, მაგრამ მერე და მერე ბიჭის თეთრმა კბილებმა, ჩალისფერმა თმებმა და გრძელმა, დახვეწილმა თითებმა ქალი მოხიბლა.

ერთ დღესაც ქოლგას ამოფარებული ანზორი და ზინა დავინახეთ გადახვეულები, ახლა საღამოობითაც გადიოდა ზინა სანაპიროზე და გვიან ღამემდე არ ბრუნდებოდა სახლში. რამდენჯერმე ცუდი ჭორიც დაუყარეს ბედნიერ წყვილს.

ეთერა იმდენად იყო ზინას ბრით მოჯადოებული, რომ არც კი აინტერესებდა მისი შვილის ახალი გატაცება, ზედ დაჰკანკალებდა ბრას და ყოველ დილას გულდასმით წმენდდა, თან სიყვარულით ესაუბრებოდა უსულო ნივთს.

ზაფხული ისევ შემოდგომამ შეცვალა, ანზორი უკვალოდ გაქრა, ახალმა იდეამ ქვეყნის მეორე ბოლოში გადაისროლა, ზინა აღარც ფანჯარასთან ჩანდა, აღარც სანაპიროზე ქოლგით ხელში, ერთადერთი ეთერა თუ შეუხედავდა დილას ბრას და თან ზინას გადაუგდებდა ერთ-ორ სიტყვას გატეხილი რუსულით.

შემოდგომის მიწურულს ხმა დაირხა ეზოში, უჯიშო ზინა ორსულადააო, ზამთარში მივხვდით, რომ ბოროტი ციალა არ ტყუოდა, ზინა მართლაც ორსულად იყო, მაგრამ მაინც და მაინც ვერ ხვდებოდა, რომ სხვისი განსჯის საგანი იყო, ზამთრის ბოლოს ზინა კარგა მოზრდილი მუცლით დაიარებოდა ეზოში, ყიდულობდა რძეს და ბრუნდებოდა სახლში. ახალი ამბით გაოგნებულ ანზორს სახლსგარეთ ვერ ნახავდით, იჯდა თავისთვის და გეგმავდა უჯიშო ზინასთვის შვილი წაერთმია, ოღონდ უნდოდა, ეს ისე გაეკეთებინა, რომ ბავშვის დაბადების ხარჯები ზინას გაეწია.

მაისის ბოლოს ზინას ბიჭუნა შეეძინა. ზინამ ბავშვს ბაბუის სახელი, ოლაფი დაარქვა, თეთრ საბანში გაახვია და სამშობიაროდან წამოიყვანა. ეთერასთან დარჩენილი ქირა გადაიხადა და წამოსვლა დააპირა, დიდი ხანი გეგმავდა მამისეულ დაცარიელებულ სახლში დაბრუნებას და, როგორც იქნა, ნატვრასაც ისრულებდა.

მაგრამ, როგორც ყველელა უბედურ ზღაპრის გმირს, არც ზინას დაადგა კარგი დღე, ანზორმა წაართვა შვილი, ეთერამ ქალის უბედურებით ისარგებლა და არეულობაში, წივილში და კივილში ზინას ბრა გადამალა.

დიდი ხანი არც გასულა იმ ამბების შემდეგ — მოხუცი ეთერა ისევ დაეძებს მდგმურებს, ზინას ბიჭუნა იზრდება უდედოდ და ვერც კი წარმოუდგენია, რომ არსებობენ ბავშვები, რომლებსაც დედები ჰყავთ, ხოლო სანაპიროზე დღემდე დაიარება ერთი ქალი შალის მოსასხამით, შორიდან ადევნებს თვალს პატარა ბიჭების თამაშს და იმედი აქვს გადაწურული, რომ ისევ იხილავს ბავშვობისდროინდელ სახლს.

ეთერას ბინძურ ოთახს კიდევ დიდხანს გაანათებს სიძველისგან და მოუვლელობისგან გაუფერულებული დიდებული ბრა.

ᲨᲣᲐᲦᲐᲛᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘ

ქალები იცვლიდნენ თმის ფერს
და ბავშვის გაჩენას ნატრობდნენ,
პრინცებზე ხედავდნენ სიზმრებს,
დღისით კი არაფერს ამბობდნენ.

ქალები იცვლიდნენ თმის ფერს,
დღიურში ყვავილებს ახმობდნენ,
ეტრფოდნენ ლექსებს თუ ცის ფერს,
უბრალოდ, თავისთავს ართობდნენ.

გაგა ნახუცრიშვილი. „ქალები“

— ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲝ, ახალი ამბავი მაქვს, — ნაფაზი დაარტყა, შუბლზე ჩამოშლილი უხეიროდ შეჭრილი წინამო უკან გადაიწია და გააგრძელა ლაპარაკი თინანომ, — ოღონდ არ დაიწყოთ, აქამდე რატო არ გვითხარი, სად იყავი, როგორი დაქალი ხარ და მსგავსები, გასაგებია?

— რა გაქვს ასეთი სათქმელი, აბა, გისმენთ, — იკითხა თინანოს მეგობარმა მარუსამ და ხელები მაგიდას დააყრდნო.

— ახალი კაცი გამოჩნდა...

— რაა? ვინ, დროზე მოჰყევი, ქალო, — წამოიკივლა მარუსამ.

— კი, კი, ახალი კაცი, თქვენც იცნობთ, არ გამწეწოთ ოღონდ, გთხოვთ.

— ვინა, არ მითხრა ახლა, ისევ იმ დეგენერატ პაატას დაუბრუნდი, არ გამაგიჟო.

— არა, კაცო, რაც მე მაგას დედაზე ვაგინე სიმთვრალეში, აღარც მესალმება.

— აბა, ვინ, რას გვაწამებ, დროზე ამოსთქვი.

— ბადრი... — თქვა და მღელვარებისგან ღრმა ნაფაზი დაარტყა, თან თვალები მილულა.

— რომელი ბადრი, კაცო, ვორონცოველი?

— არა, არა, ეგ ცოლიანია, რა ვორონცოველი ბადრი.

— ოჰჰ, თორემ რას ამბობ, ვითომ პაატა გზაზე დასაყენებელი სტუდენტი იყო.

— პაატას ცოლი სწერვა იყო და იმსახურებდა, ვორონცოველი ბადრის ცოლი ჯიგარი გოგოა, რეებზე მალაპარაკებთ, შიგ ხო არ გაქვთ.

→

ზურაბ აბაშიძე

— ჰოდა, ამოსთქვი, რომელ ბადრიზე ამბობ, შე დალოცვილო, — აღელვება ეტყობოდა მარუსას.

— ამაშუკელი... — ისევ ღრმა ნაფაზი დაარტყა თინანომ.

— რას ამბობ, ქალო, მაგას ხომ კიბო აქვს, გაგიჟებულხარ, კაცი დაგებრიდოს, გინდა? — წამოიკივლა მარუსამ.

— არა, აღარ აქვს, იმკურნალა.

— რანაირად იმკურნალა, ფული მაგას არა აქვს და ქონება, ნუ გამაგიჟე.

— რომელიღაცა ქვეყანამ დაუფინანსა.

— და სულ განიკურნა?

— კი, კი, ექვს თვეში ერთხელ ესინჯება ექიმს, აღარაფერი არა აქვს.

— და თქვენ საიდან შეხვდით ერთმანეთს, რეებს მელაპარაკები, პირი დამრჩა ღია.

— გამომიტყდა, სულ მიყვარდიო, ცოლმა დამადო თუ არა, ეგრევე მივხვდი, ვისთანაც უნდა დამერეკაო, ვინც უნდა გამეხსენებიაო. აი, ეგეთი ამბები მაქვს, — სიამოვნებისგან გაიბადრა მეჩხერთმიანი თინანო.

— ვაიმე, მაგისი ცოლი სულ დამავიწყდა, რა ამბები იყო, შარშან სამ შვილს რომ მოკიდა ხელი და გაჰყვა ვიღაცა უცხოელს, დააგდო ქმარი.

— ჰო, ძაან დეპრესიებში ვიყავიო, ბადრიმ მითხრა, პირველი სამი კვირა ვერ გამოვდიოდი სახლიდანო, მერეც დიდი ხანი დამჭირდა აზრზე მოსასვლელადო, ახლა კარგად ვართ.

— ვაიმე, რაღაცა მაინც არ მომწონს ეგ ამბავი.

— რატო, ნუ შემშალე, რანაირი ხარ, მარუ, დამჭკნარი დაქალის ბედნიერება როდის მერე გწყინს?!

— რაღა კიბოიან და ჯანდაბიან კაცს გადაეყარე, იდიოტკა ყოფილი ცოლით და სამი პირდაღებულით.

— ოჰჰ, თორემ რას ამბობ, ჯანმრთელები, უცოლოები და ფსიქიკურად გაწონასწორებულები სულ ვიტრინებში არიან გამოფენილები დიდი ფასდაკლებით.

— ნუ, კიბოიანი მაინც...

— აღარ აქვს, აღარ.

— მაგისგან მაინც არავინაა დაზღვეული, რო დაუბრუნდეს?

— ფუ, ფუ, — სამჯერ დააკაკუნა სამზარეულოს ხის მაგიდაზე თინანომ.

— ფუფუ არ უნდა მაგას, ავადმყოფი დედაჩემი მეყოფა, სახლში რო მიწევს.

— მოიცა, მირეკავს, — ტელეფონი აიღო და გვერდით ოთახში გაიქცა აღელვებული და სახეალეწილი თინანო.

— შენ რაღა გჭირს, ლილი, რად არ იღებ ხმას, ვაფშე სხვაგან ხარ, — მიუბრუნდა მოსაუბრის გარეშე დარჩენილი მარუსა გვერდზე მჯდომ მესამე დაქალს.

— აჰჰ, არაფერი, სამსახურმა გადამიყოლა, გამოვითიშე, — გაუღიმა ლილიმ დაქალს, — მთავარია, ბედნიერი იყო, თინჩო, ყლეზე დაიკიდე მაგისი ვალები, ცოლები და კიბოები, — გასძახა გვერდით ოთახში ყურზე ტელეფონმიხუტებულ თინანოს.

— სადა აქვს, თორემ, ორმოცივეს ზედ დაიკიდებდა, — ჩაიხითხითა მარუსამ.

* * *

მარუსა, თინანო და ლილი საბჭოეთის დროინდელი დაქალები იყვნენ, ერთ უბანში გაიზარდნენ, ერთ ეზოში აგორებდნენ ბურთს, აწივლებდნენ სკამეიკაზე ჩამომსხდარ აწ გარდაცვლილ უბნის ბებოებს, ერთად აგრიალებდნენ ველოსიპედებს, ისმენდნენ მანქანების წივილს ქუჩაზე თავხედურად გადარბენისას, ერთად მირბოდნენ ნაყინის საყიდლად უახლოეს სურსათის მაღაზიაში და ზაფხულობითაც ერთად ისვენებდნენ აგარაკზე, ქალაქთან ახლოს. მარუსა და თინანო ერთი ასაკისა იყვნენ, ლილი სამი წლით უმცროსი იყო მათზე. ბავშვობაში უკადრისობდნენ სამი წლით უმცროსს, კარგად მოვლილ და დავარცხნილ, ქერათმიან გოგოსთან ურთიერთობას, მაგრამ რაც ასაკი ემატებოდათ, სამწლიანი სხვაობა უფრო და უფრო ნაკლებად შესამჩნევი ხდებოდა. გოგონების მეგობრობაზე მთელი უბანი ლაპარაკობდა. ყველგან, სადაც კი მეგობრობის სადღეგრძელოს სვამდნენ, იხსენებდნენ სამ არაჩვეულებრივ მეგობარს, სამ დაქალს, ბავშვობიდან ერთად მყოფებს და ბედნიერებს. ბიჭები გიჟდებოდნენ პატარა, ლამაზ არსებებზე, მეზობლებს უჭირდათ ცალ-ცალკე მათი წარმოდგენა, ისინი ერთნი იყვნენ ყოველთვის და ცალკეულად არავინ მსჯელობდა მათზე, უბნის ყიჟინებს და ჟრიამულებს ეძახდნენ, ერთად კი პანორამულ სილამაზეს ქმნიდნენ. ერთხელ ბებერმა და ლოთმა ვალოდიამ თქვა, თუ გურულებმა მარსზე კრიმანჭული გააგზავნეს, ჩვენი უბნიდან მარუსას, თინანოს და ლილის გავაგზავნით, დაჰკივლებენ ერთს და ააყვავებენ იქაურობასო. მართალიც იყო, გოგოები აცოცხლებდნენ უბანს, ახალისებდნენ სამეზობლოს და ალამაზებდნენ მახინჯ, მრავალსართულიან კორპუსებს.

ასაკის მატებასთან ერთად გოგოების ხმაურიანმა თავგადასავლებმა ეზოდან ერთმანეთის ბინებში გადაინაცვლა, მოსწავლეობის პერიოდში ჰქონდათ გამართული დიდი სტუმრიანობა, თამაშობდნენ გათენებამდე, იცინოდნენ, კისკისებდნენ და ხმაურით აჰქონდათ მთელი კორპუსი. შეწუხებული მეზობლები არაფრის დიდებით გამოთქვამდნენ პრეტენზიას, ახალგაზრდები არიან, იმხიარულონ, აბა, რა უნდა ქნან, ჩვენსავით ქსოვას ხომ არ დაიწყებენო. მშობლებსაც იმდენად ახარებდათ მათი ურთიერთობა, რომ დიდ სტუმრიანობასაც არად აგდებდნენ და მორჩილად ხვეტდნენ გამტყდარი ჭიქებისა თუ თეფშების ნამსხვრევებს იატაკიდან.

გოგოებმა პირველი სიყვარული ერთად იწვნიეს, უბნის ყველაზე მშვიდ, გაწონასწორებულ და ალალ ბიჭს დაადგეს თვალი და ერთად შეუფრინდათ გულში. მერე დიდი ხანი წეწეს და გლიჯეს ერთმანეთი, არა მე მოვწონვარ, არა — მეო, მაგრამ ამას მათ ურთიერთობაზე არ უმოქმედია, გაიგეს თუ არა, სხვა უბნელი გოგო უყვარს კოკასო, მაშინვე მიჩუმდნენ, ბევრი იცინეს და შეთანხმდნენ, რომ ამის იქით ერთი ბიჭი არასოდეს მოეწონებოდათ და საერთოდ, მოკლე ფეხები ჰქონდა სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად. ლოთი ბიძის პატრონ კოკას, ძალიანაც თუ ჩავეძიებით, ბოზი მამიდაც ეყოლება სანათესაოშიო, დაამშვიდა გოგოები თინანომ თავის დროზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მათი გზები თავისდაუნებურად გაიყო, თინანომ ევროპული ენების შესწავლა გადაწყვიტა, მარუსას კარდიოლოგობა უნდოდა, ლილის კი ფრენბურთელობა. საბოლოოდ, თინანოსგან კარგი თარჯიმანი დადგა, მარუსამ საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა გახსნა და ლილი დაწყებით კლასებში მყოფ მოსწავლეებს ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

თავისი ცხოვრებით არცერთი იყო უკმაყოფილო, ბევრი კაცი გამოიცვალეს, ერთ-ორჯერ გათხოვდნენ კიდეც, ლილის ორი შვილიც გაუჩნდა, ბიჭები. მარუსამ პატარა გოგონა იშვილა ორიათასიანების დასაწყისში, თინანოს ბავშვის ატანა და გაგონებაც არ უნდოდა და სამსახურსაც არ უჩიოდნენ. სამივე დასაქმებული, წარმატებული და ასაკთან შედარებით ომახიანად შენახული იყო, მაგრამ ბოლო წლებმა სამივე მოტეხა, ვეღარც ძველი ხალისით დადიოდნენ თბილისის გაპარტახებულ კლუბებში, კაცების აგდებაც უჭირდათ სხვადასხვა ღამისეული დაწესებულებიდან, აღარც თმა ეზრდებოდათ წარსული სიშლეგით, ვეღარც სახის კანს ეთქმოდა ვარდის ფურცელივით ნაზი ან სათუთი და ვერც ძველი რიხით მღეროდნენ შუფუტინსკის ყოვლად უგვანო სიმღერებს.

სამსახურმაც კლანჭებში მოიქცია და თავში ხელი წამოარტყა ქალებს. რაც უფრო ემატებოდათ ასაკი, მით უფრო მეტი მოთხოვნა უჩნდებოდათ, აგერ ჯანმრთელობას უნდა პატრონობა, იგერ შვილებს უნდათ ათასი რამე, მუშაობაა საჭირო, გოგოებოო, შემოსძახა ერთ დღეს თინანომ ქალებს, ვეღარ შევიცვლით სამსახურებს კაცებივით, თავი უნდა დავიმკვიდროთ, სტაბილურობა, ძივჩონკი, სტაბილურობა, თორემ ჩვენი პატრონი აღარ არის არც დედა, არც მამა, აქეთ თუ გადავუსვამთ თავზე ხელს, არც უბანს უსწორდება ჩვენი ჟივილ-ხივილი, ისტერიკები და სკანდალური განშორებები უსინდისო კაცებთანო. ასე ჩამოსხდნენ თავიანთ ბინებში და რუტინულ ცხოვრებაში საბრალო ქათმები, უბნის ლამაზმანები.

ორ დღეში ერთხელ ერთმანეთს სტუმრობდნენ, ყავას და ჩაის ხრუპავდნენ სამზარეულოში, ზამთრობით მოწყენილობისგან დაორთქლილ მინაზე ისარგარჭობილ გულებს ხატავდნენ და მთქნარებით გაჰყავდათ დრო. გაზაფხულობით ფანჯრებს შეაღებდნენ, უყურებდნენ აყვავებულ ხეებს ეზოში და მოპირდაპირე კორპუსის ერთ-ერთ აივანზე მოვარჯიშე ბარონას, ზაფხულობით საბერძნეთიდან დასასვენებლად ჩამოსულ ცოლ-ქმარს, ძალიან უხაროდათ თუ ფარდაგადაწეულში ეცემოდნენ ერთმანეთს ვნებიანად და მთელი გულით ხითხითებდნენ, ვაი, ამ უბედურმა რა იცის, როგორ უნდა ასიამოვნოს კაციო. შემოდგომაზე მურაბიან ქილას ჩადგამდნენ მაგიდის შუაში და ავსებდნენ საფერფლეს ფერფლითა და ცრემლებით, თმებსაც ბლომად ყრიდნენ ერთმანეთის სამზარეულოებში — გვცვივა ეს დედამოტყნული, გვცვივა, დაიწუწუნა ერთ დღეს მარუსამ, კბილები ნუ დაგვცვივდება, თორემ თმას აიტანს, შემოდგომაა მაინც, ისეთ ხეებს ცვივათ ფოთლები, ჩვენ ვინა ვართ, რო.

ბოლო სამი წლის განმავლობაში არცერთს ჰყოლია კაცი, არცერთს დაუკვნესია გამთენიისას სიამოვნებისგან, არცერთს ურბენია წვიმაში სულელი გოგოსავით, არცერთი გაპრანჭულა იმ ერთადერთი კაცის ხათრით, არცერთს ჰქონია ბნედები სიყვარულის გამო, არცერთს დაუდგამს დიდი ისტერიკები შუა ვორონცოვზე, არცერთს უეჭვიანია სხვა ქალზე და არცერთს უფიქრია შაბათ-კვირის გატარებაზე ბუნებაში, ჩიტების ჟღურტულში, აღარც ერთი აწვალებდა დაუსრულებლად მობილურს და აღარც ერთი ელოდებოდა განსაკუთრებულ ზარს. არც ტუალეტში იკეტებოდნენ ტელეფონზე საუბრისას და არც წყალს უშვებდნენ მთელი სიშმაგით ხმის დასაფარად, არც ყოველ დღე ნერვიულობდნენ ტანსაცმლის არჩევისას, ვაითუ, არ მოეწონოს ეს გულამოღერებული კაბაო.

იყვნენ ასე ერთმანეთზე გადამსკდრები, ვერც გაზაფხული უშფოთებდათ გულს და ვერც გადამფრენი მოლაღურები. თინანო ხანდახან ფეხებსაც არ იპარსავდა, მარუსა დაწოლის წინ კბილებს არ იხეხავდა, ვის რაღაში უნდა ჩემი პირი, რა აზრი აქვს გამოსუფთავებული იქნება თუ ჩემი ბედივით მყრალიო, გაიფიქრებდა დაწოლისას თავდამძიმებული, ლილი წარბებსაც არ იქნიდა, დადიოდა გაშლილი ამაზონით და სულ ფეხზე ეკიდა თვალებში მომზირალი დაქალების შეკივლებები და წარსული დროებიდან გადმოყოლილი ქალური ზამაშკები. ხანდახან უძილობაც აწუხებდათ, იჭყიპებოდნენ საძილეებით, ყოველთვიური სისხლიანი საზრუნავიც მოიშორეს, მაგრამ თვეების მერე კიდევ ერთხელ მიხვდნენ, რომ ამ სისხლდენას მათი ახალგაზრდობაც და ფუნქციური ცხოვრებაც თან მიჰყვა.

ყველაფრის მიუხედავად, გასაჭირზე დიდად არც ლაპარაკობდნენ, ქალები ქმრების წიხლებს ვერ იშორებენ. ფიქრობდნენ ისინი — ზოგს მარცხენა ძუძუ აქვს ჩამოწელილი თოთო ნაბიჭვრის გამო, ზოგიც ერთოთახიანში ცხოვრობს რძალთან, დედამთილთან და შვილიშვილთან ერთად, ზოგიც საერთოდ თურქეთში უვლის ყლექალა მოხუცებს, დიდი ამბავი, ჩვენთან სამსახურის გარდა თუ არაფერი ხდება, ჩვენი გასაკეთებელი ვქენით, იმდენს გადავახტით, გადმოვახტით, დავახტით და შემოვახტით, საშვილიშვილოდ გვეყოფა მოსაყოლადო.

მაგრამ რაღაცა მაინც ღრღნიდათ შინაგანად, იცოდნენ, რომ ყველაფერი ასე მარტივად არ იყო, იცოდნენ, რომ სჭირდებოდათ უფრო დიდი ამბავი, უფრო დიდი თავგადასავალი, დიდი სიხალისე, მხიარულება, ჟრიამული და ხმაური, სულ ფეხებზე ეკიდათ სხვა ქალების ბედი, თვითონ მოწყენილები იყვნენ და სხვა ქალებზე საფიქრალად არც უნდა დაეხარჯათ ძვირფასი დრო და ტრაკი უნდა გაენძრიათ, თუ სურდათ, კარგად ყოფილიყვნენ, იცოდნენ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა, იცოდნენ, რომ დედა გაეღუნებოდათ, უფრო დამახინჯდებოდნენ, ერთმანეთის ყურებაც გააგიჟებდათ.

იცოდნენ, რომ ვეღარც თინანო იამაყებდა თავისი ჩამოქნილი თითებით და სავსე, წყლიანი თვალებით, ვერც მარუსა თავისი განიერი, უმშვენიერესი მხრებით და ჯერ კიდევ ატმებივით ძუძუებით, ვერც ლილი გადმოაწყობდა ჩამოთლილ, უგრძეს ფეხებს, ვერც გავას გააქან-გამოაქანებდა რამდენიმე წელიწადში და ვეღარც შეღებილ გრძელ თმას დაიყრიდა მხრებზე.

ამიტომაც თინანოს ამბავმა ორივე გაახარა, მიხვდნენ, რომ კაცები ჯერ კიდევ არსებობდნენ, რომ არც ისე ბებრები იყვნენ და მათაც შეეძლოთ, თავიანთი წილი ბადრი ეპოვათ, თავიანთი ხვედრი ამაშუკელი, მათაც გაეხეთქათ დაქალების გულები სიხარულისგან გაზაფხულის მშვენიერ საღამოს.

ორშაბათს, ექვს საათზე, სანამ თინანო თავის კაცს შეხვდებოდა, გოგოებთან შეირბინა, კარზე სამჯერ თანაბარი ინტერვალებით დააკაკუნა და მარუსა მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო. კარი გაუღო და სამზარეულოსკენ გაუშვა.

— იქეთ არ შეხვიდე, დედაჩემს ისევ დაავიწყდა, ვინ ჩემი ყლეა, ბღავის, ჩავკეტე ოთახში, მაგის აშარებების თავი არ მაქვს, აქეთ მოჯვამს და მყრალი სუნის თავი არ მაქვს.

— კარგი რა, ცოდოა, — შეწუხება დაეტყო სახეზე თინანოს.

— არ გამაშლევინო ახლა ფრთები, მე ხო რას ამბობ, არ ვარ ცოდო, — თვალები გაუფართოვდა მარუსას.

— ყველა ვბერდებით, გოგო, — უთხრა, ჩანთა მაგიდაზე მოათავსა და ჩამოჯდა.

— ფანჯარასთან არ ჩამოჯდე, გატეხილი სკამი დევს მანდ, — გამოსძახა მაცივარში თავშეყოფილმა მარუსამ, — მე, გენაცვალე, ეგრე არ გავაწვალებ ნათესავებს, როგორც კი ასაკში შევალ, ავიყრი ბარგს და წავალ თურქეთში ან საბერძნეთში, ვიცხოვრებ მოხუცებულების სახლში, იქაც ვიპოვი დაქალებს და ერთ ბაბუს.

— დღეიდანვე დაიწყე ფულის შეგროვება.

— რას შვებოდი ამდენ ხანს ტუალეტში? — ჰკითხა მარუსამ ტუალეტიდან გა-

მოსულ ლილის.

— ვფსამდი.

— ხელებს რატო იმშრალებ შარვალზე.

— პირსახოცი იქ არ ეკიდა და...

— კარგი, რა დროს ეგაა, მალე გავდივარ, — დააჩქარა თინანომ გოგოები, — სად არის?

— კარგით რა, მართლა გჯერავთ?

— რატო არ გვჯერავს, რა მიდის ჩვენი, იქნებ სასწაული მოხდეს და სიმართლე გვითხრას, არ მომხდარა თუ?!

— კარგი, აივანზეა, შემოვიყვან ეხლავე, — აჩქარდა მარუსა.

— რა უნდა აივანზე?

— ესე თქვა, მოილაპარაკეთ თქვენში, მე არ მოგისმენთ, მერე რამე რო არ თქვათო, თან სუფთა ჰაერსაც ჩავისუნთქავ, კარგი აურაა სუფთა ჰაერიო, — უპასუხა უგულოდ ლილიმ.

— აბა, რა, ამ უბანში მანქანების გამონაბოლქვის გარდა რას ჩაისუნთქავს, ძაან კი მაინტერესებს.

— დამწვარი ბოთლების სუნს, — ჩაიხითხითა ქალმა.

— აი, მოვიყვანე, გაიცანით, ვარდო, — წარუდგინა მარუსამ ქალი გოგოებს, — ესენი ჩემი მეგობრები არიან, თინანო, ლილი.

— რომელს დავჭირდი?

— აი, თინანოს, — თინანოსკენ გაიშვირა თითი მარუსამ, — თუ დრო დაგვრჩება, ჩვენც ჩაგვიხედე.

— კარგი, მოიტათ ყავა.

თინანომ ოთახში ყავის სამი ჭიქა შემოიტანა, მაგიდაზე დადგა და თვითონაც მორყეულ სკამზე მოკალათდა.

— როგორც მითხარით, იშვიათად რომელ ჭიქებსაც ვიყენებ, იმაში ჩამოვასხი ყავა, ზომიერად ტკბილია და ყავაც მსხვილი და უხეში შევარჩიე, ნელ პარზე მოვხარშე, — მოსწავლესავით ალაპარკდა მარუსა.

— სანამ ყავის სმას დაიწყებდეთ, მოიქციეთ ფინჯანი ორივე ხელისგულში.

— ესე ხო? — აჩვენა თინანომ.

— კი, ეგრე, დახუჭეთ თვალები და მოდუნდით, — ქალები წელში გაიმართნენ, მხრები ჩამოყარეს და თავი მაღლა აწიეს, — თუ მომავლის გაგება გსურთ, არ იფიქროთ არაფერ კონკრეტულზე, მაგრამ თუ რაიმე გარკვეული საკითხი გაინტერესებთ, კონცენტრირება გონებაში სწორედ მასზე უნდა მოახდინოთ. ამის შემდეგ პატარ-პატარა ყლუპებით და აუჩქარებლად მიირთვით ყავა, ოღონდ ბოლომდე არა. დატოვეთ ფინჯანში სულ ცოტა სითხე, მიმოატარეთ ხელის მსუბუქი მოძრაობით და გადმოაბრუნეთ. თუ თქვენთვის მკითხაობთ, გადმოაბრუნეთ ჯერ თქვენკენ, შემდეგ საწინააღმდეგო მიმართულებით, შემდეგ მიატრიალეთ საათის ისრის მიმართულებით, ბოლოს კი — საათის ისრის საწინააღმდეგოდ.

— ვაიმე, ამასაც თუ ამდენი ამბავი უნდოდა, რა მეგონა, — ამოიკნავლა მარუსამ.

— აბა, როგორ, გენაცვა, ყველაფერი საჩალიჩოა დღეს, — ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა ვარდომ.

— მოვრჩი, — ყავის ჭიქა ამოატრიალა თინანომ.

— მოწიე ახლა ერთი ღერი პაპიროზი და ჩაგიხედავ მერე.

— ეგრე ვიზამ, — სამივემ ერთად მოუკიდა სიგარეტს.

— მომისმინე ახლა, — დაიწყო მარუსამ, — იცოდე, არ აყლექალდე, არ დაიწყო წიკვინი და ისტერიკები, პატარა გოგო აღარ ხარ, არც გადაპარსული თმა მოგიხდება და არ გეგონოს, დაშორდები, გადაიპარსავ თავს და გადაგივლის.

— არა, გაგიჟდი, — შეიცხადა თინანომ.

— და არც შენებური პრინციპულობა გამოიჩინო, დაგპატიჟებს, დაიპატიჟე თავი, არ უნდა შენი რეჩები, ვაიმე, როგორ დავხარჯო, გამოგივლის მანქანით, ჩაუხტი, არ უნდა აქ, როგორ შევაწუხო, როგორ დავახარჯინო ბენზინი.

— არა, კაცო, გაზზე ყავს.

— უიმე, სულ რო ოქროს ასხამდეს შიგ, შენ მაინც უნდა შეაწუხო, კაცი რისთვისაა, სიამოვნებს ეგეთები, თონთლო შენ.

— აუ, ხო იცი, არ მესმის ეგეთები, არაა ნაშობა ჩემი სფერო.

— გოგო, მისმინე, არ უნდა ყვერების გამობმა, ქალი ხარ და ქალს ქალობაც უხდება, — ხმა აიმაღლა მარუსამ

— მაიტა ჭიქა, — დაიკნავლა ვარდომ.

— აჰა, კაი ამბები გვაჯახე, — ჭიქა ამოაბრუნა და გაუწოდა მკითხავს მარუსამ.

— რასაც დავინახავ, იმასა, ქალებო, როგორ მოგატყუებთ ამხელა გოგოებს.

— ა, ეგ ქენი, — მიუგო მარუსამ.

— ესე იგი, თაღი აგერ, ხო ხედავ? ეგ გამოვლილი ტრაგედია და დანაკარგია, ბევრი გიწვალია ამ ცხოვრებაში.

— ეგ, იცოცხლე იმდენი.

— ჭიშკარიც ჩანს თაღის ქვემოთ, ელოდე განსაკუთრებულ, თუმცა მოულოდნელ სტუმარს.

— უჰჰ, ძაანაც კაი.

— ორი თვალი, ერთმანეთზე მიბმული, ვიღაცა გითვალთვალებს.

— იმისი ყოფილი იქნება უეჭველი, — ამოიკრიახა მარუსამ.

— არა, ბურდული იქნება, მაგასაც ყვარებია ადრე თურმე, — უპასუხა თინანომ.

— აგერ, ა, ბლის კუნწულაა, ორმხრივი სიყვარულია აგი, ჩემი გოგო, — გაუღიმა ვარდომ თინანოს.

— კარგით რა, მართლა გჯერავთ ამ ბოდვების, — ვეღარ დამალა გაბრაზება ლილიმ.

— ოჰჰ, ჯერავთ რა, ჩემგან ტყუილი გაღმაა, გენაცვალე, მეორე ნაპირზე დგას ეგა.

— კარგი რა, ვერთობით, შენც კიდე, — გაიცინა მარუსამ.

— სხვანაირად გავერთოთ, აგერ არაყი, ცუდადა ვარ, — ნაჭრის ჩანთიდან არყის ბოთლს ამოაყოფინა თავი ლილიმ.

— რა გჭირს, ქალო?

— ცუდადა ვარ, აი, რა მჭირს.

— ჭიქები, მოიტა, მარუს.

— ეხლავე, — გაიქცა კარადისკენ და რამდენიმე წამში ოთხი ჭიქა შემოდო მაგიდაზე.

— ჩვენ გაგვიმარჯოს, — გადაკრა ლილიმ და მეორე ჭიქაც მიიყუდა.

— რა გეჩქარება, მეორეს რად ისხამ, რა გაგიჭირდა ასეთი? — გაოგნებული სახით შესცქეროდნენ მეგობრები ლილის.

— გამიჭირდა ესე იგი, რაღას მეკითხებით.

— მოჰყევი.

— არაფერია მოსაყოლი.

* * *

მოსაყოლი ბევრი ჰქონდა, გუშინ ორმოცდაათი შეუსრულდა პატარა, ეზოში მორბენალ გოგოს, ნახევარი საუკუნე დაიარებოდა ამ ქვეყანაზე ლილიტი და ნახევარი საუკუნე ორი შვილის, კიდევ ორი აბორტის, ოცდაოთხი სისხლის გამშრობი მოსწავლის, ორი ათასიანი საბანკო კრედიტის, ქმრის დატოვებული ვალების, თავის ტკივილის და ორი დაქალის მეტი ვერც ვერაფერი შეიძინა რა, ვერც დიდი სიყვარული, ვერც კუნთმაგარი, ლურჯთვალება კაცი.

მესამე ჭიქა:

— ვიცეკვოთ, გოგოებო, ვიცეკვოთ, მეცეკვეთ, — გრძელ კაბას აფრიალებდა ლილი.

მეოთხე ჭიქა:

— წამო, გავირბინოთ ჩვენს ეზოში, შევკივლოთ, დავხაზოთ ცარცებით ასფალტზე, ვითამაშოთ კლასობანა, ვაბრახუნოთ ქვები, გადავიტყავოთ მუხლები.

მეხუთე ჭიქა:

— ავაგრიალოთ ველოსიპედი. ენა დავუგდოთ უბნის ბიჭებს, გავამწაროთ ბებოები, დავცინოთ და სულ ტრაკჩანები ვეძახოთ, გავგიჟდეთ, გავმხიარულდეთ.

მეექვსე ჭიქა:

— კუს ტბაზე ავეყაროთ ჩვენს კურსელ ბიჭებთან ერთად, დიიდი კოცონი დავანთოთ და გადავახტეთ, გამოვიწვათ ბოტასები, დავიჭვარტლოთ და გავიმუროთ, შეგვივიდეს კვამლის სუნი, მაგის დედაც არ მოვტყან.

მეშვიდე ჭიქა:

— დავაი, ბათუმში წავიდეთ, შევცუროთ შიშვლებმა ზღვაში, ხომ სულ გინდოდათ ზღვაში სექსი, ვიპოვოთ დასავლელი ბიჭი.

მერვე ჭიქა:

— კინოში წავიდეთ, თეატრში, სადმე წავიდეთ, ვიშოპინგოთ, დავაი, ფულები ჩამოყარეთ, ხვალვე გავფრინდეთ სადმე, სოფთ დრაგებით გავიჭყიპოთ და ტუალეტში მინეტი გავუკეთოთ უცხოელ სტივს და ჯონს.

მეცხრე ჭიქა:

— ცუდადა ვარ, გოგოებო, ცუდად, გარეთ მინდა, ჩავიქროლოთ დიღომში მამუკას მოსკვიჩით, გადავყოთ ფანჯრიდან თავები, დავიღრიალოთ ბოლო ხმაზე.

მეათე ჭიქა:

— გამოვთვრეთ კაცებთან ერთად არანორმალურად, არაქალურად, პახმელიაზე ბოხი ხმით მოვითხოვოთ გაზიანი წყალი, გავიხეთქოთ თავები, აღარ შემიძლია, ტუჩზე ჰერპესი მაქვს, ცხვირზე მუწუკი. წამო, ღრმა დეკოლტე გავიკეთოთ, ან ბრაზილიანკა, ვისაც როგორ, რამე ვქნათ რა.

მეთერთმეტე ჭიქა:

— საშვილოსნოს ყელზე რაღაცა მჭირს, დაერხა, დღეს ვოვა ექიმთან ვიყავი, მიხედე, შვილო, თავსო, ვკვდები, გოგოებო, ვიცეკვოთ.

ერთ ლოგინში დაიძინეს ქალებმა იმ ღამეს, ვარდოს ფული გადაუხადეს და გაუშვეს, შემოსასვლელში ტელეფონის სადგამზე დაგდებული საათიც ჩაიჯიბა და ღიმილით დაემშვიდობა შეცბუნებულ მარუსას, არც ბადრის დაურეკავს და იმ ღამესაც მარტო ეძინათ, ლილისაც დაჰპირდნენ, რომ ეცეკვებოდნენ.

* * *

შუაღამის გოგოები შუაღამეს აჩენენ თავიანთ ნამდვილ სახეს, დღე სულ ჩვეულებრივები არიან, სამსახურში დაიარებიან, ბავშვებს დაატარებენ ბაღებსა თუ სკოლებში, ჩვეულებრივად დგანან სალაროსთან. თქვენ კი შეამჩნევთ, მანქანასაც აყენებენ პარკინგზე, კაფეებშიც შეხვდებით, რესტორნებშიც, შუაღამის გოგოებსაც უწევთ კომუნალურების გადახდა, პურის ყიდვა უახლოეს მარკეტში, მაგრამ, როგორც კი მოსაღამოვდება, შუაღამის გოგოები თავს კარგავენ, ემშვიდობებიან დღის ცხოვრებას და ძალიან სევდიან არსებებად გადაიქცევიან.

მათი შეხვედრის ადგილი, ძირითადად, სამზარეულოა. შუაღამის გოგოები ყვებიან ამბებს სამზარეულოებში, შუაღამის გოგოებისთვის შუაღამისას აღარ არსებობს დრო, არსებობს მზე, რომელიც აუწყებს, რომ გათენდა და სიგარეტი, რომელიც აღარ არის. შუაღამის გოგოები სვამენ და იხსენებენ ძველისძველ ამბებს, შუაღამის გოგოები ადრე უფრო ლამაზები იყვნენ. შუაღამის გოგოების გულისტკენაზე ადვილი არაფერია, არც გახარებაა რთული, შუაღამის გოგოებს უკვე აღარ სჯერათ სიყვარულის, შუაღამის გოგოებმა იციან, რომ კაცები უბრალოდ ბრიყვდებიან და სიყვარულთან ამას არაფერი კავშირი არა აქვს.

შუაღამის გოგოებს თმა შეღებილი აქვთ.

სინამდვილეში, შუაღამის გოგოები სულაც აღარ არიან გოგოები, მათ უფრო ქალები ჰქვიათ.

* * *

გათენებამდე ჩურჩულებდნენ, თითქოს ვინმე უსმენდათ...

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით

სსიპ „მწერალთა სახლი“ აცხადებს კონკურსს 2 სალიტერატურო ჟურნალის გამოსაცემად

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

მწერალთა სახლი

კონკურსის მიზანი:

სალიტერატურო პროცესის გააქტიურება, ქართული ლიტერატურის (პროზა, პოეზია, დრამატურგია და ასე შემდეგ) ნიმუშების წარმოჩენა, სალიტერატურო და სახელოვნებო კრიტიკის განვითარება, კითხვის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემით დაკავებულ იურიდიულ პირებს, რომლებსაც აღნიშნულ სფეროში მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება აქვთ.

წარმოდგენილი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

• პერიოდულ გამოცემაში თანაბრად უნდა იბეჭდებოდეს ყველა თაობის ქართულენოვანი ავტორების გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები; ასევე დებიუტანტი მწერლებისა და მთარგმნელების ნაწარმოებები;

• წარმოდგენილი უნდა იყოს ლიტერატურული კრიტიკისა და ესეისტიკის ნიმუშები;

• ცალკე რუბრიკა უნდა მიეძღვნას მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს;

• დაცული უნდა იყოს საავტორო უფლებები;

• სასურველია, პროექტის წარმომადგენელ ორგანიზაციას ჰყავდეს თანადამფინანსებელი.

გამარჯვებულს გამოავლენს 7 წევრისგან შემდგარი ჟიური (მწერალთა სახლის სამეთვალყურეო საბჭო); გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

ხელშეკრულების პირობები:

გამარჯვებული პროექტის გამოვლენის შემდეგ მწერალთა სახლი კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან აფორმებს ხელშეკრულებას.

საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

• წერილი მწერალთა სახლის დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახელზე (1 გვ.);

• პროექტის აღწერილობა (2-3 გვ.);

• პროექტის თანდართული მასალები: პერიოდიკის გამოცემის 12 თვიანი გეგმა (ნომრების რაოდენობის, ფორმატის, მოცულობის, რუბრიკების, ტირაჟის, ნომრის თვითღირებულების და საცალო ფასის, რეალიზაციის სტატისტიკის მითითებით; 3-4 გვ.);

• პროექტის 12 თვიანი დეტალური ხარჯთაღრიცხვა;

• პერიოდული გამოცემის ნიმუშის მაკეტი;

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის ნუსხა;

• თანადაფინანსების შემთხვევაში კონკურსანტმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს თანადაფინანსების შესახებ ოფიციალური დოკუმენტის ორიგინალი.

საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცედურა:

• განმცხადებელმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს როგორც ბეჭდური (1 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული სახით (CD);

• საბუთების მიღება იწარმოებს მწერალთა სახლში 2015 წლის 8 დეკემბრიდან 2016 წლის 8 იანვრის ჩათვლით. მისამართი: თბილისი, მაჩაბლის 13. ტელ.: +995 32 297 41 01/297 41 02 ;

• საკონკურსო განაცხადების მწერალთა სახლში წარდგენა უნდა მოხდეს გამოცხადებული ვადების დაცვით. საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადებები აღარ მიიღება;

• კონკურსის დამთავრების შემდეგ მწერალთა სახლში წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსანტებს უკან არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული ჟურნალების ბიუჯეტი:

პირველი ადგილი — 75 000 ლარი;
მეორე ადგილი — 65 000 ლარი.

პოეტი

ნიკა ჯორჯანელი

პოეზია მსხვერპლს მოითხოვს — არ მახსოვს, ეს ვინმემ თქვა თუ მე მომაფიქრდა ნიკა ჯორჯანელთან ინტერვიუს შესავლისთვის. არც ის ვიცი, რამდენად უწოდებს „მსხვერპლს“ პოეტი არა თავის არჩევანს, არამედ იმ „ერთადერთ გზას, რომლითაც უნდა წასულიყო“ და იმ ცხოვრებას, ენერგიას, რომელიც იხარჯება ლექსამდე და ლექსისთვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სხვანაირად ვერ შეიქმნება „ემპირიულ ფაქტზე მაღლა დამდგომი“, „სინამდვილის გამამდიდრებელი“ პოეზია. ჯორჯანელის განსაკუთრებულობა, გამორჩეულობა, განსხვავებულობა, ვფიქრობ, მის დამოკიდებულებაში, შეუფერხებლობაში, მუდმივ ზრდაში, „დროის წიოკობების“ გაძლებაში, ახალ-ახალ სიმაღლეებშია და ამ ყველაფრის შედეგში — ქმნილებებში, კრებულებიდან და ლიტერატურული პერიოდიკიდან რომ ვეცნობით.

ნიკა ჯორჯანელი — იმ თავის „ერთადერთ გზაზე“:

— მაინტერესებს, როგორ და როდის დაიწყეთ წერა. ზოგადად, თუ გახსოვთ, პოეზია, როგორც ასეთი, როგორ გაჩნდა თქვენს ცხოვრებაში? მე ვკითხულობ თქვენს ლექსებს, ინტერნეტით ვკითხულობ, შემდეგ წაკითხულს ისევ ვუბრუნდები, ყოველთვის ახალივით არის, ჯერ არწაკითხულივით. და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ პოეზია თქვენთვის ლექსი არ არის მხოლოდ — შინაგანი მდგომარეობა, წყობა, ხედვა, სმენაა.

— ის, რასაც ასე თუ ისე უკვე შეიძლებოდა წერა დარქმეოდა, დაახლოებით 18-19 წლიდან დავიწყე. მანამდე უკვე იყო სულ უფრო მატებადი დარწმუნებულობა იმაში, რომ ლექსები უნდა მეწერა, უკვე გაკეთებული იყო წყალგაუვალი არჩევანი. პოეზია ჩემს ცხოვრებაში იმ შინაგანი მდგომარეობის, იმ ეიფორიის სახით გაჩნდა, რომელმაც ეს არჩევანი გამაკეთებინა. არჩევანიც არ ყოფილა – იმიტომ რომ არჩევანი ორ ან მეტ რაღაცას შორის კეთდება, – ეს იყო ერთადერთი გზის დანახვა, რომლითაც უნდა წავსულიყავი.

რაც შეეხება პოეზიას, ის მხოლოდ ლიტერატურაა, მხოლოდ ლექსებია. „მხოლოდ“-ს დანანებით კი არ ვამბობ, არამედ უნიკალურობისათვის ხაზის გასასმელად. ხშირად გვესმის ხოლმე, რომ არსებობენ პოეტები, რომლებიც არ წერენ, მაგრამ შინაგანად არიან ასეთები... ეს მტკნარი სისულელეა. „არამწერალი პოეტი“ ისეთივე ოქსიმორონია, როგორც „მშრალი წყალი“. ლექსებს რომ არ ვწერდე, არასოდეს გაგიჩნდებოდათ ჩემდამი კითხვა ჩემს შინაგან წყობასა თუ ხედვასთან დაკავშირებით. წყობა, ხედვა, სმენა ერთია, პოეზია კი – მათი შედეგი, მათი განხორციელება – მეორე. თუ პირველი საკმარისადაა, მეორეც ჩნდება, და ინტერესს სწორედ ეს მეორე იწვევს, რადგან პირველი სხვაგან ვერსად გამოვლინდება, ვერსად დაამტკიცებს თავის არსებობას, თუ არ მასში. პოეზია ჩემთვის ის არის, რაც უკვე გამოვლინდა, რაც ლექსებშია. რაც ლექსებს გარეთაა, პოეზიის საზრდოა და თვითონ პოეზიად ვერ განიხილება.

— ტერენტი გრანელი და შემდეგ გალაკტიონი. გრანელმა, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, „ნარნარით“ გადაგიყვანათ გალაკტიონზე. მაშინ უკვე წერდით. რა მოვლენაა გალაკტიონის, თუ შეიძლება ითქვას, შესწავლა თუ მასში ჩაღრმავება (რაც ალბათ არასოდეს მთავრდება) და რამდენად აისახა ეს თქვენში, თქვენს ლექსებში?

— კი, ტერენტიმ ერთგვარი პლატფორმის მაგივრობა გასწია. როგორც მსახურთუფროსმა ბატონთან, ისე მიმიყვანა იმ დროს გალაკტიონთან. ტერენტის აქვს ამის პოტენციალი. სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ პოეზიაში. ეფექტი, რომელსაც ის საკმაოდ შეზღუდული ხერხებით აღწევს – გასაგებია, რომ უფრო მაღალი ოსტატობის უქონლობის და არცთუ ფართო რაციონალური თვალსაწიერის გამო ხმარებულით, ვიდრე შეგნებულად, – გასაოცარია. თვითნაბადი პოეტური ნიჭის მქონე გამოკვეთილი მისტიკოსია, უაღრესად ინტუიციურად შემმეცნებელი სამყაროსი. მე რომ მკითხოთ, ცისფერყანწელებზე დიდი მასშტაბია

„ ბევრი ნაგავი გროვდება “

ტერენტი გრანელი და, მათგან განსხვავებით, ასე თუ ისე გაცდენილია, თქვენ წარმოიდგინეთ, ეროვნული ლიტერატურის ფარგლებს, ყოველ შემთხვევაში, ასულია საზღვრის კედელზე და ერთი ფეხი იქით აქვს გადაყოფილი.

გალაკტიონისთვის ოდნავი გვერდის ავლითაც კი, მასში ჩაუღრმავებლად, შეუძლებელია ქართველ პოეტობაზე ფიქრი. ცხოვრების ეტაპივითაა გასავლელი. შესწავლა ნიშნავს მისი ენის, სახეების, ფორმების, რითმების, თითოეული მხატვრული მიხრა-მოხრის – ყველაფრის, რაც მასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია – ძალიან კარგად შესწავლას, და ეს არაა სახუმარო საქმე. მწკრივში „რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი“ ის უბრალოდ კი არ მოსდევს თავის წინამორბედებს, უბრალოდ ერთ-ერთი კი არ არის, არამედ ამ მწკრივის შემაჯამებლად, დამაგვირგვინებლად, მწვერვალად გვევლინება. ის ქართულ პოეზიაში ზუსტი ფორმების უკანასკნელი და ყველაზე გრანდიოზული პოეტია. მის შემდეგ ქართული ლექსი არსებობის გაგრძელების გასამართლებლად თითქმის რადიკალურად უნდა შეცვლილიყო, განახლებულიყო, რის პროცესშიაც დღემდეა.

— პირველ კრებულს ერქვა „განცდა ხავერდისგან“. ამ კრებულით საჯაროდ გამოჩნდით ლიტერატურულ ცხოვრებაში. თქვენს გამოჩენას, პირველ კრებულს, მოჰყვა დიდი გამოხმაურება პოეზიის მცოდნე ხალხისგან. ვახუშტი კოტეტიშვილმა დაწერა — „ეს ლექსები უკიდურესი ექსპრესიით, პოეტური აზროვნების სიღრმით და ორიგინალობით გამოარჩევს მათ ავტორს არა მხოლოდ თავის თანამედროვეთა შორის, არამედ საერთოდ, ქართულ პოეზიაში“. შეგიძლიათ, გაიხსენოთ თქვენი გამოჩენა და ის კრებული?

— შემიძლია გავიხსენო მძიმე, ხანგრძლივი სიჩუმე, როდესაც ვახუშტი კოტეტიშვილი ჩემს ლექსებს პირველად კითხულობდა, ბოლოს ამ სიჩუმის დამრღვევი მისი სიტყვები, ჩახლეჩილი ხმით მქუხარედ ნათქვამი – მე უნდა დავწეროო წინასიტყვაობა... გავიხსენო ჩემი სიხარული... ეჰ, რა კარგი დრო იყო.

— და ახლა, როცა გავიდა 12 წელი მას შემდეგ, მინდა, გკითხოთ: ძალიან წარმატებული იყო თქვენი გამოჩენა, ხმაურით მოხვედით, აალაპარაკეთ პოეტები, ლიტერატორები. მაგრამ, არ ვიცი, რატომ — სხვანაირად გაგრძელდა შემდეგ, საჯარო სივრცეს ვგულისხმობ — ჯილდოებს, ეგრეთწოდებულ წარმატებასა და პოპულარობას. თქვენ ხართ ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა ქართულ ლიტერატურაში, თავი მიუძღვენით პოეზიას, მუშაობთ ძალიან ბევრს, ერთგვარი პოეტური კულტურა შექმენით, მაგრამ რატომ არ ისმის ხშირად თქვენი სახელი, ამას ვერ ვხვდები. თქვენ გაქვთ პასუხი? არ ვიცი, იქნებ ეს თვითონ ავტორის ღირებულებების, მისი ხასიათის, ცხოვრების სტილის ამბავიცაა, არა?

— როგორც მაიაკოვსკიმ თქვა, ორასი წლის შემდეგ დავილაპარაკოთ.

— რა სჭირდება ლექსს იმისთვის, რომ იყოს პოეზიის ნიმუში და არა მხოლოდ კარგი, უნაკლო, დახვეწილი, გემოვნებიანი და ასე შემდეგ ლექსი. თქვენ როგორ აფასებთ ლექსს, როგორც მკითხველი და იმავე დროს, პოეტიც?

— პოეზია ერთდროულად თქმისა და ართქმის ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, უთქმელი რაღაცების თქმის ხელოვნებაა. უნდა ითქვას მარტო ის, რაც ლექსის დაუხმარებლად არაფრის დიდებით არ ითქმება. მაგალითად, როდესაც ადამიანი ტუჩებში კოცნის საყვარელ ქალს, თუ პოეზია არ მოიშველია, ვერანაირად ვერ აღწერს, ვერ გამოხატავს იმ შეგრძნებას, რომელიც კოცნისას ეუფლება. ის იტყვის, რომ რეტიანდება, რომ გული აუჩქარდა, რომ ტუჩები თაფლივით თუ ბადაგივით ტკბილია და ა. შ., მაგრამ მარტო ამის თქმით თვითონ შეგრძნების გამოხატვისგან ისევე შორს დარჩება, როგორც არც ეს რომ არ ეთქვა. კარგად, სათანადოდ დაწერილ ლექსს კი სრულყოფილად, ბოლომდე შეუძლია ამ შეგრძნების გამოხატვა, უფრო მეტიც, შეუძლია უფრო შორს წავიდეს და იმაზე მეტი რამ გამოხატოს, ვიდრე მკოცნელმა შეძლო შეეგრძნო და დაეფიქსირებინა, და უკანა რიცხვით კიდეც გაუღრმაოს, გაუმდიდროს მკოცნელს მისი შეგრძნება. ასეთი უნდა იყოს პოეზია – ემპირიული ფაქტის გამფართოებელი და მასზე მაღლა დამდგომი, სინამდვილის როგორც შემწოვი და ამრეკლავი, ისე გამამდიდრებელიც მისი დამკვირვებლისდა გასაოცრად. თვითონ პროცესისადმი მიდგომის თაობაზე უბრალოდ, მაგრამ ძალიან ზუსტად აქვს ნათქვამი უნამუნოს: „მე ვფიქრობ გრძნობით, ხოლო ვგრძნობ ფიქრით“. ეს სიტყვები შეიძლება კონცეპტუალურ მტკიცებად იქნეს გამოცხადებული და არსად ისე არაა გასათვალისწინებელი, როგორც ლექსების თხზვისას.

— თქვენი პოეტები ვინ არიან. თანამედროვე ქართულ პოეზიაზე, პოეტებზე იქნებ ისაუბროთ, დამოკიდებულება თუ შეფასება ძალიან საინტერესო იქნება.

— დღევანდელ ქართულ პოეზიაში ჩემი პოეტი რასაც ჰქვია, ასეთი მაინდამაინც არ მყავს. არის ორი-სამი კაცი, რომელიც კარგად წერს, რომელსაც ესმის საგანი. ორი-სამი. მეტი არა. საერთოდ, ის, რაც დღეს ჩვენთან ხშირ შემთხვევაში ხდება, ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელია... მოდიან ვიღაცები, ვისაც ყელზე დანამიდებულსაც კი არ შესწევს მეტრული ლექსით აწყობილი ერთი ოთხტაეპიანი გარითმული სტროფის დაწერა, და პოეტებად ასაღებენ თავს. უმეტესწილად მიედმოედებიან რაღაცებს პოეტიკის ელემენტარული კანონების დაუცველად, მათ წინააღმდეგ, იმიტომ რომ წარმოდგენა არა აქვთ ყოველივე ამის შესახებ, ყოველგვარი ტექნიკის, მხატვრული ალღოს, ესთეტიკური აზროვნების გარეშე და, ვერლიბრს ვწერთო, აუჩემებიათ. ერთ მშვენიერ დღეს მოტვინეს, რონ კონვენციონალურ ლექსთან შედარებით თავისუფალი ლექსის ფლობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები მთლად ბუნდოვანი თუ არა, გაცილებით არამკაფიოა, რის წყალობითაც ნაწერის დეფექტურობა ყველასათვის წამსვე თვალში საცემი არ იქნება, და დაიმედნენ. ცხადია, რომ ასეთებისგან არც ვერლიბრით გასხლულ დიად თხზულებებს უნდა მოელოდე. ვერც მეტრულ-რიტმული ლექსი გამოიყურება მაინცდამაინც სანდომიანად მისით დაკავებულთა დიდი უმეტესობის ხელში. აქ ცალკე დომხალია, უბრალოდ ოდინდელი და ჩვეული. ბევრი ნაგავი გროვდება თანამედროვე ქართული ლიტერატურის ფიცარნაგზე, ერთი სიტყვით.

— ვუბრუნდები თქვენს შემოქმედებას. მეორე კრებული „სუნთქვა ხუთვი-





სას“. გამოიცა 4 წლის შემდეგ. რა შეიცვალა იმ წლების განმავლობაში თქვენს პოეზიაში, რა შესთავაზეთ მკითხველს 2008 წელს, რამდენად ახალი ლექსი?

— რაღაცები, ალბათ, შევთავაზე... რას გაიგებ... არის ამ კრებულში რამდენიმე ლექსი, რომლებითაც ერთობ კმაყოფილი ვარ, რომლებიც კაპიტალური ნაწარმოებები მგონია.

— „სიმღერები დაწყვეტილი სიმებისათვის“, როგორც ლიტერატორებმა აღნიშნეს, XXI საუკუნეში გამოცემული ერთ-ერთი საუკეთესო ლექსების კრებულია, სრულყოფილი მთლიანობაა, „გამოირჩევა თემებით, მკვეთრი სათქმელითა და მიზანმიმართულებით“. თქვენ რით გამოარჩევთ მას თუნდაც წინა ორისგან?

— თავისუფალი ლექსის სიმრავლით.

— როგორ მუშაობთ ლექსზე? საერთოდ, ყოველდღიურად როგორ მუშაობთ? რა ხელობაა თუ რა ხელოვნებაა ეს — პოეზიის შექმნა... საიუველირო საქმეა, მგონი. თემის, მოტივის, დამოკიდებულების, ემოციის, რითმის, რიტმიკის, სიტყვის, გამოცდილების და კიდევ უამრავი რამის გამოთვლა, აგება, დოზირება, შერწყმა და შემდეგ დიდხანს ახლოდან და პერსპექტივაში ყურება. არ ვიცი იქნებ, სულ არ არის ასე.

— სწორედ რომ ასეა. თქვენ თვითონ არაჩვეულებრივად გამოგივიდათ ლექსის ქმნის პროცესზე ლაპარაკი... სიტყვა „საიუველიროც“ ძალიან მართებულია... რაღა დავამატო... ერთს ვიტყვი მხოლოდ, რახან სიტყვა „ხელობა“ ახსენეთ: ხელოვნებაა, იმიტომ რომ განსაზღვრავს ის, რასაც შთაგონება ეწოდება. ხელობას არ სჭირდება შთაგონება. ასეც შეიძლება ითქვას, რომ შთაგონების გარეშე პოეზიის ქმნა ხელობა იქნებოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ პოეზია არ იქმნება შთაგონების გარეშე.

— „მექსიკური ჩიხი“ — თქვენი ბოლო კრებული. იქნებ ისაუბროთ მასზე, მის ენობრივ სახეზე, კონცეპტუალურ სახეზე, მის აგებულებაზე. და რატომ — მექსიკური ჩიხი. ეს ხომ არის ერთმანეთზე იარაღშემართული რამდენიმე კაცის დგომა, გამოუვალობის, მოლოდინის წუთები, ალბათ — სადღაც იმედისაც. თქვენს კრებულთან მიმართებაში ამას როგორ ახსნით?

— დიახ, „მექსიკური ჩიხი“ ნიშნავს ისეთ სიტუაციას, როცა რამდენიმე ადამიანს ერთდროულად აქვს მიშვერილი ერთმანეთისთვის იარაღი და ვერც გასროლას ვერ ბედავს ვერც ერთი და არც უკან არ იხევს... ასეთ საყაიმოსავით მდგომარეობას, სანამ ბოლოს და ბოლოს არ გადაწყდება ასე თუ ისე. ამგვარი სცენები სერჯო ლეონეს ვესტერნების და ტარანტინოს შავი კომედიების ერთ-ერთი საფირმო ნიშანია. კრებულის თემატიკა ამ სცენის გარშემო არ ტრიალებს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ცალკე აღებული ლექსია, რომელსაც უბრალოდ გაუმართლა, რომ მისი სათაური გარეკანზე აღმოჩნდა – ძალიან მესიმპათიურა კრებულის სახელწოდებად „მექსიკური ჩიხი“, არ ჟღერს ურიგოდ, ასე მეჩვენება. აბსურდის სტილშია დაწერილი ეს ლექსი და, მოკლედ რომ ვთქვათ, უტყუარ მონაცემთა წინააღმდეგობრიობაზეა, ობიექტური რეალობის რგოლების არაადექვატურობაზე ერთიმეორისადმი... საერთოდ კი, საკუთარ შემოქმედებაზე ლაპარაკი მთლად საქებარი და სასახელო საქმე ვერ არის. დაახლოებით იგივეა, საკუთარ გარეგნობაზე რომ ილაპარაკო, საკუთარ ნაკვთებზე და თვალ-წამწამზე.

— ამ პასუხის შემდეგ ალბათ ძალიან უადგილოა, მაგრამ მაინც მივცემ თავს უფლებას, გკითხოთ: 2008 წელს, თუ არ ვცდები, მოსკოვში მიიღეთ საერთაშორისო ლიტერატურული პრემია „სოდრუჟესტვო დებიუტოვ“. არაეთხელ იყავით „საბას“ ნომინანტი. სხვათა შორის, წელსაც. რამდენად მნიშვნელოვანია ლიტერატურული ჯილდო ავტორისთვის? როგორია თქვენი დამოკიდებულება „საბას“ მიმართ?

— კი. მივიღე. არ ცდებით. „საბა“-ს შესახებ რა ვთქვა, არც ვიცი. გავატაროთ „საბა“-ს თემა. რამდენად მნიშვნელოვანია ავტორისთვის ჯილდო... ერთადერთი დანიშნულება აქვს – რომ საზოგადოებრიობამ თვალ-ყური მიაპყროს დაჯილდოებულს, ანუ საბოლოო ჯამში საზოგადოებრიობის გამოისობით გაიცემა. მან კი, ვისაც ჯილდოს აძლევენ, ბრწყინვალედ იცის, სინამდვილეში რას წარმოადგენს გინდ ჯილდოთი, გინდ უჯილდოოდ.

— კულტურის სამინისტროს პროექტის „ცოცხალი წიგნების“ მონაწილეებს შორის ფოტოებში აღმოგაჩინეთ. ვფიქრობ, ეს პროექტი ძალიან დროულია და საჭიროა, როგორც ავტორის, ასე მკითხველისთვის. იქნებ მომიყვეთ იმ შთაბეჭდილებაზე, გამოცდილებაზე, რაც ამ პროექტმა მოგიტანათ.

— გადასარევი პროექტია. გამოაცოცხლა საკუთარ თავს მიბარებული, საკუთარ თავში გამოკეტილი თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრება. თავისებურად ახალი სული შთაბერა. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ძნელია მწერლობა, მწერლად ყოფნა, მწერლად ცხოვრება, მწერლად სიარული, მწერლად გადაადგილება, და ამგვარი ამბები (თუმცა მსგავს კარგ ამბებს, ჩვენი სახელმწიფოს მიერ ლიტერატურის სფეროში ასე გულითადად წამოწყებულს, ვერ ვიხსენებ) დროგამოშვებით, როგორც შეუძლიათ, ამსუბუქებენ ამ ტვირთს. იმედი მაქვს, უფრო მსხვილი პროექტების საწინდარია.

ესაუბრა თამარ ჟურული

დებიუტი

ვაკანსია

თამუნა ქადაგიძე

ერთ-ერთ დიდ კომპანიაში ვმუშაობ. ვიმყოფები ოთახში, რომელიც იმ საქმიანობისთვისაა განკუთვნილი, რომელსაც ამჟამად ვასრულებ. ოთახი საკანცელარიო ნივთებით და კომპიუტერული ტექნიკითაა სავსე.

მეც ამ ტექნიკის ნაწილი ვარ.

კომპანიაში რამდენიმე ვაკანსიაა. მე სამუშაოს მაძიებელთა მიღება მევალება. უნდა მოვუსმინო მათ, დავაკვირდე. არ უნდა გამომრჩეს მხედველობიდან მათი მობილიზება, სისხარტე და პრეზენტაციის ნიჭი. კომპანიას კარგად მოეხსენება, თუ ადამიანს თავისი თავის რეკლამირება კარგად შეუძლია, მისთვის შეუძლებელი აღარაფერია. ცენტრალურ აფრიკაში ციგას გაყიდის. ამიტომ ამ დეტალს დიდი ყურადღება ექცევა.

საინტერესო კანდიდატების შესახებ ინფორმაცია უნდა გადავაგზავნო იქ, სადაც საჭიროა.

გარეთ ისე ცხელა, მგონი, ჩიტებსაც ეზარებათ ფრენა. ოთახში სასიამოვნო სიგრილეა. გარკვეულწილად — მექანიკურად, გარკვეულწილად — ხალისით ვასრულებ ჩემს მოვალეობას. ბევრი რამ მასწავლა აქ ყოფნამ.

მე ხომ ერთ-ერთი ამათგანი არ ვყოფილვარ. ოჯახის ახლობელმა რეკომენდაცია გამიწია ასევე თავის ახლობელ პატივცემულ პიროვნებასთან და ამგვარად მოვხვდი კომპანიაში სამუშაოდ. „ისინი“ სხვები არიან — სამუშაოს მძებნელნი.

„ვიცი ინგლისური, კარგად მაქვს შესწავლილი ბევრი პროგრამა“...

„კარგად ვფლობ ფრანგულს. სპეციალური კურსები მაქვს გავლილი ბიზნესისა და მარკეტინგის განხრით“... ან კიდევ: „ორი წელი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ვიყავი, აქაც რამდენიმე ფირმაში მუშაობის სტაჟი მაქვს“...

ვუსმენ მათ, როგორც დამჯერი მანქანა, როგორც სხვა დანარჩენი ტექნიკური მოწყობილობები ამ ოთახში. გულგრილობა უნდა გამოვიჩინო, ემოციებს არ უნდა ავყვე, თუ აუცილებელი არ გახდა.

სამუშაოს მაძიებელნი მოდიან და მიდიან.

მკვირცხლი, ყოჩაღი გოგონა. თვალები ანთებია. მონდომებულია, ყველა დავალება პირნათლად შეასრულოს. გამოსვლის წინ სარკესთან დაუმუშავებია მანერები.

— და რატომ გინდათ ჩვენთან მუშაობა? — ვსვამ ბოლო კითხვას.

— მიმაჩნია, რომ ჩემი მონაცემები შეესაბამება თქვენი კომპანიის საქმიანობას, თავს გავართმევ, — მპასუხობს დაუფიქრებლად. მეც ვინიშნავ, როგორც სასურველ კანდიდატს.

— კარგად ვფლობ ინგლისურს და რუსულს, — თავს იწონებს ახალგაზრდა ყმაწვილი, — კურიერადაც სიამოვნებით ვიმუშავებ.

უფროსი ასაკის ადამიანებიც მოდიან...

— ბუღალტერი ვარ. ბევრ ადგილას მიმუშავია. ბოლო წლებში სამსახურის პოვნა რომ გაჭირდა, ძიძადაც ვიმუშავე ოჯახში, — აფორიაქებული ხმით მომითხრობს შუახნის ქალი, რომლის გამომეტყველება თავის მხრივ ამბობს: მიშველეთ რამე! ქმრის ხელფასი არ გვყოფნის, ოჯახს ვერ ავუდივართ...

ხნიერმა კაცმა შემოაღო კარი:

— 19...-ში ერთ-ერთი წარმოების დირექტორი ვიყავი, მერე ბიზნესს მოვკიდე ხელი. ახლა ისევ სამუშაოს მაძებარი ვარ. ასაკი არ მიწყობს ხელს, მაგრამ ჩემი გამოცდილება გამოდგება კომპანიისთვის.

„ნეტავ რამდენს და რომელს გაუმართლებს ამათგან? რომელს მიაქცევენ ყურადღებას?“ — ვფიქრობ ხანდახან.

თურმე ხალხი როგორ ეძებს სამუშაოს. მე ეს არ დამჭირვებია.

სამუშაო ყველაფერია თანამედროვე ადამიანისთვის, მიჯაჭვულია მასზე. თუმცა ყველა დროში რაღაცაზე ვიყავით მიჯაჭვულნი. ჯერ პირველყოფილ ინსტიქტებზე, იარაღზე, ძალაზე, რეაქციაზე; მერე — მიწაზე, მოსავალზე. იმის მერე ქონებაზე, ტახტზე, გვირგვინზე, ძალაუფლებაზე...მცირე მოცალეობის ჟამს წარმოშობილი ფილოსოფიური ფიქრები ახალმა მომსვლელმა შემაწყვეტინა.

ახალგაზრდა ყმაწვილი შემოვიდა. მგონი, ყველაზე ახალგაზრდა მომსვლელთა შორის. ალბათ 20 წლისაზე მეტი არ იქნებოდა. უბრალოდ, მაგრამ ძალიან სუფთად ეცვა. ჩემმა გამოცდილმა თვალმა მაშინვე შეამჩნია დედის მზრუნველი ხელი, საგულდაგულოდ რომ გაურეცხია და გაუუთოვებია საგანგებოდ ასეთი დღეებისთვის გადანახული კოხტა ტანსაცმელი. თვალებში მორიდება, მოლოდინი აქვს. ცოტათი დაბნეულია. სარკის წინ არ უვარჯიშია. თავიდან ისეთი ენის ბორძიკით დაიწყო ლაპარაკი, გუნებაში გამეცინა. მაშინვე ამოტივტივდა მისი პიროვნების პორტრეტი:

ახალგაზრდაა. აშკარად არ აქვს სამუშაო გამოცდილება. რაღაც კურსები გაუვლია. ცდილობს, ცხოვრების ფერხულში ჩაებას, იმოქმედოს. სიხარბე ჯერ არ ჩასდგომია თვალებში. თავდაჯერებულობა აკლია, ყველასი ერიდება, მაგრამ ცდილობს, ამ მორიდებას გადააბიჯოს, რადგან მის ზურგს უკან ხელმოკლე ოჯახი — მცირეშემოსავლიანი მშობლები და უმცროსი ძმა დგანან, მისი დიდი იმედი აქვთ.

ამ ახალგაზრდა ადამიანის დანახვამ მეც ცოტა ხნით ადამიანად მაქცია. განსხვავებული კითხვების დასმა მომეხასიათა.

— რა გაქვს წაკითხული? — მიჩნდება მოულოდნელად შეკითხვა.

ახალგაზრდას უკვირს. მისმა გაოცებამ დაბნეულობა გადაფარა. ჩამოთვალა რამდენიმე ქართველი და უცხოელი მწერალი; ისინიც, რომლებიც გამორჩეულად მოსწონს და ამ მოწონების მიზეზსაც მიხსნის. საუბარი გაგრძელდა, ლიტერატურიდან სხვა თემებზე გადავედით...

* * *

რაღაც კარგის ჩადენის ხასიათზე ვიყავი. რა შემიძლია გავაკეთო? რა არის ჩემს ხელთ? როგორ თუ რა! სამსახური! ამაზე მეტი რა გინდა!

ისევ ამოტივტივდა ყმაწვილის გულუბრყვილო სახე. იქნებ დავეხმარო? ოჯახიც კი შემეცოდა, რომელიც კომპანიისგან პასუხს ელის. იქნებ რა გეგმები აქვთ გამართლების შემთხვევაში.

მოდი, ერთხელ ვიქნები ადამიანი. ამითი არაფერი დამაკლდება. ჩემს საქმეს, ადგილს და გნებავთ, ავტორიტეტს ეს ხელს არ შეუშლის. ორ სიტყვას ვიტყვი იქ, სადაც საჭიროა.

გონებაში ყველაფერი ავწონ-დავწონე. მეორე დილით პირადად გავესაუბრე ზემდგომს.

— იცით, ჯერ ვერ მეუბნებოდნენ პირდაპირ, — ენის ბორძიკით დავიწყე ახლა უკვე მე, — მამამისმა დამირეკა, მთხოვა... შორეულ ნათესავად მეკუთვნის... კარგი ექიმი იყო, ჩემს დას უმკურნალა და მოარჩინა, როცა სხვებმა ვერაფერი გაუგეს... მას მერე დიდი დრო გავიდა... ახლა ძალიან გაუჭირდათ. ამის სამუშაოს იმედათღა არიან, — ნელ-ნელა ენის ბორძიკიდან დამაჯერებელ საუბარზე გადავდიოდი.

თხოვნა შესმენილ იქნა. ახალგაზრდამ მიიღო რიგითი თანამშრომლის ადგილი, რაც მისთვის დიდი ოცნება იყო.

* * *

ამ ამბის მერე რამდენიმე წელი გავიდა. მე უკვე სხვაგან ვმუშაობდი, კარიერულ გზაზე წარმატებით მივიწევდი. ერთ მშვენიერ დღეს ახლო ნათესავი მესტუმრა თავის გოგონასთან ერთად. ახალგაზრდას უნდოდა იმ კომპანიაში ეცადა ბედი, სადაც მე ადრე ვმუშაობდი.

— არ მინდა, ჩემი შვილი ბევრი ვაქო, შენც ხომ იცნობ. კარგად სწავლობდა, ალგებრაში ყველას სჯობდა. სწრაფია, მოსაზრებული, კარგი თანამშრომელი იქნება. იქნებ დასაწყისისთვის დამეხმარო. ვიცი, რომ მანდ მუშაობდი და იმათთან კარგი ურთიერთობა გაქვს. მერე ვნახოთ, ან შერჩება მაქაურობას, ან სხვაგან წავა. პატივისცემა ჩემზეა, იმასაც გადაეცი.

ბევრი აღარ ვალაპარაკე. მეორე დღესვე დავუკავშირდი უფროსის მოადგილე მავანს. მანაც მომცა მითითება:

— ახლა ზუსტად შერჩევაა რამდენიმე ვაკანსიაზე, შენც გვესტუმრე მასთან ერთად. კოორდინატები დატოვოს იქ, სადაც საჭიროა, დანარჩენი მე ვიცი.

— ყველაფერი კარგადაა, ხვალ მოგყვებით კიდეც, — ვახარე ნათესავს.

მეორე დღეს გავიარეთ ნაცნობი დერეფანი. „ბევრი არაფერი შეცვლილა, ალბათ ახლა იმ კაბინეტშიც ვიღაც ჩემნაირი ზის, — ვფიქრობ გუნებაში, – ნეტავ ვინაა? როგორია? მოუვლის ხოლმე ადამიანობა? ცნობისმოყვარეობამ მძლია, მომიარა სურვილმა, თვალი შემევლო ოთახისთვის, სადაც ვმუშაობდი.

ვაღებ კარს...

თანამშრომელი ზის ჩემს ყოფილ ადგილზე. სათანადოდ აცვია. მზერა ცივი, თავდაჯერებული, რითაც მომსვლელს ანიშნებს, თქვენს შეფასებაში შეცდომის უფლება არ მაქვსო. გარკვეულწილად ხომ მასზეცაა დამოკიდებული მიმსვლელ-მომსვლელთა ბედი.

მაგრამ თვალები...

ეს ხომ ის გამოხედვაა — ცოტა შიშჩამდგარი, დაბნეული შინაგანი მღელვარების დაფარვის მცდელობით. ენის ბორძიკით გაწითლებული მპასუხობდა. პატარა ბავშვივით ფეხის ასადგმელად ემზადებოდა ცხოვრების რთულ გზაზე. ის არის, დედის მიერ საგულდაგულოდ გარეცხილ-დაუთოვებულ ტანსაცმელში გამოწყობილი, იმედითა და დალოცვით რომ გამოეშვა ოჯახს...

ედგარ ალან პო

ყორანი

შუაღამეს, ერთხელ, ქურუხს, დაველონე ფიქრთა ბურუსს,
მაშინ სიბრძნეს, მივიწყებულს, ფოლიანტმა მიმაკარა —
გვამი რულით თავს იდრეკდა, ოდეს მესმა მყისად რეკა —
თითქოს ვინმე რიდით რეკდა, რეკდა ბინის კარს, თან არა.
„მსხემი ვინმე,“ — ვიბუტბუტე, — „რეკდა, ბინის კარს მომდგარა —
ამის მეტი სხვა არარა.“

აჰ, ცხადად ვარ მხსენებელი, ქროდა ცხარი დეკემბერი;
ბუხრად ღადრის დამგზებელი ვიჯექ ცოცხალ ლანდთ ამარა.
უმალ დილა მოვისურვე, რადგან წიგნით ვერ ვიურვე
იგი, რასაც მარად ვურვებ — ვურვებ ლენორს ცრემლმდინარად —
უმანკობით შენამკობი ცას „ლენორად“ მიებარა —
ქვეყნად უსახელო მარად.

მსწრაფლ ატლასის ფარდასარა ალასლასდა სასიშარად —
მაშინ ავმა შიშის ზარმა სული ხშირად დამიღარა.
ავადევნე გულის ფეთქვას, რაც მანამდე უკვე მეთქვა,
„სტუმარს სული რომ მოეთქვა, მოდგა, ბინას მოეფარა —
ღამით სული რომ მოეთქვა, მოდგა, ბინას მოეფარა —
ამის მეტი სხვა არარა.“

მსთვადვე სული გამიმხნევდა და ყოყმანიც არ მაბნევდა,
„სერ თუ მადამ“, მივუგებდი, „შენდობისთვის მაქვს მუდარა;
იყო, რულით თავს ვიდრეკდი, მესმა, სიტყვებს მოიკრებდით,
მესმა, დიდი რიდით რეკდით, რეკდით კარზე, და მეკმარა,
დავიჯერე თქვენი ხლება“ — კარი ფართოდ ვაღე ჩქარა; —
დგა წყვდიადი, სხვა არარა.

დამიტყვევდა ბნელში მზერა, შიში, ცვიფრი მომეძგერა,
ვგონებ, იმგვარ ზმანებათა უწინ არვინ შეეყარა;
დგა უკუნი ურხეველი და დუმილი ურღვეველი,
„ლენორ?“, სიტყვა უმღვრეველი, ითქვა ობლად, ისმა წყნარად,
ითქვა ჩემგან და „ლენორით“ ექო უკუმენარნარა, —
ესოდენით, სხვა არარა.

დავუბრუნდი ჩემსავ პალატს, სული მექცა შემწველ ალად,
მალე მესმა რეკა კვალად, უმეტესად მჟღერი ხმა რამ.
„მართლაც, მართლაც,“ წარვთქვი, „რაღაც ემართება სარკმლის დარაბს;
მივალ, ვნახავ და ამოვხსნი, საიდუმლომ რაც დაფარა —
გული დადგეს და ვიხილავ, საიდუმლომ რაც დაფარა; —
ქარია და სხვა არარა!“

მანდვე ვაღე კლიტიანნი, ფრთათა თრთოლით და ფრტიალით
შემომიხლტა შინ ყორანი ძველთა ჟამთა თანაგვარად;
მან ურიდი შემოთქრომით არცა წამი დაჰყო დგრომით;
ლორდებრ, ლედებრ, თითქოს წყრომით, ანჯამთ ასცდა, ამიარა —
და ბიუსტზე პალასისა დახლტა, იგივ იქანდარა; —
დახლტა ზედა, სხვა არარა.

ფრინველმა შავმა მაშინღა მომნუსხა, გამაარშიყა;
მიკვირდა მისი, ვით იჯდა დინჯად და გაუტეხარად.
„თუმცა ჯაგარი არ გკმარა, მჯერა, ჯაბანი არ ხარა!“, —
ვსიტყვე, — „თავისა სადარად ღამემ დაგბადა საზარად —
მეფურ სახელად პლუტონმა, — ყორანო, მითხარ, — გარქვა რა!“ —
ხმა-ყო ყორანმა: „არღარა.“

გამაკვირვა კუშტფარანდამ, სიტყვას ბინდი არ ფარავდა;
პასუხს აზრი თუმც სცვარავდა — უალაგოდ, აბეზარად;
ვინ იჯეროს, როს ოდესმე ცოცხალს ვინმეს ყურად ესმეს:
კაცი ბინად ფრთოსანს მზერდეს ფრთაუშლელად მჯდარსა მყარად —
ბინად მხეცს თუ ფრთოსანს მზერდეს ფრთაუშლელად მჯდარსა მყარად —
სახელედვას ვის — „არღარა.“

მაგრამ ყორანი მარტოკა მშვიდ ბიუსტს აჯდა უტოკად,
ნათქვამით ერთით მან თითქოს სულიცა გარდამოღვარა.
არას იტყოდა იგი ჯრად, არცა ბუმბული თვისი ძრა,
მაშინ ვიძალე გამოცრად: „ვით ძმანი ბედმა წამგვარა —
იგიც დამტოვებს ხვალისად, ვით სასო ბედმა წამგვარა“.
ფრთოსანმა დართო: „არღარა.“

დუმილს გაკრთა, შემაწუხა, ვით ჭკვიერად მეპასუხა,
უეჭველად, რასაც ჩხავის, მხოლო უნჯად შეიწყნარა
პატრონისგან, რომელს ბედმა სიავენი შეუდედა —
განუგრძო და განგრძობისგან ბაგე ძნობამ შეუნარა
და უსასომ სევდა სრული ამა სიტყვას შთააღვარა:
აჰა, „არღა“ და „არღარა“.

თუმც ფრინველმა, კვლავაც მრევმა, გარდმიქცია ღიმად ღვრემა,
სკამით მივჯედ ფრთოსნის წინა, პალასი რომ იქანდარა;
მერმე ხავერდს შევეზარდე, განზრახვასა მივემართე,
ჟინი ჟინსა მივუსართე, ცნად, რას ყბედობს წარამარა,
თუ რას ამბობს მჭლე, ავბედი, ყბედი ჩიტი წარამარა
თვის ნაჩხავლით აქ: „არღარა“.

ასე ვიჯექ მოაზროვნე, მისთვის სიტყვის უმომპოვნე,
რომლისაცა თვალბრიალი გულს მიწვავდა საწუხარად;
მჯდომარემ და მიდმომგონემ თავი თენთით მივუქონე
სასთუმალსა, ლამპა რომელს შორით ექმნა მამკობარად,

მაგრამ ხავერდს, ლამპა რომელს შორით ექმნა მამკობარად,
ლენორ ეყრდნას, ვახ, არღარა!

მას ჟამს ვგონე არე სქელი, მტკბარი სურნელ-საკმეველით,
სერაფიმის ქუსლთა რეკა, და-ცა-კმევა უჩინარად;
„უბადრუკო“, შევიყივლე, „ღმერთი ანგელოზებს გივლენს,
ეხსენ, თავს რაც გარდივლინე, — ლენორისა სავიწყარად;
შესვი, და რაც გარდივლინე — წამლით ექმენ მავიწყარად!“
ხმო ყორანმა კვლავ: „არღარა“.

ვუთხარ, „წინასწარმეტყველო! ავისავ, სატან, ფრინველო!
მცდენმა მოგგზავნა, გინათუ აქა გრიგალმა მოგგვარა
წყევის და შიშის ქალაქად, უბანაკებელ ალაგას;
მუნ, ბალსამონი გალაადს — სიმართლის გეცი მუდარა! —
თუ არს, თუ არის? — მითხარი, მითხარი, გეცი მუდარა!“ —
ხმა-ყო ყორანმა: „არღარა“.

ვუთხარ, „წინასწარმეტყველო! ავისავ, სატან, ფრინველო!
ჩვენ ორის სათაყვანებელს, მოვიყვან ღმერთს საფიცარად —
სვედავსილს არქვი ჩემს სულსა, თუ მიხვდეს იქ სიყვარულსა,
ლენორს, წმინდასა ქალწულსა — ედემსა ვინც შეეფარა —
თუ ჩაიკონებს უმანკოს — ცის კარსა ვინც შეეფარა?“ —
ხმა-ყო ყორანმა: „არღარა“.

„ჩვენი გაყრის ნიშად ეგოს სიტყვა ეგე, ჰე, ვერაგო,
მიექეცი უკუ გრიგალს პლუტონისა ანაბარად!
არ დასტოვო აქ ნაკრტენი, ვითა ნიში სულსაკრტენი —
ტყუილითა განატენი, მეხსენ, მტოვე თავამარა!
კარს ეჯმენ და გულს ერიდე — ნუ წერტ ჩემდა გასამწარად!“
ხმო ყორანმა კვლავ: „არღარა“.

ესე ყორანი ფრთას არ ზმის, ისევ ისე ზის, ისევ ზის
პალატში სპეტაკ პალასის ბიუსტზე შავქანდაკარად;
თვალებით იგი მიჰგავს მცთენს,
ქვესკნელის დემონს, მარად მთმენს,
და ლამპრის პარი ჩრდილად ფენს ფსკერზედა მიმოსატარად.
და ჩემი სულიც, რაც ფსკერზე მცურავ აჩრდილში დამჩნდარა,
აღემართება — არღარა!

ანაბელ ლი

მრავალ, მრავალ წელსა უწინ,
ზღვისნაპირად სასუფევლის
ქალწულს ჰქონდა ბინა, უწყით,
თუ იცნობდით — ანაბელ ლის;
სხვა არარა სწადდა უმწვირს,
გარდა ორწილ სიყვარულის.

ვიყავ ბავშვი, იგიც ბავშვი
ზღვისნაპირად სასუფევლის,
უმეტესი ყვარება ვშვით —
ერთად, მე და ანაბელ ლიმ —
სერაფიმთაც ფრთებით თვისით
შეიშურვეს ჩემი, მისი.

ამად იყო წელთა უწინ,
ზღვისნაპირად სასუფევლის,
რომ ხორშაკი — ქარი ღრუბლის
მიემცივნა ანაბელ ლის;
ყველა, ყველა მე წამგვრიდა
მაშინ მისი თანმხლებელი
მას, საფლავში დასამკვიდრად
ზღვისნაპირად სასუფევლის.

ზეცის ძალა იყო შურით
ჩემი, მისი დამგდებელი —
ამად იყო! (ყველამ უწყის
ზღვისნაპირად სასუფევლის)
რომ იმ ღამით ქარი ღრუბლის
სწყლავდა, კლავდა ანაბელ ლის.

იყო მაშინ ჩვენი ტრფობა
უფროსთ გარდამმეტებელი
და ბრძენთ გამახელებელი —
ამად ვერა ზეცის წყობა
და ვერც ეშმა ქვემო სკნელის
ებას ჩემს სულს გამოყოფად
მშვენებულის, ანაბელ ლის;

აწ მაზმანებს მთვარის ელვა
მას, მშვენებულს, ანაბელ ლის;
ვარსკვლავთ კრთომა — თვალთა ხლტომას
მშვენებულის, ანაბელ ლის;
და ვახლავარ თანამწოლად
უძვირფასესს ღამე ყოვლად,
ვინც მარხია, უგრძნობელი,
ზღვის მახლობლად, მღელვებელის.

თარგმნა აკაკი ჯოხაძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004